საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების
სამინისტრო

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგია

2022 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის

2022 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში

© ანგარიში მომზადებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების/დეპარტამენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

თებერვალი, 2023 წელი

აბრევიატურა

DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება
EaP	აღმოსავლეთ პარტნიორობა
EN	ევროპული სტანდარტი
GCNG	გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი
GIA	გენდერული გავლენის შეფასება
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
RBC	ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევა
RIA	რეგულირების ზეგავლენის შეფასება
SBA	მცირე ბიზნესის აქტი
SME	მცირე და საშუალო საწარმოები
USAID	აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
WEPs	ქალთა გაძლიერების პრინციპები

სარჩევი

აბრევიატურა 3
მოკლე შეჯამება 6
შესავალი 14
ზოგადი პროგრესი 17
დეტალური პროგრესი 18
პრიორიტეტი 1. საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება 35
ამოცანა 1.1. ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით 35
ამოცანა 1.2. მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა 38
ამოცანა 1.3. მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესება 40
ამოცანა 1.4. კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა 42
ამოცანა 1.5. ბიზნეს დავების სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტა 45
ამოცანა 1.6. სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა 49
ამოცანა 1.7. გაკოტრების და რეაბილიტაციის სისტემის განვითარება 50
ამოცანა 1.8. მცირე და საშუალო მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება რეგულაციების ცვლილებებთან დაკავშირებით და საჯარო-კერძო დიალოგის განვითარება 51
პრიორიტეტი 2. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა 54
ამოცანა 2.1. შრომის ბაზრის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა 55
ამოცანა 2.2. უსაფრთხო შრომითი გარემოს საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლება 57
ამოცანა 2.3. სამეწარმეო უნარების გაძლიერება რეგულარული ტრენინგების გზით 58
ამოცანა 2.4. მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება 60
ამოცანა 2.5. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS), შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემისა (WORKNET) და შესაბამისი სერვისების განვითარება 63
ამოცანა 2.6 ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პოპულარიზაცია 69
ამოცანა 2.7. ფართოზოლოვანი ინტერნეტის საშუალებით ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა 71
პრიორიტეტი 3: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება 73
ამოცანა 3.1. სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების განვითარება 74
ამოცანა 3.2. დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარება 79
ამოცანა 3.3. ფინანსური განათლების შემდგომი გაუმჯობესება 80
ამოცანა 3.4. გირავნობის საგნის გაფართოება 81
ამოცანა 3.5. მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდა 83
ამოცანა 3.6. „Venture Capital" (VC) და „business angels" ეკოსისტემის შემდგომი განვითარება 85
პრიორიტეტი 4: მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა 86
ამოცანა 4.1. საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენების ხელშეწყობა 87
ამოცანა 4.2. DCFTA-ის შესაძლებლობების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება 89

ამოცანა 4.3. ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის, მათ შორის შესაბამისი ინსტიტუტების (აკრედიტაცია, მეტროლოგია, სტანდარტიზაცია და ა.შ.) განვითარება საერთაშორისო და/ან ევროპულ პრაქტიკასთან შემდგომი დაახლოების მიზნით 94
ამოცანა 4.4. ინვესტიციების და SME-ების კავშირების გაძლიერება 97
პრიორიტეტი 5. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა 98
ამოცანა 5.1. ინოვაციური დაფინანსების განვითარება 98
ამოცანა 5.2. ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშეწყობა 100
ამოცანა 5.3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა 100
ამოცანა 5.4. ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება 102
ამოცანა 5.5 მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების განვითარება 104
ამოცანა 5.6. კვლევასა და ინდუსტრიას შორის კავშირების გაღრმავება 105
პრიორიტეტი 6. ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა 106
ამოცანა 6.1. „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების" (WEPs) პოპულარიზაცია 106
ამოცანა 6.2. გენდერული ნიშნით სტატისტიკის გაუმჯობესება სახელმწიფო პროგრამებში 109
ამოცანა 6.3. სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობის წახალისება 109
ამოცანა 6.4. ქალებში ციფრული უნარ-ჩვევების გაძლიერება 109
ამოცანა 6.5. სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდა გენდერული მიდგომების განვითარებისთვის 110
პრიორიტეტი 7. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 112
ამოცანა 7.1. მწვანე ზრდის სტრატეგიის განვითარება 113
ამოცანა 7.2. ეკო-ინოვაციის მიდგომის პოპულარიზაცია 113
ამოცანა 7.3. მწვანე დაფინანსების განვითარება 115
ამოცანა 7.4. საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარება 117
ამოცანა 7.5. ეკოტურიზმის განვითარება 121
ამოცანა 7.6. გარემოსდაცვით საკითხებზე მცირე და საშუალო მეწარმეების ცნობიერების ამაღლება 124
რისკები და გამოწვევები 126
დანართი - კონსოლიდირებული სტატუსანგარიში 128

მოკლე შეჯამება

საქართველოს მთავრობის მიერ, 2021 წელს დამტკიცდა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა. სტრატეგია სრულ შესაბამისობაშია ევროპული მცირე ბიზნესის აქტის ძირითად პრინციპებთან და მასში გათვალისწინებულია ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის კუთხით.

სტრატეგიის მთავარი მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლება, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და შესაბამისად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი იმპლემენტაციის შედეგად 2025 წლისთვის მისაღწევი **სამიზნე მაჩვენებლებია** [1] (საბაზისო წელი - 2019წ.):

- ✓ მცირე და საშუალო საწარმოების დამატებული ღირებულების ზრდა **20%-ით**;
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა **10%-ით;**
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოთა მწარმოებლურობის ზრდა **20%-ით.**

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის 2021-2025 წლების სტრატეგიის 7 პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს 7 გავლენის ინდიკატორს[2], 42 ამოცანას და 84 ამოცანის შედეგის ინდიკატორს. თავის მხრივ, სტრატეგიის **2022 წლის სამოქმედო გეგმა,** 7 პრიორიტეტული მიმართულების და 42 ამოცანის ფარგლებში ითვალისწინებს **97 აქტივობას**.

პირველი პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწას მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში ჩატარდა RIA SME ტესტის ტრენინგები. ახალი

---

[1] აღნიშნული სამიზნე მაჩვენებლების შეფასება შესაძლებელი იქნება საქსტატის მიერ მონაცემების გამოქვეყნების კალენდრის გათვალისწინებით.

[2] 1-ელი, მე-3 და მე-4 პრიორიტეტული მიმართულების გავლენის ინდიკატორების შეფასება შესაძლებელი იქნება საქსტატის მიერ მონაცემების გამოქვეყნების კალენდრის შესაბამისად; მე-2 პრიორიტეტული მიმართულების გავლენის ინდიკატორისა, განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის (Tracer Study) განხორციელების შესაბამისად 2023 წლის მე-2 კვარტალში, ხოლო მე-5 და მე-7 პრიორიტეტული მიმართულების გავლენის ინდიკატორების შეფასება შესაძლებელი იქნება OECD-ის მიერ SBA SME Policy index კვლევის ჩატარების და გამოქვეყნების შესაბამისად.

საბაჟო კოდექსიდან გამომდინარე, მომზადდა შესაბამისი საქართველოს მთავრობის დადგენილებისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტები.

მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციური გაძლიერების ფარგლებში, უზრუნველყოფილია მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის საბიუჯეტო დაფინანსების მდგრადობა. ამასთან, განხორციელდა სააგენტოების „აწარმოე საქართველოში", „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" და „სოფლის განვითარების სააგენტოს" თანამშრომელთა ტრენინგები. სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" მიერ მომზადდა გავლენის შეფასების საპილოტე ანგარიში მეწარმეობისა და ექსპორტის მხარდამჭერ პროგრამებზე.

მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვის გაფართოებისა და გაუმჯობესების მიზნით, საქსტატმა დაიწყო ტურიზმის სატელიტური ანგარიშების წარმოება, განახორციელა ბიზნეს სტატისტიკის წარმოება გენდერულ ჭრილში, როგორიცაა, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა და დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება.

კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ „საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ", კერძო სექტორის წარმომადგენელების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩაატარა ტრენინგები და კონფერენცია კონკურენციის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე. საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე, ჩაატარა საქმეთა მოკვლევა, მოამზადა დასკვნები და გასცა რეკომენდაციები.

აქტიურად მიმდინარეობს ქვეყანაში დავების გადაწყვეტის მიუკერძოებელი და სანდო ალტერნატიული მექანიზმების განვითარების პროცესი. განხორციელდა საარბიტრაჟო დავების და მედიაციის პროცესის ადმინისტრირება. საანგარიშო პერიოდში ქვეყნის მასშტაბით შეიქმნა და ამოქმედდა ახალი მედიაციის ცენტრები. „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" ორგანიზებით და USAID-ის მხარდაჭერით ჩატარდა მედიაციის/მედიატორის ტრენერთა ტრენინგი, ასევე, ჩატარდა სემინარები და შეხვედრები დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმებზე ცნობადობის ამაღლების მიზნით. ბიზნესომბუდსმენის აპარატის მიერ განხილული იქნა საკანონმდებლო აქტების პროექტები და მომზადდა შესაბამისი სამართლებრივი დასკვნები, რეკომენდაციები და შუამდგომლობები. ბიზნესომბუდსმენის აპარატში საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების მიზნით ფუნქციონირებს ცხელი ხაზი.

საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერების მიზნით, კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში ჩატარდა

შეხვედრები, DCFTA-ის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა და ინფორმირებულობის მიზნით, გაიმართა სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის გაფართოებული სხდომა. DCFTA-ით გათვალისწინებული ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან დაახლოების მიზნით მომზადებული საკანონმდებლო პროექტები კომენტარებისა და შენიშვნებისთვის განთავსდა dcfta.gov.ge-ზე.

მეორე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობას. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, შრომის ბაზრის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარდა ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორების შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა, მომზადდა შესაბამისი ანგარიში და მოხდა შედეგების წარდგენა დაინტერესებული მხარეებისათვის. ასევე, მომზადდა „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა“, რომლის მიზანია ადამიანისეული კაპიტალის უნარებზე საწარმოების მოთხოვნის გამოვლენა. სამინისტროს მიერ მომზადდა „საქართველოს შრომის ბაზრის წლიური ანალიზი“. ანგარიშში წარმოდგენილი იქნა საქართველოს შრომის ბაზრის წინაშე მდგარი გამოწვევები და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ხედვა, ასევე, დასკვნები და რეკომენდაციები.

უსაფრთხო შრომითი გარემოს საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, ასევე, განხორციელდა ტრენინგები სხვადასხვა სექტორის ბიზნესის წარმომადგენლებისთვის.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავდა პროფესიული სასწავლებლების ორგანიზაციული შეფასების მეთოდოლოგია შიდა-ინსტიტუციური მეწარმეობის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით. სამინისტროს მიერ, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით, შემუშავდა ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სტრატეგია (2023-2026 წწ.). საანგარიშო პერიოდში, პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ, გამოცხადდა მიღება ახალ დუალურ პროგრამებზე. პროფესიული სასწავლებლების სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა კონცეფცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების/კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შესახებ.

სსიპ „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში” შექმნილია და ფუნქციონირებს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა (WorkNet). სისტემაში დარეგისტრირდა და ინდივიდუალური კონსულტირება გაეწია სამუშაოს მაძიებლებს.

დასაქმების შესაძლებლობების გაზრდისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების მიხედვით, პიროვნული განვითარების მიზნით, განხორციელდა შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირება. ჩატარდა დასაქმების ფორუმები, რომლის ფარგლებშიც დასაქმდნენ სამუშაოს მაძიებლები. სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამები.

აქტიურად ხორციელდება ქვეყანაში ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა. აღნიშნული მიმართულებით ჩატარდა ტრენინგები, სადაც კომპანიების წარმომადგენლები დატრენინგდნენ ბიზნესის მდგრადი განვითარების/ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის საკითხებში.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ორგანიზებით და სსიპ „აწარმოე საქართველოს" ჩართულობით გაიმართა კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო 2022-ის კონკურსი - „ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის" და გამოიცა პუბლიკაცია, რომელიც აერთიანებს პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკის მაგალითებს საქართველოში.

სააგენტომ „აწარმოე საქართველოში", მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის სახელმძღვანელო „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო". „SDG ამბიციის აქსელერატორი" პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სესიები.

საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების განხორციელების მიზნით, დაიწყო ციფრული უნარების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება.

მესამე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების განვითარება, შეიქმნა ახალი პროდუქტები.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის" ფარგლებში, განხორციელდა შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, „აგროდაზღვევის პროგრამის" ფარგლებში დაზღვეული იქნა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, განხორციელდა თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობის პროგრამა, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა, დაფინანსდა გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების ინფრასტრუქტურის შექმნა, მეფუტკრეობის კოოპერატივების მხარდაჭერის მიზნით, დაფინანსდა თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო-დანადგარების შეძენა და და სხვა.

სსიპ „აწარმოე საქართველოში” სააგენტომ 2022 წელს დანერგა 1 ახალი პროგრამა და განაახლა 3 პროგრამა. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გაიცა მიკრო გრანტები.

გირავნობის საგნის გაფართოების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის და დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით ჩატარდა მსს ფასს სტანდარტის ტრენინგები მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტში მომუშავე ბუღალტრების, ფინანსისტების და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდის მიზნით განხორციელდა საწარმოთა მიერ წარდგენილი ანგარიშგების წესთან და კანონთან შესაბამისობის დადგენა და ანგარიშგებების გასაჯაროება. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ განხორციელდა აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი. ქვეყანაში ალტერნატიულ ფინანსებზე წვდომის მექანიზმების წახალისების მიზნით, შეიქმნა პირველი ვენჩურული ფონდი.

მეოთხე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ, მხარდაჭერილ იქნა კომპანიების მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენასა და ღონისძიებაში.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, მეწარმეებს ინდივიდუალური კონსულტაცია გაეწიათ ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებულ საკითხებზე. პალატამ ორგანიზება გაუწია ბიზნეს ფორუმის ჩატარებას საქართველოსა და საზღვარგარეთ, უზრუნველყო საზღვარგარეთ დაგეგმილი საერთაშორისო გამოფენების შესახებ მეწარმეთა ინფორმირება და ქართველ მეწარმეთა მონაწილეობა აღნიშნულ გამოფენებზე.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ სურსათის ბიზნესოპერატორებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები. სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ ჩატარდა ექსპორტის მენეჯერთა გადამზადების კურსები.

ხარისხის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სტანდარტად მიღებული იქნა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები. მეტროლოგიის სფეროში განხორციელდა ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლება. საქართველოს ეროვნული აკრედიტაციის ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი გახდა ILAC-ის და IAF-ის სრულუფლებიანი წევრი და მრავალმხრივი აღიარების ხელმომწერი.

მეხუთე პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში განხორციელდა ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა.

აღნიშნული მიმართულების ფარგლებში, ინოვაციური სტარტაპების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის, ინოვაციური პროდუქტების განვითარებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა მცირე გრანტების, სტარტაპებისთვის თანადაფინანსების გრანტების და ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების გაცემა. ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ელექტრონული კომერციის საკითხებსა და სხვადასხვა ციფრულ სერვისთან დაკავშირებით. „3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამის" ფარგლებში გადამზადდნენ IT სპეციალისტები.

ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაიზარდა ინტერნეტ ქსელებით დაფარული პუნქტების რაოდენობა, ქვეყნის მასშტაბით მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მიმდინარეობს აქტივობები მსოფლიო ბანკის პროექტის „Log-in Georgia" ფარგლებში. გატარდა ღონისძიებები ტექნოლოგიების კომერციალიზაციის მიზნით და შედეგად 2022 წელს, 1 პროექტი კომერციალიზაციის ეტაპზე გადავიდა.

მეექვსე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, განხორციელდა ღონისძიებები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით, მათ შორის, მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები „ქალთა გაძლიერების პრინციპების" (WEPs) პოპულარიზაციის მიზნით, ჩატარდა ტრენინგები ქალი მეწარმეებისთვის, მათ შორის, ელექტრონული კომერციის საკითხებთან დაკავშირებით. ჩატარდა შეხვედრები ქალი მეწარმეებისთვის სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფო მხარდამჭერ ინსტრუმენტებში გენდერული მიდგომების ინტეგრირების კუთხით, კერძოდ, გაუმჯობესდა სახელმწიფო პროგრამებში გენდერული სტატისტიკის წარმოება, გენდერული ასპექტების გათვალისწინება და პროგრამების გენდერულ ჭრილში შეფასება. ამასთან, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალ მეწარმეთა პრიორიტეტიზაცია, რის შედეგადაც პროგრამაში ქალ ბენეფიციართა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

განხორციელდა შესაბამის უწყებათა თანამშრომლების გენდერული თანასწორობის შესახებ და სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროვების აღმოფხვრის შესახებ ტრენინგები.

მეშვიდე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაიწყო მწვანე ზრდის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი.

„აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ეკო-ინოვაციური მიდგომის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა საინფორმაციო სესიები, განხორციელდა კომპანიების ეკო-ინოვაციების პოტენციალის შეფასება, ახალი ბიზნეს მოდელის, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცდა მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია და ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესი. ეროვნული ბანკმა მოამზადა ანგარიში, სადაც წარმოდგენილია მდგრადი დაფინანსების მიმართულებით საქართველოში არსებული ტენდენციები და გატარებული პოლიტიკა, გაანალიზებულია კომერციული ბანკების მიერ ESG ფორმებში წარმოდგენილი ინფორმაცია.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებითა და ენერგეტიკული გაერთიანების წევრობით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში მომზადდა და დამტკიცდა შემდეგი აქტები: „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“, „ენერგოეფექტურობის შესახებ“, „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ და „ენერგოეტიკეტირების შესახებ“. ამასთან, აღნიშნული კანონების ფარგლებში მომზადდა კანონქვემდებარე აქტები.

აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, განხორციელდა აქტივობები ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, კერძოდ, მოეწყო საგანმანათლებლო და საფეხმავლო ბილიკები, შეიქმნა ახალი დაცული ტერიტორიები. მოხდა სამი ახალი ტურისტული მიმართულების იდენტიფიცირება და შერჩეულ მიმართულებებზე მომზადდა ტურისტული პროდუქტის განვითარების სამოქმედო გეგმა.

ნარჩენების მართვის სფეროში კანონით დაკისრებული მოთხოვნებისა და სტანდარტების შესახებ ბიზნესის ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა „გარემოსდაცვითი მმართველის” სასწავლო კურსები. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეგულაციების გაცნობის მიზნით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები, ჩატარდა ტრენინგები.

სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩოს შესაბამისად, 2025 წლის სამიზნე მაჩვენებლებად განსაზღვრული ამოცანების შედეგის ინდიკატორების შესრულება **დადებითი ტენდენციით ხასითდება** - 2025 წლისთვის მისაღწევი მაჩვენებლების შესრულება **40%-ს აღემატება.** საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიით და 2022 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული, შვიდივე

პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში გათვალისწინებული 97 აქტივობიდან **77 აქტივობა განხორციელდა სრულად, 12 აქტივობა შესრულდა მეტწილად, 6 აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ და 2 აქტივობა არ შესრულდა.**

შესავალი

საქართველოს 2021-2025 წლების მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია წარმოადგენს აღნიშნულ სფეროში ქვეყნის რიგით მეორე სტრატეგიულ დოკუმენტს. სტრატეგიის გრძელვადიანი ხედვა ეფუძნება ევროპული მცირე ბიზნესის აქტის უმთავრეს პრინციპს „უპირველესად იფიქრე მცირეზე“.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შექმნაზე, ბიზნეს სექტორის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობაზე, შესაბამისი ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასა და შედეგად, მათი მდგრადი განვითარების მყარი საფუძვლების შექმნაზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, პარტნიორ უწყებებთან თანამშრომლობით მომზადდა და საქართველოს მთავრობის მიერ, 2021 წელს დამტკიცდა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა (13.07.2021; N351). ამასთან, 2022 წელს დამტკიცდა აღნიშნული სტრატეგიის 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა (21.11.2022; N532). სტრატეგია სრულ შესაბამისობაშია ევროპული მცირე ბიზნესის აქტის 10-ვე პრინციპთან და მასში გათვალისწინებულია ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის კუთხით.

2025 წლისთვის სტრატეგიით განისაზღვრა სამიზნე მაჩვენებლები (საბაზისო წელი - 2019 წ):

- ✓ მცირე და საშუალო საწარმოების დამატებული ღირებულების ზრდა 20%-ით;
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 10%-ით;
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოთა მწარმოებლურობის ზრდა 20%-ით.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგია მოიცავს 7 ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას:

- ✓ **პრიორიტეტი 1.** საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის;
- ✓ **პრიორიტეტი 2.** მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარებისა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;
- ✓ **პრიორიტეტი 3:** ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- ✓ **პრიორიტეტი 4:** მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;

- ✓ **პრიორიტეტი 5:** ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის;
- ✓ **პრიორიტეტი 6:** ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ **პრიორიტეტი 7:** მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.

სტრატეგიის 2022 წლის სამოქმედო გეგმა, ზემოაღნიშნული 7 პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, ითვალისწინებს შესაბამის ამოცანებსა და აქტივობებს.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2022 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებზე, ჯამში, 22 პასუხისმგებელი უწყება განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია უწყებები და თითოეული უწყების მიერ 2022 წლისთვის განსაზღვრული აქტივობების რაოდენობა.

დიაგრამა 1. პასუხისმგებელი უწყებები და აქტივობები



სტრატეგიის თანახმად, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიაში წარმოდგენილი ამოცანების შედეგების მიღწევის და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების პროგრესის დადგენის მიზნით, განსაზღვრულია სამოქმედო გეგმის რეგულარული მონიტორინგი.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის 2022 წლის სამოქმედო გეგმის წლიურ ანგარიშს, რომელიც მომზადებულია მაკოორდინირებელი ორგანოს - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების/დეპარტამენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

ზოგადი პროგრესი

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის 2021-2025 წლების სტრატეგიის 7 პრიორიტეტული მიმართულება 2022 წლის სამოქმედო გეგმით ითვალისწინებს **42 ამოცანას, 84 ამოცანის შედეგის ინდიკატორს და 97 აქტივობას.**

სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩოს შესაბამისად, 2025 წლის სამიზნე მაჩვენებლებად განსაზღვრული ამოცანების შედეგის ინდიკატორების შესრულება დადებითი ტენდენციით ხასითდება.

სტრატეგიის შვიდივე პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულება ასევე **დადებითი ტენდენციით** ხასიათდება. კერძოდ, **97 აქტივობიდან 77 აქტივობა** შესრულდა სრულად, **12 აქტივობა** მეტწილად შესრულდა, **6 აქტივობა** ნაწილობრივ შესრულდა და ხოლო **2 აქტივობა** არ შესრულდა.

1 — **22 აქტივობა**
- განხორციელდა: **18 აქტივობა**
- მეტწილად შესრულდა: **1 აქტივობა**
- ნაწილობრივ შესრულდა: **1 აქტივობა**
- არ დაწყებულა: **2 აქტივობა**

2 — **16 აქტივობა**
- განხორციელდა: **14 აქტივობა**
- მეტწილად შესრულდა: **2 აქტივობა**

3 — **17 აქტივობა**
- განხორციელდა: **13 აქტივობა**
- მეტწილად შესრულდა: **3 აქტივობა**
- ნაწილობრივ შესრულდა: **1 აქტივობა**

4 — **11 აქტივობა**
- განხორციელდა: **11 აქტივობა**

5 — **8 აქტივობა**
- განხორციელდა: **6 აქტივობა**
- მეტწილად შესრულდა: **1 აქტივობა**
- ნაწილობრივ შესრულდა: **1 აქტივობა**

6 — **7 აქტივობა**
- განხორციელდა: **5 აქტივობა**
- მეტწილად შესრულდა: **2 აქტივობა**

7 — **16 აქტივობა**
- განხორციელდა: **10 აქტივობა**
- მეტწილად შესრულდა: **3 აქტივობა**
- ნაწილობრივ შესრულდა: **3 აქტივობა**

დეტალური პროგრესი

პრიორიტეტი 1. საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება					
ამოცანა 1.1. ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
1.1.1	OECD „SME Policy Index" კვლევაში „ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩო" კომპონენტის ქულა				
1.1.2	კანონმდებლობის ცვლილებისას ხორციელდება RIA SME ტესტი				
1.1.3	საბაჟო კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და საბაჟო პროცედურები გამარტივებულია				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
1.1.2	„RIA SME ტესტის" შესახებ ტრენინგების ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
1.1.3	ახალი საბაჟო კოდექსის აღსრულებისთვის ნორმატიული აქტების შემუშავება	განხორციელდა	100%		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
ამოცანა 1.2: მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
1.2.1	გადამზადებული იმ პერსონალის პროცენტული მაჩვენებელი, ვინც ადასტურებს, რომ ტრენინგზე მიღებულ ცოდნას და უნარებს ყოველდღიურ მუშაობაში გამოიყენებს				
1.2.2	მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის საბიუჯეტო დაფინანსება				
1.2.3	შერჩეული სახელმწიფო პროგრამების გავლენის შეფასების განხორციელება				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
1.2.1	სსიპ „აწარმოე საქართველოში" თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება/დატრენინგება	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში"
1.2.2	სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება / დატრენინგება	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო"
1.2.3	ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს" თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება/ დატრენინგება	განხორციელდა	100%		ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო"

ამოცანა 1.3. მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესება					
N	ამოცანის შედეგის ინდიკატორი				
1.3.1	მიმართულების რაოდენობა, სადაც ხელმისაწვდომია მცირე და საშუალო მეწარმეობის დეტალური სტატისტიკა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	
1.3.2	ტურიზმის სატელიტური ანგარიშების წარმოება	განხორციელდა	100%		საქსტატი
1.3.3	ბიზნეს სტატისტიკის წარმოება გენდერულ ჭრილში საწარმოთა ზომის მიხედვით	განხორციელდა	100%		საქსტატი
1.3.4	ICT სტატისტიკის წარმოება საწარმოთა ზომის მიხედვით	განხორციელდა	100%		საქსტატი
ამოცანა 1.4. კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა					
N	ამოცანის შედეგის ინდიკატორი				
1.4.1	კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების მიხედვით, შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების რაოდენობის ზრდა				
1.4.2.	ტრენინგები კონკურენციის კანონმდებლობაზე				
1.4.3.	კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების მიხედვით, შესაბამის ბაზარზე სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
1.4.1	„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე საქმეთა მოკვლევის ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო
1.4.2	კერძო სექტორისთვის (ბიზნესი, საკონსულტაციო კომპანიები, ადვოკატთა ასოციაცია), კონკურენციის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, ტრენინგების ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო
1.4.3	სააგენტოს მიერ სხვადასხვა სახის წარმოების ჩატარების ფარგლებში (საქმის მოკვლევა, ბაზრის მონიტორინგი, კონცენტრაციების შესახებ შეტყობინების განხილვა და ა.შ.) რეკომენდაციის გაცემა	განხორციელდა	100%		საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო
ამოცანა 1.5. ბიზნეს დავების სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტა					
N	ამოცანის შედეგის ინდიკატორი				
1.5.1.	არბიტრაჟის დასრულებული საქმეების რაოდენობა წლიურად				
1.5.2.	მედიაციის დასრულებული საქმეების რაოდენობა წლიურად				
1.5.3.	ბიზნესომბუდსმენისადმი მომართვების რაოდენობა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
1.5.1	საარბიტრაჟო დავები და მედიაციის პროცესის ადმინისტრირების განხორციელება	განხორციელდა	100%		საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა

1.5.3	არბიტრაჟთან მიმართებით საგანმანათლებლო ტიპის ღონისძიებები პრაქტიკოსი იურისტებისთვის	ნაწილობრივ შესრულდა	20%		საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
1.5.4	სასამართლო მედიაციის ცნობადობის ამაღლების მიზნით საინფორმაციო სესიების ჩატარება სასამართლოში მოსამართლეთა და მედიაციის ცენტრის კონსულტანტების/მედიატორების ჩართულობით	განხორციელდა	100%		საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; საერთო სასამართლოები კონსულტანტი მედიაციის საკითხებში
1.5.5	მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან თბილისში და რეგიონებში საინფორმაციო საკონსულტაციო შეხვედრები	არ დაწყებულა	0%		საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი
1.5.6	ბიზნესომბუდსმენის აპარატში ბიზნესებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ხაზის ფუნქციონირება	განხორციელდა	100%		საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი
1.5.7	დავის ალტერნატიული მექანიზმების (მედიაციის) შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი
1.5.8	მცირე და საშუალო ბიზნესზე საქართველოს კანონმდებლობის ზეგავლენის შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება	განხორციელდა	100%		საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი

ამოცანა 1.6. სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა

N	ამოცანის შედეგის ინდიკატორი
1.6.1.	მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა my.gov.ge-ზე
1.6.2.	მომხმარებელთა პროცენტული წილი, რომელთაც ელექტრონული სერვისი მიიჩნიეს 1) სასარგებლოდ, 2) მარტივად მოსახმარად
1.6.3.	მომხმარებლის მიერ ელექტრონულად დარეგისტრირებული განცხადებების რაოდენობა მთლიან განცხადებებში

N	აქტივობა	სტატუსი	პროგრესი	ფერი	პასუხისმგებელი
1.6.1	ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (My.gov.ge) მოხმარების შესახებ მეწარმე სუბიექტების დატრენინგება	არ დაწყებულა	0%		სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო”

ამოცანა 1.7. გაკოტრების და რეაბილიტაციის სისტემის განვითარება

N	ამოცანის შედეგის ინდიკატორი
1.7.1.	გადახდისუუნარობის საქმეთა მთლიან რაოდენობაში ლიკვიდაციის ნაცვლად საწარმოს რეაბილიტაციით დასრულებულ გადახდისუუნარობის საქმეთა წილი

ამოცანა 1.8. მცირე და საშუალო მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება რეგულაციების ცვლილებებთან და საჯარო-კერძო დიალოგის განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
1.8.1	კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოს სხდომების რაოდენობა				
1.8.2	სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის სხდომების რაოდენობა				
1.8.3	DCFTA-ით გათვალისწინებული ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების რაოდენობა, რომელთან დაახლოების მიზნით მომზადებული საკანონმდებლო პროექტები კომენტარებისთვის განთავსებულია dcfta.gov.ge-ზე				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
1.8.1	კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოს სხდომების ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
1.8.2	DCFTA-ის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა და ინფორმირებულობის მიზნით, სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის სხდომების ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
1.8.3	DCFTA-ით გათვალისწინებული ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების პროექტების კომენტარებისთვის dcfta.gov.ge-ზე განთავსება	მეტწილად შესრულდა	60%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

პრიორიტეტი 2. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა

ამოცანა 2.1 შრომის ბაზრის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
2.1.1.	შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგების პრეზენტაცია/განხილვის რაოდენობა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
2.1.1	ეკონომიკის ორ სექტორში (ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორები) უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის განხორციელება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

2.1.2	ეკონომიკის სექტორების სრულად მოცვით უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის განხორციელება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
2.1.3	შრომის ბაზრის წლიური ანალიზის მომზადება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ამოცანა 2.2. უსაფრთხო შრომითი გარემოს საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლება

N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
2.2.1.	ჩატარებული ტრენინგების/შეხვედრების რაოდენობა წლიურად
2.2.2.	ტრენინგების / შეხვედრების მონაწილეთა %-ული წილი, რომელიც აცხადებს, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები მათ დაეხმარება გაუმჯობესონ შრომის უსაფრთხოების დაცვის სტანდარტი ან შრომის უსაფრთხოების რეგულაციებთან შესაბამისობის ხარისხი

N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
2.2.1	დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ინფორმირების მიზნით, შეხვედრების ჩატარება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესების შესახებ	განხორციელდა	100%		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ამოცანა 2.3. სამეწარმეო უნარების გაძლიერება რეგულარული ტრეინინგების გზით

N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
2.3.1.	დატრენინგებულ მეწარმეთა პროცენტული წილი, რომლებიც თვლიან, რომ ტრენინგის განმავლობაში მიღებული უნარები და ცოდნა გამოადგებათ საკუთარი ბიზნესის გაუმჯობესებაში

N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
2.3.1	მიკრო და მცირე მეწარმეთა ტრენინგი მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში.	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
2.3.3	სსიპ “ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს” რეგიონალურ ინოვაციურ ცენტრებში ტექნოლოგიურ უნარებთან მიმართებით ტრენინგების ჩატარება	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო”

ამოცანა 2.4. მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება

N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
2.4.1.	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (პსდ-ები) რაოდენობა, სადაც დანერგილია მეწარმეობრივი კულტურის კონცეფცია
2.4.2.	მოკლევადიანი პროფესიული მომზადება - გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა
2.4.3.	დანერგილი დუალური მიდგომის პროფესიული პროგრამების რაოდენობა

N	აქტივობა	სტატუსი	პროგრესი	ფერი	პასუხისმგებელი
2.4.1.	განათლების სფეროში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარების 2021-2025 წწ სტრატეგიის განვითარება და დანერგვის დაწყება	მეტწილად შესრულდა	70%		საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
2.4.2.	დუალური მიდგომით პროფესიული პროგრამების განხორციელება	განხორციელდა	100%		საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
2.4.4	მეწარმეობრივი კულტურის კონცეფციის დანერგვის დაწყება სისტემურ დონეზე	მეტწილად შესრულდა	51%		საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
2.4.6	სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეკონომიკური საქმიანობის გახორციელების დანერგვა	განხორციელდა	100%		საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
2.4.7	პროფესიულ განათლებაში ზრდასრულთა სწავლების მასშტაბის გაზრდის მიზნით, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელება	განხორციელდა	100%		საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ამოცანა 2.5. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS), შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემისა (WORKNET) და შესაბამისი სერვისების განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
2.5.1.	სერვისების მიმღებთა რაოდენობა				
2.5.2.	სერვისების მიმღებთა რაოდენობა, რომელიც დასაქმდება				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
2.5.1	დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის აქტივობები: შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარება; შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა; საშუამავლო მომსახურება; მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობა (შრომის ანაზღაურების სუბსიდირება); დასაქმების ფორუმების მოწყობა; ვაკანსიების მონიტორინგი და თვისებრივი კვლევების განხორციელება მინიმუმ წელიწადში ერთხელ; სააგენტოს საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება; სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა	განხორციელდა	100%		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

2.5.2	სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის აქტივობები: ა) პროფესიული კონსულტაციისა (პროფკონსულტაცია) და კარიერის დაგეგმვის მომსახურება; საკვანძო კომპეტენციების განვითარება; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება (სტაჟირება)	განხორციელდა	100%		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ამოცანა 2.6 ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პოპულარიზაცია					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
2.6.1.	დატრენინგებულ კომპანიათა რაოდენობა				
2.6.2	შემუშავებული ESG სახელმძღვანელო				
2.6.3.	დატრენინგებულ კომპანიათა რაოდენობა, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი უნარები დაეხმარება RBC / ESG პრინციპების იმპლემენტაციაში				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
2.6.2	პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევის მიმართულებით საუკეთესო მაგალითების ყოველწლიური პუბლიკაციის შექმნა	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
2.6.4	მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის სახელძღვანელოს შექმნა ESG (გარემოსდაცვის, სოციალური და მმართველობითი) მიმართულებით	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
2.6.5	ESG სახელმძღვანელოს შესახებ ცნობიერების ამაღლება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებთან საინფორმაციო სესიების საშუალებით	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
ამოცანა 2.7. ფართოზოლოვანი ინტერნეტის საშუალებით ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
2.7.1.	ციფრული წიგნიერების (მათ შორის ციფრული უნარების) ხელშემწობი პროგრამებით მოცული დასახლებების რაოდენობა				

პრიორიტეტი 3: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ამოცანა 3.1. სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
3.1.1.	შექმნილი ახალი პროდუქტები ან განახლებული არსებული პროდუქტები				
3.1.2.	სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებში მონაწილე კომპანიების % მაჩვენებელი, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მიიღონ დაფინანსება არასახელმწიფო წყაროებიდან სახელმწიფო დაფინანსების პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**

3.1.1	აგროკრედიტების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება (შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი)	განხორციელდა	100%		ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”
3.1.2	სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება (აგროდაზღვევის პროგრამა)	მეტწილად შესრულდა	80%		ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”
3.1.3	თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა (პროგრამა „დანერგე მომავალი”)	განხორციელდა	100%		ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”
3.1.4	ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა	მეტწილად შესრულდა	51%		ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”
3.1.5	სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის განხორციელება	განხორციელდა	100%		ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”
3.1.6	მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა	მეტწილად შესრულდა	85%		ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”
3.1.7	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გადამამუშავებელი დანადგარებით აღჭურვა	განხორციელდა	100%		ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”
3.1.8	ფერმერებისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება (მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი)	განხორციელდა	100%		ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”
3.1.9	პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა	განხორციელდა	100%		ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”
3.1.10	სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსება პროგრამის „აწარმოე საქართველოში” ფარგლებში	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
3.1.11	საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში სესხების გარანტიის გაცემა	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
3.1.12	მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მიკრო გრანტების გაცემა	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
3.1.13	სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში” არსებული პროგრამების განახლება	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”

ამოცანა 3.2. დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარება	
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
3.2.1.	ლიზინგის პორტფელის მოცულობა
3.2.2.	ფაქტორინგის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო

ამოცანა 3.3. ფინანსური განათლების შემდგომი გაუმჯობესება	
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

3.3.1.	ტრენინგის მონაწილეთა %-ული წილი, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები და ცოდნა დაეხმარება მათ უკეთესად წარმართონ თავიანთი კომპანიის ფინანსები
3.3.2.	საგანმანათლებლო პოსტები ფინანსური განათლების პორტალის სოციალური ქსელით
3.3.3.	მეწარმეთა ფინანსური განათლების არსებული ქულა
ამოცანა 3.4. გირავნობის საგნის გაფართოება	
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
3.4.1.	რეგისტრირებული მიწების ფართობი
3.4.2.	სესხები უძრავი ქონების უზრუნველყოფით
ამოცანა 3.5 მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდა	
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
3.5.1.	ანგარიშგების წარდგენის მაჩვენებელი
3.5.2.	ტრენინგების და გადამზადებული პირების რაოდენობა
3.5.3.	გადამზადებული ბუღალტერების %-ული წილი, რომელთა მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არის გაუმჯობესებული ხარისხის

N	აქტივობა	სტატუსი	პროგრესი	ფერი	პასუხისმგებელი
3.5.1	საწარმოთა მიერ წარდგენილი ანგარიშგების წესთან და კანონთან შესაბამისობის დადგენა და ანგარიშგებების გასაჯაროება	განხორციელდა	100%		სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხ. სამსახური”
3.5.2	მსს ფასს ტრენინგების სტიმულირება დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით	ნაწილობრივ შესრულდა	30%		სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხ. სამსახური”
3.5.3	ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ჩატარება	განხორციელდა	100%		სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური”

ამოცანა 3.6 Venture Capital (VC) და „business angels” ეკოსისტემის შემდგომი განვითარება	
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
3.6.1.	ინვესტიციები “VC” და „business angels” ფონდებიდან წლიურად

N	აქტივობა	სტატუსი	პროგრესი	ფერი	პასუხისმგებელი
3.6.1	თანადაფინანსების გრანტების 650 000 ლარიანი პროგრამის განხორციელება (ითვალისწინებს კერძო ინვესტიციების მოზიდვასაც)	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო”

პრიორიტეტი 4. მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა					
ამოცანა 4.1 საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენების ხელშეწყობა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
4.1.1.	ჩატარებულ ღონისძიებებთან მიმართებით კომპანიების კვლევის საფუძველზე გამოვლენილი კომპანიების დადებითი უკუკავშირი				
4.1.2.	b2b შეხვედრების რაოდენობა, რომელიც ჩატარდა მხარდაჭერილი კომპანიებსა და საერთაშორისო მყიდველებს შორის				
4.1.3.	იდენტიფიცირებული საექსპორტო პოტენციალის მქონე ახალი პროდუქტის/მომსახურების რაოდენობა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
4.1.1	ქართული კომპანიების საერთაშორისო გამოფენებში/ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში“
4.1.2	ექსპორტ/იმპორტის საკითხებზე ინდივიდუალური კონსულტაცია; პარტნიორის მოძიებაში მხარდაჭერა; სავაჭრო პარტნიორებს შორის პრობლემური ქეისების განხილვაში დახმარება; საერთაშორისო პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და დახმარება; მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო გამოფენების და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და სხვა	განხორციელდა	100%		საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
ამოცანა 4.2. DCFTA-ის შესაძლებლობების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
4.2.1.	ევროკავშირის ბაზარზე აქცენტირებული ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც თვლის, რომ DCFTA– ს შესახებ მიღებულ ცოდნას გამოიყენებს ყოველდღიურ მუშაობაში				
4.2.2.	DCFTA.gov.ge ვებგვერდის ვიზიტორთა რაოდენობა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
4.2.1	შეხვედრების და ტრენინგების მოწყობა DCFTA-თან დაკავშირებულ საკითხებზე	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო”
4.2.2	ექსპორტის მენეჯერთა გადამზადების კურსი	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
4.2.3	DCFTA-ს შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით თემატური შეხვედრები ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების, აკადემიური წრეების	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

	წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან				
4.2.4	DCFTA-ს შესახებ ვებ-გვერდის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საიტზე განთავსებული ინფორმაციის მუდმივი განახლება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ამოცანა 4.3. ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის, მათ შორის შესაბამისი ინსტიტუტების (აკრედიტაცია, მეტროლოგია, სტანდარტიზაცია და ა.შ.) განვითარება საერთაშორისო და/ან ევროპულ პრაქტიკასთან შემდგომი დაახლოების მიზნით					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
4.3.1.	საერთაშორისო და ევროკავშირის ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების მიერ აღიარებული აკრედიტაციის სფეროები				
4.3.2.	დაინტერესებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტების რაოდენობა				
4.3.3.	მეტროლოგიის სფეროში დაინტერესებული პირებისათვის გაწეული სერვისების გაზრდილი დიაპაზონი და/ან სფერო, მათ შორის საერთაშორისო დონეზე აღიარებული სერვისები				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
4.3.2	ლაბორატორიების საერთაშორისო კომიტეტთან (ILAC) და აკრედიტაციის საერთაშორისო ფორუმთან (IAF) მრავალმხრივი/ორმხრივი შეთანხმების ხელმოწერა ურთიერთაღიარების შესახებ	განხორციელდა	100%		სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი”
4.3.3	სსიპ აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოსა და ევროპული აკრედიტაციის ორგანიზაციას (EA) შორის გაფორმებული ორმხრივი აღიარების შეთანხმებით განსაზღვრული სფეროების რაოდენობის შენარჩუნება ან გაზრდა	განხორციელდა	100%		სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი”
4.3.4	მეტროლოგიის სფეროში ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლების პროცესის გაგრძელება ახალი (მათ შორის ფიზ-ქიმიური გაზომვების მიმართულებით) ან/და გაუმჯობესებული სერვისების მიწოდების მიზნით	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო”
4.3.5	GEOSTM-ის მეტროლოგიის ინსტიტუტის შესაბამისი პერსონალის ტრენინგი (მათ შორის, ონ-ლაინ) ახალი მიმართულების სერვისების დაფარვის მიზნით	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო”
ამოცანა 4.4. ინვესტიციების და SME-ების კავშირების გაძლიერება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
4.4.1.	პოტენციური ადგილობრივი მეწარმეების / მომწოდებლების მონაცემთა ბაზა, რომლებიც შეთავაზებულ იქნებიან საქართველოში არსებულ უცხოელ ინვესტორებს (მინიმუმ 60 პირდაპირი უცხოური ინვესტიციის კომპანია)				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**

4.4.1	დაკავშირება ბიზნეს ასოციაციებთან ბაზაში შესატანი პოტენციალის მქონე კომპანიების გამოსავლენად	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”

პრიორიტეტი 5. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა					
ამოცანა 5.1. ინოვაციური დაფინანსების განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
5.1.1.	ინოვაციური დაფინანსების სახელმწიფო პროდუქტების ბენეფიციარების რაოდენობა				
5.1.2.	იმ მცირე და საშუალო მეწარმეების რაოდენობა, რომლებმაც შეიმუშავეს ინოვაციური პროდუქტი (პროტოტიპის დონეზე) ან მომსახურება, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ბენეფიციართა შორის				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
5.1.1	100,000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის და 650,000 ლარიანი ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის (GENIE) პროექტის განხორციელება	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო”
5.1.2	მცირე გრანტების (15,000 ლარამდე) პროგრამის განხორციელება	მეტწილად შესრულდა	75%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო”
ამოცანა 5.2. ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშეწყობა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
5.2.1.	დატრენინგებული ბენეფიციარების რაოდენობა				
ამოცანა 5.3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
5.3.1.	საკანონმდებლო და ტექნიკური ჩარჩო ფართოზოლოვანი ქსელების განვითარებისთვის				
5.3.2.	მეწარმეთა რაოდენობა რომელთაც გაიარეს ტრენინგი ციფრულ უნარებში				
5.3.3.	ციფრული უნარების ტრენინგების მიმღებ მეწარმეთა რაოდენობაში იმ მეწარმეთა %-ული წილი, რომლებმაც მიიღეს საერთაშორისო სერთიფიკატი, რაც სამუშაოს მიღების წინაპირობას წარმოადგენს				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
5.3.1	საკანონმდებლო და ტექნიკური ჩარჩოს მომზადება ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების ხარჯების შესამცირებლად	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
5.3.2	ICT ტრენინგების ჩატარება	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო”
5.3.3	ტრენინგების ჩატარება ფრონტ-ენდ დეველოპმენტში, სოციალურ მედია მენეჯმენტსა და ქოფირაითინგში და გრაფიკულ დიზაინში	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო”

ამოცანა 5.4. ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება					
N	ამოცანის შედეგის ინდიკატორი				
5.4.1.	ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ინტერნეტ ქსელებით დაფარული დასახლებული პუნქტების რაოდენობა				
5.4.2.	ინტერნეტ ქსელებით დაფარული მაღალმთიან რეგიონების დასახლებული პუნქტების (<200 მოსახლეობით) რაოდენობა (სათემო ინტერნეტიზაცია)				
5.4.3.	ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოფლად აშენებული ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელების სიგრძე (კმ)				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
5.4.1	საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, სამიზნე გეოგრაფიულ არეალებში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (პროგრამის კოორდინატორი) ა(ა)იპ „ოუფენ-ნეტი”
5.4.3	მაღალმთიან რეგიონში სათემო ინტერნეტიზაციის პროექტის განხორციელება	ნაწილობრივ შესრულდა	40%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ამოცანა 5.5. მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების განვითარება					
N	ამოცანის შედეგის ინდიკატორი				
5.5.1.	მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების გადაწყვეტილი პრობლემები				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
5.5.1	მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორებთან დიალოგის გაძლიერების, მათი საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით შეხვედრების ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ამოცანა 5.6 კვლევასა და ინდუსტრიას შორის კავშირების გაღრმავება		
N	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	
5.6.1.	ტექნოლოგიური გადაცემების პროექტების რაოდენობა, რომელიც კომერციალიზაციის ეტაპზე გადავიდა	

პრიორიტეტი 6. ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

ამოცანა 6.1. „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების” (WEPs) პოპულარიზაცია	
N	ამოცანის შედეგის ინდიკატორი
6.1.1.	„ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების” შესახებ საინფორმაციო სესიების რაოდენობა

6.1.2.	ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც ადასტურებს რომ ტრენინგის შედეგად მიღებული ცოდნა დაეხმარება მათ ხელი შეუწყონ თავიანთ საქმიანობაში გენდერულ თანასწორობის საკითხებთან მიმართებით				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
6.1.1	ქალთა გაძლირების პრინციპებთან დაკავშირებით საინფორმაციო სესიების ორგანიზება კომპანიების წარმომადგენლებისთვის	განხორციელდა	100%		სსიპ "აწარმოე საქართველოში"
6.1.2	ყოველწლიური ღონისძიების „დარეკე ზარი გენდერული თანასწორობისთვის" (Ring the Bell for Gender Equality) ორგანიზება	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში"
6.1.3	ქალი მეწარმეებისთვის ინფორმაციის მიწოდება სააგენტოს პროგრამების შესახებ	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში"
6.1.4	ქალთა ინოვაციებსა და ტექნოლოგიებში ჩართულობის მიზნით ქალი მეწარმეებისთვის ინფორმაციის მიწოდება სააგენტოს პროგრამების შესახებ	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო"
ამოცანა 6.2. გენდერული ნიშნით სტატისტიკის გაუმჯობესება სახელმწიფო პროგრამებში					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
6.2.1.	სახელმწიფო პროგრამების სტატისტიკა წარმოდგენილია გენდერული ნიშნით				
ამოცანა 6.3. სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობის წახალისება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
6.3.1.	„მიკრო გრანტების" სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ქალების წილი				
ამოცანა 6.4. ქალებში ციფრული უნარ-ჩვევების გაძლიერება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
6.4.1.	ქალ-მეწარმეთა რაოდენობა ციფრულ უნარებთან დაკავშირებულ ტრენინგებში				
6.4.2.	ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი ციფრული უნარები დაეხმარება ბიზნეს საქმიანობის გაუმჯობესებაში				
ამოცანა 6.5. სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდა გენდერული მიდგომების განვითარებისთვის					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
6.5.1.	გენდერული მიდგომების განვითარებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა				
6.5.2.	ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი. რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი უნარები სასარგებლო იქნება მათ საქმიანობაში გენდერზე დაფუძნებული მიდგომის თვალსაზრისით				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
6.5.1	სსიპ „აწარმოე საქართველოში" თანამშრომელთა ტრენინგი გენდერულ თანასწორობაზე, გენდერული კუთხის გათვალისწინებით პროგრამების ორგანიზებასა და ანალიზის საკითხებში	მეტწილად შესრულდა	60%		სსიპ „აწარმოე საქართველოში"
6.5.2	სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" სისტემაში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური	განხორციელდა	100%		სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო"

	მექანიზმის ეფექტიანი მუშაობის მიზნით თანამშრომელთა გადამზადება				
6.5.3	საჯარო უწყებების თანამშრომელთა ტრენინგის ჩატარება გენდერული გავლენის შეფასების საკითხებში	მეტწილად შესრულდა	51%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

პრიორიტეტი 7. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა					
ამოცანა 7.1. მწვანე ზრდის სტრატეგიის განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
7.1.1.	მწვანე ზრდის 2022-2027 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
7.1.1	მწვანე ზრდის 2022-2027 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება	ნაწილობრივ შესრულდა	20%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ამოცანა 7.2 ეკო-ინოვაციის მიდგომის პოპულარიზაცია					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
7.2.1.	კომპანიათა რაოდენობა, რომელთანაც შედგა საინფორმაციო შეხვედრები				
7.2.2.	მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა, რომელშიც ეკო-ინოვაციური მიდგომა დანერგილია				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
7.2.2	მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ეკო-ინოვაციური მიდგომის პოპულარიზაციის მიზნით საინფორმაციო სესიების ორგანიზება კომპანიებისთვის, მთავრობის წარმომადგენლებისთვის და ბიზნეს ასოციაციებისთვის	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
7.2.3	კომპანიების მხარდაჭერა ეკო-ინოვაციების მიდგომის დანერგვის მიმართულებით პოლიტიკის დონეზე და ბიზნეს ოპერაციებში	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
ამოცანა 7.3. მწვანე დაფინანსების განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
7.3.1.	„მწვანე” ფინანსური პროდუქტების არსებობა				
7.3.2.	მდგრადი ფინანსების ტაქსონომიის არსებობა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
7.3.1	მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის დოკუმენტის შემუშავება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეროვნული ბანკი
ამოცანა 7.4. საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
7.4.1.	საკანონმდებლო ჩარჩო დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობას				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**

7.4.1	ენერგოეტიკეტირების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად შემუშავებული ენერგომომხმარებელი მოწყობილობების ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცება	ნაწილობრივ შესრულდა	30%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
7.4.2	კანონქვემდებარე აქტების შემუშავება „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
7.4.3	კანონქვემდებარე აქტების შემუშავება „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად	მეტწილად შესრულდა	80%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
7.4.4	კანონქვემდებარე აქტების შემუშავება „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად	მეტწილად შესრულდა	85%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
7.4.5	კანონქვემდებარე აქტების შემუშავება „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად	მეტწილად შესრულდა	80%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
7.4.6	კანონქვემდებარე აქტების შემუშავება „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად	ნაწილობრივ შესრულდა	40%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ამოცანა 7.5. ეკოტურიზმის განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
7.5.1.	საქართველოს ეკოტურიზმის 2021-2031 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა				
7.5.2.	ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით კეთილმოწყობილი ბილიკები				
7.5.3.	დაცული ტერიტორიების გაზრდილი ფართობი				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
7.5.2	სამი ახალი ტურისტული მიმართულების იდენტიფიცირება	განხორციელდა	100%		სსიპ „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია”
7.5.3	შერჩეულ მიმართულებებზე ტურისტული პროდუქტის განვითარების სამოქმედო გეგმის განსაზღვრა	განხორციელდა	100%		სსიპ „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია”
7.5.4	ბილიკების კეთილმოწყობა	განხორციელდა	100%		სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“

7.5.5	ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის - ვიზიტორთა თავშესაფრის აშენება-მოწყობა	განხორციელდა	100%		სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“
ამოცანა 7.6. გარემოსდაცვით საკითხებზე მცირე და საშუალო მეწარმეების ცნობიერების ამაღლება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
7.6.1.	ტრენინგების იმ კურსდამთავრებულთა პროცენტული წილი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ შეძენილი ცოდნა დაეხმარება გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებაში				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
7.6.1	ტრენინგების განხორციელება მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის	განხორციელდა	100%		სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი”
7.6.2	საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება ახალი საკანონმდებლო რეგულაციების გაცნობის მიზნით	განხორციელდა	100%		სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი”

პრიორიტეტი 1. საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება

საკანონმდებლო დახვეწის, ინსტიტუციური გაძლიერებისა და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესების მიზანი მდგომარეობს **მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის და ფუნქციონირების შესაძლებლობების შექმნა/გაფართოებაში.** აღნიშნული ძირითადი პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში დასახული მიზნის მიღწევის გავლენის ინდიკატორია SME-ის მიერ გამოშვებული პროდუქციის ზრდა (საბაზისო 2019წ. - 27.7 მლრდ. ლარი; სამიზნე მაჩვენებელი 2025 წ. – 20%-იანი ზრდა). 2021 [3] წელს SME-ის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობამ ნომინალში 30.6 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც 10.4%-ით აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს.

პირველი პრიორიტეტული მიმართულება - საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება - აერთიანებს 8 ამოცანას და 22 აქტივობას.

ამოცანა 1.1. ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1: OECD „SME POLICY INDEX" კვლევაში „ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩო" კომპონენტის ქულა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვლევა „მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი"[4] (SME Policy Index) ქვეყნებს აფასებს არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პოლიტიკის „ევროპის მცირე ბიზნესის აქტთან" შესაბამისობის თვალსაზრისით. აღნიშნული ინდექსი საქართველოს, აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებთან ერთად (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა, უკრაინა), აფასებს მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის 12 მიმართულების მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა 34 ქვეკომპონენტად.

[3] 2022 წლის შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები, საქსტატის მონაცემების გამოქვეყნების კალენდრის შესაბამისად, ხელმისაწვდომი იქნება 2023 წლის ოქტომბერში

[4] OECD, SME Policy Index: Eastern Partner Countries 2020 იხ. https://www.oecd.org/publications/sme-policy-index-eastern-partner-countries-2020-8b45614b-en.htm

ინდექსის ერთ-ერთი კომპონენტია „ინსტიტუციური და მარეგულირებელი გარემო", სადაც საქართველოს შეფასება 4.2 ქულას[5] შეადგენს და ამ შეფასებით ქვეყანა პირველ პოზიციას იკავებს.

„მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი" ქვეყნდება ოთხ წელიწადში ერთხელ. „SME Policy Index 2020" წარმოადგენს 2012 და 2016 წლებში ჩატარებული კვლევების შემდგომ ჩატარებულ კვლევის მე-3 რაუნდს. კვლევის მე-4 რაუნდი „SME Policy Index 2024" დაიწყო 2022 წელს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (ეროვნული კოორდინატორი) ხელმძღვანელობით შეივსო ონლაინ კითხვარი. კვლევის შედეგები გამოქვეყნდება 2024 წელს.

„ინსტიტუციური და მარეგულირებელი გარემო" აფასებს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესთან მიმართებით სახელმწიფო პოლიტიკის მრავალწლიანი სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის არსებობას, შესაბამისი ინდიკატორების და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით. აღნიშნული კომპონენტის შეფასება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ მოხდება „მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსის" მე-4 რაუნდის ფარგლებში, რომელიც გამოქვეყნდება 2024 წელს.

2021-2025 წლების საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია, რომელიც 2016-2020 წლების სტრატეგიის ფარგლებში მიღწეული შედეგების ანალიზის და ამასთან, არსებული გამოწვევების საპასუხოდ იქნა მიღებული, სრულ შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან და ასევე, „ევროპის მცირე ბიზნესის აქტის" მოთხოვნებთან. შესაბამისად, მისი იმპლემენტაცია „SME Policy Index"-ის მე-4 რაუნდის შეფასებისას საქართველოს მაჩვენებლის გაუმჯობესების რეალურ წინაპირობას წარმოადგენს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.2: კანონმდებლობის ცვლილებისას ხორციელდება RIA SME ტესტი.

ინსტიტუციური და მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესების ფარგლებში, ერთ-ერთ პრიორიტეტად განიხილება ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) სისტემის განვითარება, მათ შორის, ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, კანონმდებლობის ცვლილებისას RIA SME ტესტის განხორციელება.

„ევროკავშირს და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა - II" ფარგლებში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

[5] იქვე: შენიშვნა: რეიტინგი მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით ქვეყნებს აფასებს 5 ბალიანი შკალით, 1-დან 5 ქულამდე, სადაც 5 ქულა საუკეთესოა.

განვითარების სამინისტროს ჩართულობით მომზადდა „The simplified Regulatory Impact Assessment of the technical regulation on the limitation of emissions of VOCs due to the use of organic solvents in certain paints and varnishes and vehicle refinishing products". ანგარიშში შეფასდა შემოთავაზებული ალტერნატივების ხარჯ-სარგებელი და მისი გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე.

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ საქართველოში სურსათის დანაკარგების, ნარჩენების, დონაციის პოლიტიკისა და კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი და შეფასება ჩატარდა. შედეგად, მუშავდება სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების კანონპროექტი საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტთან თანამშრომლობით. 2022 წელს, FAO-ს მხარდაჭერით ISET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა მოამზადა სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება. კვლევაში შეფასდა სურსათის დანაკარგების, ნარჩენების მართვისა და ადმინისტრირებისთვის ყველაზე მართებული მექანიზნები და მისი გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე, როგორიცაა სურსათის ბიზნეს ოპერატორები და საცალო მოვაჭრეები.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.3: საბაჟო კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და საბაჟო პროცედურები გამარტივებულია.

დასრულდა პროცესი ახალი საბაჟო კოდექსის აღსრულების მიზნით კოდექსით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების შემუშავებაზე. აღნიშნული ითვალისწინებს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და პროცედურებთან დაახლოებას.

- ✓ **აქტივობა 1.1.2: „RIA SME ტესტის" შესახებ ტრენინგების ჩატარება.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ „ვასწავლიდი-ვისწავლიდი" (iTeach & iLearn with MoESD) პროგრამის ფარგლებში 2022 წლის განმავლობაში, ორ ეტაპად ჩატარდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) და RIA SME ტესტის ტრენინგი. ტრენინგს ესწრებოდნენ სამინისტროს ცენტრალური აპარატის და სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლები.

- ✓ **აქტივობა 1.1.3: ახალი საბაჟო კოდექსის აღსრულებისთვის ნორმატიული აქტების შემუშავება.**

ახალი საბაჟო კოდექსიდან გამომდინარე, მომზადებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტები, რომელთა ინიცირება/მიღება მოხდება დადგენილი წესის შეაბამისად.

ამოცანა 1.2. მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1: გადამზადებული პერსონალი, ვინც ადასტურებს, რომ ტრენინგზე მიღებულ ცოდნას და უნარებს ყოველდღიურ მუშაობაში იყენებს.

მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციური გაძლიერების ფარგლებში განხორციელდა სააგენტოების „აწარმოე საქართველოში", „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" და „სოფლის განვითარების სააგენტოს" თანამშრომელთა ტრენინგები.

2022 წლის განმავლობაში, სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" 85 თანამშრომელი; სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" - 17 თანამშრომელი; ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს" - 247 თანამშრომელი.

აღნიშნულმა ტრენინგებმა, განსაზღვრული მიზნის ფარგლებში, ხელი შეუწყო თანამშრომელთა იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლებიც მათ აძლევს შესაძლებლობას, მიღებული ცოდნა და უნარები გამოიყენონ ყოველდღიურ საქმიანობაში, წარმართონ საქმიანობა ეფექტიანად და უზრუნველყონ პროცესების მართვა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.2: მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის საბიუჯეტო დაფინანსება.

2022 წელს, მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის საბიუჯეტო დაფინანსებამ **521.7 მლნ. ლარი** შეადგინა. მათ შორის, სსიპ „აწარმოე საქართველოში" სააგენტოს პროგრამების ბიუჯეტმა 232.4 მლნ. ლარი შეადგინა; სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" ბიუჯეტი 2022 წელს 28.2 მლნ. ლარს გაუტოლდა, რაც 34.3%-ით აღემატება 2021 წლის ბიუჯეტს; ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს" ბიუჯეტმა სხვადასხვა პროექტის და პროგრამის ფარგლებში შეადგინა 261,1 მლნ. ლარი, რაც 27.2%-ით აღემატება 2021 წლის ბიუჯეტს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.3: შერჩეული სახელმწიფო პროგრამების გავლენის შეფასების განხორციელება.

2022 წელს სააგენტომ „აწარმოე საქართველოში" მოამზადა გავლენის შეფასების საპილოტე ანგარიში მეწარმეობისა და ექსპორტის მხარდამჭერი პროგრამების/მექანიზმებისათვის. აღნიშნული ანგარიშების საფუძველზე,

განხორციელდა სააგენტოში დანერგილი პროგრამების/მექანიზმების შეფასება. პირველი სრულყოფილი/გაფართოებული/საბოლოო ანგარიში, რომლის ფარგლებშიც შეფასდება მეწარმეობისა და ექსპორტის ყველა აქტივობა, დასრულდება 2023 წლის პირველ კვარტალში. აღნიშნულ შეფასებას ექნება ყოველწლიური ხასიათი.

- ✓ **აქტივობა 1.2.1: სსიპ „აწარმოე საქართველოში" სააგენტოს თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება/დატრენინგება.**

2022 წელს, გადამზადდა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" 14 თანამშრომელი, მათგან 2 გადამზადდა IT Project Management-ში, ხოლო 12 - ექსელის კურსის ფარგლებში. გადამზადებული 14 თანამშრომლიდან 86% თვლის, რომ მიღებული ცოდნა და უნარები ეხმარებათ ყოველდღიურ მუშაობაში.

- ✓ **აქტივობა 1.2.2: სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება/დატრენინგება.**

2022 წლის განმავლობაში „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების" სააგენტოს 17 თანამშრომელი დატრენინგდა სხვადასხვა მიმართულებით:

- ონლაინ ტრენინგი სოციალური მედიის და მარკეტინგის მიმართულებით;
- აშშ-ის საელჩოსა და საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარდა - „უნივერსიტეტების შესაძლებლობების განვითარების პროგრამა". აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავდა უნივერსიტეტებში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებას, კვლევის კომერციალიზაციის მხარდაჭერას და ტექნოლოგიების გადაცემის მიმართულების გაძლიერებას. „უნივერსიტეტების შესაძლებლობების განვითარების პროგრამის" ფარგლებში, 2022 წლის 16 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით, ჩატარდა სასწავლო ვიზიტი აშშ-ში, ქ. ვაშინგტონსა და ქ. ნიუ იორკში, რომლის მიზანი იყო კვლევის კომერციალიზაციისა და ტექნოლოგიების გადაცემის მიმართულებით ამერიკული მოდელის გაცნობა, გამოცდილების გაზიარება და ამერიკულ უნივერსიტეტებთან, ორგანიზაციებთან თანამშრომლობა/პარტნიორობა. სასწავლო ვიზიტის განმავლობაში მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ამერიკულ უნივერსიტეტებში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მართვის, ტექნოლოგიების გადაცემის და მეცნიერებისა და მეწარმეობის ხელშეწყობის სხვადასხვა მიდგომებს;
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) „დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი" SIYB პროგრამის სასერთიფიკატო ტრენერთა ტრენინგი;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროექტის „ვასწავლიდი - ვისწავლიდი" ფარგლებში ტრენინგები - ღონისძიებების მართვა; სამეწარმეო აზროვნება, რეგულირების ზეგავლენის შეფასება; საჯარო გამოსვლა, პრეზენტაციული უნარები და მედიასთან ურთიერთობა და სხვა.

- ✓ **აქტივობა 1.2.3: ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს" თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება/დატრენინგება.**

2022 წლის განმავლობაში სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს" (RDA) 226 თანამშრომელი, მათ შორის, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა, მოცვის წარმოების აგროტექნიკა, ვაშლის ბაღებში განსახორციელებელი ფიტოსანიტარული საკითხები, ცხოველთა დაავადებები და კვება, მაყვლის, ჟოლოს, ლურჯი მოცვის წარმოება, ციფრული მარკეტინგი, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა, ვაშლის წარმოების აგროტექნიკა, დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი TOT, ატმის წარმოების აგროტექნიკა, ცხოველთა კეთილდღეობა და არაგადამდები დაავადებები, მერძეული და მეხორცული პირუტყვის გამოზრდა, მარცვლოვანი, ბოსტნეული კულტურები, მეცხოველეობა და ვეტერინარია, Operator.mepa.gov.ge-კურსის მოდულები და სხვა.

ამოცანა 1.3. მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1: მიმართულების რაოდენობა, სადაც ხელმისაწვდომია მცირე და საშუალო მეწარმეობის დეტალური სტატისტიკა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა დანიის სტატისტიკის სამსახურთან ერთად, ევროკავშირის პროგრამა Twinning-ის პროექტის ფარგლებში, შეიმუშავა საქართველოში ტურიზმის სატელიტური ანგარიშების პირველი ოთხი ცხრილი. პროექტის ფარგლებში შემუშავდა ასევე საქართველოში ტურიზმის სატელიტური ანგარიშების შესაბამისი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგია. ამასთან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დროებით შეჩერებული გამოკვლევების განახლებისა და შესაბამისი ინსტრუმენტარის დახვეწის შემდეგ, საქსტატს ექნება საერთაშორისოდ შესადარისი მონაცემების წარმოების შესაძლებლობა.

მომხმარებელთათვის სტატისტიკურ მაჩვენებლებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების და დამატებითი მაჩვენებლების წარმოების მიზნით, განხორციელდა დამატებითი ცხრილების გამოქვეყნება საქსტატის ვებ-გვერდზე.[6]

„საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში" გამოკვლევის შედეგების გავრცელება საქსტატის მიერ ხორციელდებოდა აგრეგირებულად, ქვეყნის დონეზე. 2022 წელს განხორციელდა მონაცემთა ბაზის ანალიზი, რათა მომხდარიყო იმ მაჩვენებლების შეფასება, რომელთა გამოქვეყნება

[6] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა". იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva

შესაძლებელი იქნებოდა საწარმოთა ზომების მიხედვით. აღნიშნული ანალიტიკური აქტივობის შედეგად, განხორციელდა გამოკვლევიდან მიღებული ძირითადი მაჩვენებლების ნაწილის გამოქვეყნება საწარმოთა ზომის მიხედვით.

- ✓ **აქტივობა 1.3.2: ტურიზმის სატელიტური ანგარიშების წარმოება.**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნდა 2021 წლის ტურიზმის სატელიტური ანგარიშების ცხრილები, კერძოდ: (1) უცხოელ ვიზიტორთა დანახარჯები პროდუქტებისა და ვიზიტორების კლასების მიხედვით; (2) ადგილობრივი ტურიზმის დანახარჯები პროდუქტების, ვიზიტორთა კლასებისა და ვიზიტის ტიპების მიხედვით; (3) გამყვანი ტურიზმის დანახარჯები პროდუქტებისა და ვიზიტორების კლასების მიხედვით და (4) შიდა ტურიზმის დანახარჯები პროდუქტების მიხედვით.[7]

- ✓ **აქტივობა 1.3.3: ბიზნეს სტატისტიკის წარმოება გენდერულ ჭრილში საწარმოთა ზომის მიხედვით.**

საქსტატის კვლევა „ბიზნეს სექტორის მაჩვენებლები გენდერულ ჭრილში“ მოიცავს ბიზნეს სექტორის ამსახველ ისეთ სტატისტიკური მაჩვენებლებს, როგორიცაა, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა და დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება. აღნიშნული მაჩვენებლები ჩაშლილია: (1) ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, სქესის, ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და ზომის მიხედვით; (2) ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა, სქესის, ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და ზომის მიხედვით; (3) ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება, სქესის, ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და ზომის მიხედვით; (4) ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, სქესის, რეგიონისა და ზომის მიხედვით; (5) ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა, სქესის, რეგიონისა და ზომის მიხედვით; (6) ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება, სქესის, რეგიონისა და ზომის მიხედვით.[8]

- ✓ **აქტივობა 1.3.4: ICT სტატისტიკის წარმოება საწარმოთა ზომის მიხედვით.**

საქსტატის მიერ „საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში“ გამოკვლევის შედეგები გამოქვეყნებულია საწარმოთა ზომის მიხედვით კონფიდენციალური მონაცემების დაცვის პრინციპის და მონაცემების სტატისტიკური

---

[7] წყარო: იქვე; „ტურიზმის სატელიტური ანგარიშები“.
იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/720/turizmis-satelituri-angarishebi

[8] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „ბიზნეს სექტორის მაჩვენებლები გენდერულ ჭრილში“. იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva

საიმედოობის შესაბამისად. კვლევები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ინტერნეტთა წვდომა და მისი გამოყენება; ელექტრონული კომერცია; პროგრამული უზრუნველყოფა, ჭკვიანი საგნები და ხელოვნული ინტელექტი.[9]

ამოცანა 1.4. კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.1: კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების მიხედვით, შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების რაოდენობის ზრდა.

შენიშვნა: ამოცანის სრულად შესრულება შესაძლებელია გადაწყვეტილებების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში. თითოეული საქმის ფარგლებში ინდივიდუალურად უნდა მოხდეს მისი გავლენის შეფასება ამა თუ ბაზარზე. თავის მხრივ, გადაწყვეტილების მიღების წელი და ზეგავლენის შეფასების ანგარიში არ იქნება ერთსა და იმავე წელზე. შესაბამისად, 2022 წლის ფარგლებში დასრულებული საქმეების გავლენა ამოცანაზე იდენტიფიცირდება მომდევნო წლების ზეგავლენის შეფასების ანგარიშით.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.2: ტრენინგები კონკურენციის კანონმდებლობაზე.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედ ბიზნეს კომპანიებს, საკონსულტაციო კომპანიებს და სხვა სამიზნე პირებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია კონკურენციის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. 2022 წლის განმავლობაში ჩატარდა 3 ტრენინგი და 1 კონფერენცია. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს სააგენტოს მიერ კანონმდებლობის აღსრულებას, რადგან შესაბამისი სამიზნე აუდიტორია ინფორმირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს შესახებ.

[9] წყარო: იქვე; „საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში“.
იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/105/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-satsarmoebshi

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.3: კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების მიხედვით, შესაბამის ბაზარზე სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა.

შენიშვნა: გადაწყვეტილებების ზეგავლენის შეფასების ან მონიტორინგის თითოეული საქმის ფარგლებში ინდივიდუალურად ხდება მისი გავლენის შეფასება ამა თუ ბაზარზე. ასევე, აქტივობის გათვალისწინებით, ხორციელდება სხვადასხვა ბაზრების მონიტორინგი. 2022 წელს, კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, მიმართვის საფუძველზე, შუშის ნარჩენების შეგროვება/გადამუშავების ბაზრის მონიტორინგი განახორციელა, ასევე, განახორციელა საავტომობილო საწვავის ბაზრის მონიტორინგი.

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წელი და ზეგავლენის შეფასების ანგარიში არ არის ერთსა და იმავე საანგარიშო წელზე. შესაბამისად, 2022 წლის ფარგლებში დასრულებული საქმეების გავლენა ამოცანაზე იდენტიფიცირდება მომდევნო წლების ზეგავლენის შეფასების ანგარიშით ან ბაზრის მონიტორინგით.

- ✓ **აქტივობა 1.4.1: „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე საქმეთა მოკვლევის ჩატარება.**

1. საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ 2022 წლის 20 სექტემბერს დაასრულა შპს „ეს.ი.ეი"-ს საჩივრის საფუძველზე წარმოებული მოკვლევა, რომელიც ეხებოდა ტურისტული მომსახურების სფეროში მოქმედი შპს „ბი ეს თი"-ს მიერ „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის 11[3] მუხლის (ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების აკრძალვა) შესაძლო დარღვევის ფაქტს. მოკვლევის შედეგად, დადასტურდა კანონის დარღვევა[10].

2. სააგენტომ 2022 წლის 5 დეკემბერს დაასრულა შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპის" 2021 წლის 26 აპრილის დაზუსტებული საჩივრის საფუძველზე წარმოებული მოკვლევა, რომელიც ეხებოდა სათარჯიმნო-მთარგმნელობითი მომსახურების სფეროში მოქმედი კომპანიების მიერ „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლების (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვა) შესაძლო დარღვევის ფაქტს. მოკვლევის შედეგად, დადასტურდა ორი პირის მიერ კანონის დარღვევა[11].

3. სააგენტომ 2022 წლის 28 ივნისს დაასრულა სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის" საჩივრის საფუძველზე წარმოებული მოკვლევა, რომელიც ეხებოდა შპს „ჯეო ჰოსპიტალსისა" და სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ

[10] წყარო: საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო, „შპს „ეს.ი.ეი"-ს საქმე"; იხ. ბმული: https://gnca.gov.ge/decisions/unfair-competition/by-prohibition

[11] წყარო: იქვე; „დელტა დეველოპმენტ გრუპის საქმე"; იხ. ბმული: https://gnca.gov.ge/decisions/anti-competitive-agreements/by-prohibition

ბენეფიტს ჯორჯიას“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) სავარაუდო დარღვევის ფაქტს. მოკვლევის შედეგად, არ დადასტურდა კანონის დარღვევა[12].

- ✓ **აქტივობა 1.4.2: კერძო სექტორისთვის (ბიზნესი, საკონსულტაციო კომპანიები, ადვოკატთა ასოციაცია) კონკურენციის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ტრენინგების ჩატარება.**

2022 წლის განმავლობაში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის პროექტის (AA Facility) და სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით, ბიზნეს სექტორისთვის გაიმართა 3 ტრენინგი ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში. შეხვედრებზე განხილული იყო კონკურენციის სამართლისა და ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების აქტუალური საკითხები[13].

2022 წლის 16-17 ნოემბერს გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „კონკურენცია და მომხმარებლის უფლებები“, რომელსაც ესწრებოდნენ სხვადასხვა უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძო სექტორის და სხვადასხვა ქვეყნის კონკურენციის უწყებების წარმომადგენლები (200-მდე მონაწილე)[14].

- ✓ **აქტივობა 1.4.3: სააგენტოს მიერ სხვადასხვა სახის წარმოების ჩატარების ფარგლებში (საქმის მოკვლევა, ბაზრის მონიტორინგი, კონცენტრაციების შესახებ შეტყობინების განხილვა და ა.შ.) რეკომენდაციების გაცემა.**

1. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ საქმის მოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით, საქართველოში მოქმედი ყველა სამედიცინო დაწესებულების მიმართ (ამბულატორიული მომსახურების ნაწილში) გაიცა განსახილველად სავალდებულო 2 რეკომენდაცია - „სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ საქმე“ (თავი VI).

2. სააგენტოს მიერ „დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმის მოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით, უცხო ენების სათარჯიმნო/მთარგმნელობითი მომსახურების ბაზარზე ოპერირებად და პოტენციურ ეკონომომიკურ აგენტს მიეცათ განსახილველად სავალდებულო 1 რეკომენდაცია - „დელტა დეველოპმენტ გრუპის საქმე“.

[12] წყარო: იქვე; „სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ საქმე“; იხ. ბმული: https://gnca.gov.ge/decisions/abuse-of-dominant-position/by-prohibition
[13] წყარო: იქვე; იხ ბმული: https://gnca.gov.ge/media/press-releases/256
[14] წყარო: იქვე; იხ ბმული:https://gnca.gov.ge/media/events/285; https://ccc.gov.ge/

ამოცანა 1.5. ბიზნეს დავების სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.5.1: არბიტრაჟის დასრულებული საქმეების რაოდენობა წლიურად.

ქვეყანაში დავების გადაწყვეტის მიუკერძოებელი და სანდო ალტერნატიული მექანიზმების არსებობა უმნიშვნელოვანესია მეწარმე სუბიექტებისა და ზოგადად, ბიზნესის ინტერესების დაცვის პროცესში. არბიტრაჟი არის დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალება, როდესაც მხარეთა შეთანხმებით, დავას წყვეტს საარბიტრაჟო ტრიბუნალი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არის საბოლოო და მხარეთათვის სავალდებულო ძალის მქონე.[15]

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინიციატივით, დაფუძნებულია ა(ა)იპ „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი". საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი თავისი საქმიანობის განხორციელებისას არის პალატისგან სრულიად დამოუკიდებელი. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის ძირითადი მიზანია კერძო ხასიათის დავების გადაწყვეტის ნეიტრალური, ეფექტური და მოქნილი ალტერნატიული მექანიზმების ჩამოყალიბება.[16] 2022 წელს დასრულებულ იქნა 3 კომერციული დავა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.5.2: მედიაციის დასრულებული საქმეების რაოდენობა წლიურად.

„მედიაციის შესახებ"[17] საქართველოს კანონი 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა და მიზნად ისახავს დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარების ხელშეწყობას.

2022 წლის ბოლოსთვის ქვეყნის მასშტაბით შექმნილია და ფუნქციონირებს 11 სასამართლო მედიაციის ცენტრი. აღნიშნულ პერიოდში 11 სასამართლო მედიაციის ცენტრს გადაეცა 187 საქმე და დასრულდა 165 საქმე.

---

[15] საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ"; იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/document/view/89284?publication=8

16 ა(ა)იპ „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი"; იხ. ბმული: https://giac.ge/ka/

[17] საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ", 18.09.2019წ. იხ. https://matsne.gov.ge/document/view/4646868?publication=1

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.5.3: ბიზნესომბუდსმენისადმი მომართვების რაოდენობა.

ბიზნესომბუდსმენი ზედამხედველობს საქართველოს ტერიტორიაზე პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ამ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტს და კანონით დადგენილი წესით ხელს უწყობს პირის დარღვეული უფლებების აღდგენას.

2022 წელს, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატში შემოვიდა 194 ინდივიდუალური და ერთობლივი განცხადება, რომელიც 23 ერთეულით ნაკლებია 2021 მაჩვენებელზე. შემოსული ინდივიდუალური და ერთობლივი განცხადებების 65% მცირე და საშუალო მეწარმეებზე მოდის.

საანგარიშო პერიოდში, აპარატის მიერ შესაბამის უწყებებში, საკანონმდებლო აქტებზე გაიგზავნა 6 დასკვნა, 4 - რეკომედაცია და 30 - შუამდგომლობა.

საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებისთვის ბიზნესომბუდსმენის აპარატში დანერგილია ცხელი ხაზი, სადაც ბიზნესის წარმომადგენლებს საშუალება აქვთ მიიღონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. 2022 წელს ცხელ ხაზზე შემოვიდა 500-მდე ზარი, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება წინა წლების მაჩვენებლებს.

- ✓ **აქტივობა 1.5.1: საარბიტრაჟო დავები და მედიაციის პროცესის ადმინისტრირების განხორციელება.**

საანგარიშო პერიოდში დასრულებული იქნა 3 კომერციული დავა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილი დავები გამომდინარეობდა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, რომლებიც დაკავშირებული იყო საზოგადოებების კორპორატიულ საკითხებთან, სამშენებლო, ყიდვა-გაყიდვის, სამრეწველო, საფინანსო, მომსახურების შეძენასთან. დავების სუბიექტთა უმეტეს ნაწილს წარმოადგენდნენ იურიდიული პირები, თუმცა რამდენიმე დავაში, რომლებიც ძირითადად დაკავშირებული იყო საკორპორაციო საკითხებთან, ჩართული იყვნენ ფიზიკური პირები. ერთ-ერთ დავაში, ასევე, მონაწილეობდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია.

- ✓ **აქტივობა 1.5.3: არბიტრაჟთან მიმართებით საგანმანათლებლო ტიპის ღონისძიებები პრაქტიკოსი იურისტებისთვის.**

2022 წლის ოქტომბერში, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (GIAC) ორგანიზებითა და USAID-ის მხარდაჭერით, არბიტრაჟის დღეების რიგით მეცხრე, ყოველწლიური კონფერენცია გამაირთა. კონფერენციის ფარგლებში, სფეროს წამყვანმა

პრაქტიკოსებმა და ექსპერტებმა საერთაშორისო არბიტრაჟის ახალ განვითარებებზე, საარბიტრაჟო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობასა და კონკურენციაზე იმსჯელეს.

ღონისძიებას 150-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო არბიტრი, მოსამართლე, იურისტი და აკადემიური სფეროს წარმომადგენელი დაესწრო.

კონფერენციის ფარგლებში, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტსა და საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს შორის.

GIAC არბიტრაჟის დღეები, ასევე, მოიცავს სოციალურ ღონისძიებებს, რომელიც მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას დაამყარონ კავშირები არბიტრაჟის პრაქტიკოსებთან. GIAC არბიტრაჟის დღეები, ასევე, მოიცავს სოციალურ ღონისძიებებს, რომელიც მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას დაამყარონ კავშირები არბიტრაჟის პრაქტიკოსებთან. ჩატარებულ იქნა სემინარი თემაზე „ზიანის ანაზღაურება საარბიტრაჟო დავებში“.

- ✓ **აქტივობა 1.5.4: სასამართლო მედიაციის ცნობადობის ამაღლების მიზნით საინფორმაციო სესიების ჩატარება სასამართლოში მოსამართლეთა და მედიაციის ცენტრის კონსულტანტების/მედიატორების ჩართულობით.**

2022 წლის ბოლოსთვის ქვეყნის მასშტაბით შექმნილია და ფუნქციონირებს 11 სასამართლო მედიაციის ცენტრი, მათ შორის: თბილისის საქალაქო, თბილისის სააპელაციო, რუსთავის საქალაქო, თელავის, გურჯაანის, მცხეთის რაიონული, გორის რაიონული, ბოლნისის რაიონული, ქუთაისის საქალაქო, ქუთაისის სააპელაციო და ბათუმის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრი.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ 2020-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, 2022 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა სავალდებული განგრძობადი პროფესიული განვითარების სისტემა. აღნიშნული პროგრამა ადგენს, მედიატორებისთვის საგანმანათლებლო და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მედიატორთა პროფესიული უნარ-ჩვევების და ცოდნის გაღრმავებას, მედიატორთა პროფესიული განვითარებისთვის.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ წარმომადგენლები ქუთაისის სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული სასამართლო მედიაციის ცენტრების მედიატორებს შეხვდნენ, რომლებმაც სერტიფიცირების პროგრამის დებულების შესაბამისად გაიარეს სამ საფეხურიანი სერტიფიცირების პროგრამა და გახდნენ სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ერთიან რეესტრში რეგისტრირებული მედიატორები.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ბაზაზე შეიქმნა სასამართლო მედიაციის ცენტრების კოორდინატორთა მუდმივმოქმედი

საკოორდინაციო საბჭო. აღნიშნული პლატფორმის მიზანია ხელი შეეწყოს მედიაციის ცენტრების და წარმოდგენილი მედიატორების საქმიანობას და პროცესის ეფექტურ კოორდინაციას.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მხარდაჭერით და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს (ELSA Georgia) ორგანიზებით, 2022 წელს მეორედ ჩატარდა სამართლის სკოლის შეჯიბრი მედიაციაში, რომლის მიზანია იურისტ სტუდენტებსა და ახალგაზრდა იურისტებში მედიაციასთან დაკავშირებული როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული ცოდნის გაღრმავება.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ორგანიზებით და USAID-ის „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით ჩატარდა მედიაციის/მედიატორის ტრენერთა ტრენინგი (TOT). ტრენინგი მიზნად ისახავდა და შესაძლებლობას აძლევდა მონაწილეებს, გაეღრმავებინათ ცოდნა და გამხდარიყვნენ მედიატორთა ასოციაციის აკრედიტირებული ტრენერები. მონაწილეებმა, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ტრენინგი, ჩაირიცხნენ მედიატორთა ასოციაციის ტრენერთა ერთიან რეესტრში.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ და USAID-ის „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი „დისტრიბუციული და ინტეგრაციული მოლაპარაკება მედიაციის პროცესში“/“Distributive and Integrative Negotiation in Mediation Practice“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 32-მა მედიატორმა.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ორგანიზებით და გაეროს ქალთა ორგანიზაციის UN WOMEN-ის მხარდაჭერით, მედიატორთა ასოციაციის მედიატორებისათვის ჩატარდა “გენდერი და გენდერულ ურთიერთობებთან” დაკავშირებით ტრენინგი.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მხარდაჭერით და USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის ორგანიზებით, ქალაქ ბათუმში გაიმართა ოთხ დღიანი ტრენინგი „პროფესიული უნარების განმტკიცებაში“ მედიატორებისთვის. დეკემბრის თვეში გაიმართა მე-2 ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმი - „მედიაცია ბიზნესისთვის“. ფორუმზე განხილული იქნა კომერციული მედიაციის როლი ბიზნეს-ეფექტურობის მიღწევაში და ბიზნეს დავების გამოწვევები სასამართლოში.[18]

- ✓ **აქტივობა 1.5.5: მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან თბილისში და რეგიონებში საინფორმაციო საკონსულტაციო შეხვედრები.**

არ განხორციელებულა.

[18] წყარო: „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“, „საინფორმაციო ბიულეტენი“. იხ. ბმული: https://mediators.ge/uploads/tinymce/documents/2022%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98.pdf

- ✓ **აქტივობა 1.5.6: ბიზნესომბუდსმენის აპარატში ბიზნესებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო ხაზის ფუნქციონირება.**

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის ცხელ ხაზზე 2022 წელს შემოვიდა 500-მდე სატელეფონო ზარი და ბიზნესის წარმომადგენლებს სხვადასხვა საკითხზე (მათ შორის, საგადასახადო ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე) შესაბამისი კონსულტაცია გაეწია.

- ✓ **აქტივობა 1.5.7: დავის ალტერნატიული მექანიზმების (მედიაციის) შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარება.**

16 დეკემბერს, მედიაციის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გაიმართა საქართველოს მედიატორთა ასოციაციისა და საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის მე-2 ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმი - „მედიაცია ბიზნესისთვის“, სადაც მოწვეული იყო 100-მდე დაინტერესებული მხარე.

- ✓ **აქტივობა 1.5.8: მცირე და საშუალო ბიზნესზე საქართველოს კანონმდებლობის ზეგავლენის შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება.**

2022 წელს, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის მიერ შესაბამის უწყებებში, საკანონმდებლო აქტებზე გაიგზავნა 6 დასკვნა, 4 - რეკომენდაცია და 30 - შუამდგომლობა.

ამოცანა 1.6. სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.6.1: მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა MY.GOV.GE-ზე.

მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა my.gov.ge პორტალზე 381-ს (ქვესერვისების ჩათვლით) შეადგენს.

„შემოსავლებისა სამსახურის სერვისების განვითარების 2021-2024 წლების სტრატეგიით“ განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, იდენტიფიცირებული იქნა და აღირიცხა სერვისები, რომელსაც შემოსავლების სამსახური ახორციელებს. სერვისების სრული ჩამონათვალი ხელმისაწვდომი იქნება ერთიან ელექტრონულ კატალოგში. თვითმომსახურების წახალისებისთვის, მომზადდა სერვისის მოხმარების სახელმძღვანელოები, როგორც საბაჟო, ისე საგადასახადო მიმართულებით სერვისების 15%-ზე. მომხმარებლის სახელმძღვანელოების გარდა, მსხვილ და მოთხოვნად

სერვისებზე მზადდება ვიდეო გიდები. 2022 წლის ბოლოსთვის 4 ვიდეო გიდი მომზადებულია ყველაზე მოთხოვნად სერვისებზე.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.6.2: მომხმარებელთა პროცენტული წილი, რომელთაც ელექტრონული სერვისი მიიჩნიეს 1) სასარგებლოდ, 2) მარტივად მოსახმარად.

2021 წელს ჩატარებული კმაყოფილების კვლევა გახდა პორტალ My.gov.ge-თვის ახალი კონცეფციის დოკუმენტის შექმნის საფუძველი. აღნიშნულის ფარგლებში გათვალისწინებულია შეფასების მექანიზმის დამატება. დასრულებულია ანალიტიკურ დოკუმენტაციაზე მუშაობა და მიმდინარეობს დიზაინის შემუშავების პროცესი, რის შემდეგაც მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის ჩატარებას ექნება ყოველწლიური ხასიათი, სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.6.3: მომხმარებლების მიერ ელექტრონულად დარეგისტრირებული განცხადებების რაოდენობა მთლიან განცხადებებში.

2022 წელს, მომხმარებლების მიერ ელექტრონულად დარეგისტრირებული განცხადებების ჯამური რაოდენობა 2021 წელთან შედარებით 18%-ით გაიზარდა. 2022 წელს, გადასახადის გადამხდელების მიერ დარეგისტრირებული განცხადებების წილი მთლიან ელექტრონულ განცხადებებში გაზრდილია 7.5%-ით.

- ✓ **აქტივობა 1.6.1: ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (MY.GOV.GE) მოხმარების შესახებ მეწარმე სუბიექტების დატრენინგება.**

არ განხორციელებულა.

ამოცანა 1.7. გაკოტრების და რეაბილიტაციის სისტემის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.7.1: გადახდისუუნარობის საქმეთა მთლიან რაოდენობაში ლიკვიდაციის ნაცვლად საწარმოს რეაბილიტაციით დასრულებულ გადახდისუუნარობის საქმეთა წილი.

2020 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც სრულად 2021 წლის აპრილიდან ამოქმედდა. აღნიშნული კანონის მიღებით საქართველოში გადახდისუუნარობის პროცესის მარეგულირებელი პროგრესული ჩარჩო ჩამოყალიბდა და გაჩნდა მეტი სტიმული საწარმოების რეაბილიტაციისთვის.

საანგარიშო პერიოდში, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" კანონის საფუძველზე, სასამართლოში მიმართვიანობა 75 საქმეზე განხორციელდა. საქმის წარმოება დაიწყო 28 საქმეზე, ხოლო საქმის წარმოებაში მიღებაზე უარი ეთქვა 47 საქმეს. აღნიშნული 28 საქმიდან, რეაბილიტაციის რეჟიმი დაიწყო 11 საქმეზე, ხოლო 17 საქმეზე - გაკოტრების რეჟიმი. შედეგად, 11 საქმიდან რეაბილიტირებული იქნა 6 ბიზნესი, რეაბილიტაციის რეჟიმით მიმდინარეობს 4 საქმე, ხოლო 1 საქმე შეწყვეტილია. შედეგად, რეაბილიტაციის რეჟიმზე გადასვლის მაჩვენებელი არის 35%.[19]

ამოცანა 1.8. მცირე და საშუალო მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება რეგულაციების ცვლილებებთან დაკავშირებით და საჯარო-კერძო დიალოგის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.8.1: კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოს სხდომების რაოდენობა.

საჯარო-კერძო პარტნიორობა და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკური განვითარებისთვის, რადგანაც კერძო სექტორთან რეგულარული დიალოგი ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოებას. საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით, 2016 წელს შეიქმნა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭო მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ კი კერძო სექტორის წარმომადგენელი განისაზღვრა. სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის დიალოგის ინსტიტუციური პლატფორმა - კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭო სწორედ ის ინსტრუმენტია, რომლის ფარგლებშიც ბიზნესს ეძლევა ღია და პირდაპირი შესაძლებლობა წარმართოს კონსტრუქციული დიალოგი სახელმწიფო სექტორთან, მიიღოს ინფორმაცია მიმდინარე თუ დაგეგმილი რეფორმების თაობაზე, განიხილოს მათ წინაშე მდგარი გამოწვევები და წარმოადგინოს ინიციატივები. შედეგად, კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საბჭო ეხმარება მთავრობას შეიმუშაოს ეფექტიანი პოლიტიკა და აღმოფხვრას მეწარმეობის განვითარების ძირითადი დაბრკოლებები. პლატფორმის ფუნქციონირება ხელს უწყობს

[19] წყარო: რეფორმეტრი, იხ. ბმული: https://reformeter.iset-pi.ge/ka/economic_effects; www.ecourt.ge;

კერძო სექტორსა და მთავრობას შორის ნდობის გაზრდას და პროგნოზირებადი გარემოს ჩამოყალიბებას.

2022 წლის განმავლობაში კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს 4 შეხვედრა ჩატარდა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.8.2: სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის სხდომების რაოდენობა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარდა სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოსა (TAG) და ამავე საბჭოს ფარგლებში არსებული ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფის (DAG) გაერთიანებული შეხვედრა, გაფართოებული ფორმატით.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.8.3: DCFTA-ით გათვალისწინებული ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების რაოდენობა, რომელთან დაახლოების მიზნით მომზადებული საკანონმდებლო პროექტები კომენტარებისთვის განთავსებულია DCFTA.GOV.GE-ზე.

2022 წლის განმავლობაში dcfta.gov.ge ვებგვერდზე გასაჯაროვდა ევროკავშირის აქტებთან დაახლოების მიზნით მომზადებული 16 პროექტი, მათ შორის SPS, TBT და სახელმწიფო შესყიდვების სფეროებში შემუშავებული აქტები.

ამასთან აღსანიშნავია, რომ დინამიური დაახლოების პრინციპის გათვალისწინებით, გადაიხედა SPS დაახლოების სია, მომზადებული ცვლილების შესაბამისად ამ სფეროში დასაახლოებელი აქტების რიცხვი ნაცვლად 272-სა იქნება 200. შესაბამისი მოდიფიკაციები იქნება გასათვალისწინებელი ყოველწლიური ინდიკატორების შემთხვევაში. აღნიშნული ცვლილებების ხელმოწერა იგეგმება 2023 წლის მარტში.

- ✓ **აქტივობა 1.8.1: კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოს სხდომების რაოდენობა.**

2022 წლის განმავლობაში კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრები ჩატარდა ყოველკვარტალურად. შეხვედრებზე წარმოდგენილი იქნა პრეზენტაციები განხორციელებული და მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შესახებ, რომელზეც კერძო სექტორმა დააფიქსირა თავისი

მოსაზრებები/შენიშვნები და ასევე, შედგა დისკუსია კერძო სექტორის მხრიდან დასმული აქტუალური საკითხებისა და შემაფერხებელი გარემოებების შესახებ.[20]

- ✓ **აქტივობა 1.8.2: DCFTA-ის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა და ინფორმირებულობის მიზნით, სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის სხდომების ჩატარება.**

საანგარიშო პერიოდში, გაიმართა DCFTA-ს განხორციელების საკონსულტაციო ჯგუფის (DAG) და სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს (TAG) გაერთიანებული შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განხილული იქნა:

- DCFTA-ის განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობა, გამოკვეთილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები;
- 2022 წლის 13-14 დეკემბერს ქ. ბრიუსელში დაგეგმილი სავაჭრო საკითხებზე ასოცირების კომიტეტის შეხვედრის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები;
- DCFTA-ის განხორციელების 2023 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მდგომარეობა.

- ✓ **აქტივობა 1.8.3: DCFTA-ით გათვალისწინებული ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების პროექტები კომენტარებისთვის DCFTA.GOV.GE-ზე განთავსება.**

ვებ-გვერდზე dcfta.gov.ge გასაჯაროვდა ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან დაახლოების პროგრამით გათვალისწინებული 18 პროექტი, მათ შორის, SPS (Sanitary and Phytosanitary Standards), TBT (Trade Barriers to Trade) და სახელმწიფო შესყიდვების სფეროებში შემუშავებული აქტები[21].

[20] კერძო სექტორის საკონსულტაციო საბჭოს სხდომის ოქმები, იხ. ბმული: http://www.economy.ge/?page=economy&s=84
[21] იხ. ბმული: https://dcfta.gov.ge/ge/legislation

პრიორიტეტი 2. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და შესაბამისად, ამ პროცესში მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის სტიმულირება, ადგილობრივი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, ბიზნესის წამოწყებისა და განვითარების ხელშეწყობა.

აღნიშნულ კონტექსტში უმნიშვნელოვანესია ქვეყნის შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება, სამუშაო ძალის დასაქმების ხელშეწყობა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც საქართველოს მთავრობის პრიორიტეტული მიმართულებაა.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სახელმწიფო მხარდაჭერა სამეწარმეო უნარების განვითარების, სასწავლო და საგანმანათლებლო პროგრამების, პროექტების და ტექნიკური დახმარების მექანიზმების შემუშავების, ორგანიზებისა და განხორციელების მიმართულებით. მათ შორის, ასევე, აღსანიშნავია პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანური რესურსების მდგრად გაუმჯობესებას, შეუსაბამობის შემცირებას ბაზრის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, სამუშაო ძალის პოტენციალის განვითარებას, დასაქმების თუ თვითდასაქმების შესაძლებლობას, შემოსავლის მიღებას,თვითრეალიზებას და შედეგად, უმუშევრობის დონის შემცირებას.

მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობის მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება სამეწარმეო უნარებისა და სამეწარმეო კულტურის განვითარების ხელშეწყობის გზით.

მეორე პრიორიტეტული მიმართულება „მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა" - აერთიანებს 7 ამოცანას და 16 აქტივობას.

ამოცანა 2.1. შრომის ბაზრის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1: შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგების პრეზენტაცია/განხილვის რაოდენობა.

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას დასაქმების ზრდა და უმუშევრობის შემცირება წარმოადგენს, რაც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია უმუშევრობისა და დასაქმების კომპონენტების საფუძვლიანი ანალიზი, როგორც მიწოდების, ასევე, მოთხოვნის კუთხით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფუნქციას განეკუთვნება შრომის ბაზრის საკითხებთან დაკავშირებული კვლევებისა და ანალიზის მომზადება. სამინისტრო, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან, სოციალურ პარტნიორებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფორმატში ახორციელებს კვლევით პროექტებს. ამასთან, სამინისტრო მეორად ინფორმაციაზე დაყრდნობით აანალიზებს შრომის ბაზრის მიმდინარე ტენდენციებს და ამზადებს შრომის ბაზრის ანალიზის წლიურ ანალიზს.

2022 წელს მომზადდა და დაინტერესებულ მხარეებს წარედგინა პრეზენტაცია „ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებში სამუშაო ძალასა და უნარებზე არსებული მოთხოვნისა და სამომავლო განზრახვის კვლევა", ასევე, მომზადდა „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა".

- ✓ **აქტივობა 2.1.1: ეკონომიკის ორ სექტორში (ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორები) უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის განხორციელება.**

ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებთან მიმართებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მიზნით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებში შრომის ბაზრის მოთხოვნების ტენდენციების შესწავლა და არსებული გამოწვევების გამოვლენა. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარდა „ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებში სამუშაო ძალასა და უნარებზე არსებული მოთხოვნისა და სამომავლო განზრახვის კვლევა", რომლის მიზანია ადამიანისეული კაპიტალის უნარებზე აღნიშნულ სექტორებში საწარმოების არსებული და სამომავლო მოთხოვნის გამოვლენა, რომელთა გათვალისწინებაც შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების პროცესში ხელს შეუწყობს უნარებთან მიმართებით შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას შორის

არსებული დისბალანსის შემცირებას და უნარების მოხმარების ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდას.

კვლევის შედეგად განხორციელდა ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებში სამუშაო ძალასა და უნარებზე როგორც არსებული მოთხოვნის, ასევე, სამომავლო განზრახვის შესწავლა და შესაბამისად, გაანალიზდა ამ სექტორებში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის, დასაქმების ცვლილების და არსებული სამუშაო ძალის ახლით ჩანაცვლების საჭიროებების ასპექტები.

აღნიშნული კვლევა ხელს შეუწყობს ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებში დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებას და მოთხოვნა-მიწოდებას შორის შეუსაბამობის შემცირებას.

- ✓ **აქტივობა 2.1.2: ეკონომიკის სექტორების სრულად მოცვით უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის განხორციელება.**

შრომის ბაზარზე არსებული საჭიროების იდენტიფიცირების და უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის გამოსავლენად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარდა „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა“, რომლის მიზანია ადამიანისეული კაპიტალის უნარებზე საწარმოების მოთხოვნის გამოვლენა, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს უნარებთან მიმართებით შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის შემცირებას და უნარების მოხმარების ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდას.

აღნიშნული კვლევა საჯაროდ ხელმისაწვდომია და განთავსებულია შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე www.lmis.gov.ge.

- ✓ **აქტივობა 2.1.3: შრომის ბაზრის წლიური ანალიზის მომზადება.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადდა 2022 წლის „საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი”. ანგარიში აანალიზებს ქვეყანაში დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლებს, მათ შორის, სექტორულ, ასაკობრივ, გენდერულ და რეგიონულ ჭრილში, ასევე, მიმოიხილავს მიგრაციის მიმართულებით არსებულ ტენდენციებს, კერძო სექტორის როლს დასაქმების მაჩვენებლებში. ანგარიში შეისწავლის შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტს და ამასთან განსაზღვრავს იმ ძირითად სექტორებს, რომლებშიც განსაკუთრებით მაღალი ეკონომიკური აქტივობაა მოსალოდნელი მომდევნო წლებში, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ამ სექტორებში დასაქმების ზრდის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას.

ანგარიშში, ასევე, მოცემულია შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის ანალიზი სახელმწიფო და კერძო დასაქმების სააგენტოების მიერ გამოქვეყნებულ ვაკანსიებზე დაყრდნობით. კერძოდ, ანგარიშში წარმოდგენილია შრომის ბაზრის მართვის

საინფორმაციო სისტემაში (worknet.gov.ge) რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელთა და ვაკანსიების რაოდენობა, ასევე, დასაქმების კერძო სააგენტოს (hr.ge) მონაცემთა ანალიზი, სადაც ვაკანსიები დაჯგუფდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დასაქმების სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCO 2008) მიხედვით. ანგარიშში მიმოხილულია საქართველოს შრომის ბაზრის მიმართულებით არსებული კვლევები. ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაციები, რომელშიც მოცემულია საქართველოს შრომის ბაზრის წინაშე მდგარი გამოწვევები და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ხედვა.

მომზადებული დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია და განთავსებულია შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე[22].

ამოცანა 2.2. უსაფრთხო შრომითი გარემოს საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1: ჩატარებული ტრენინგების/შეხვედრების რაოდენობა წლიურად.

2022 წელს, ცნობიერების ამაღლების მიზნით მრავალმხრივი კონსულტაციების, სამუშაო ჯგუფის პლატფორმისა და დიალოგის მეშვეობით, შრომის ინსპექციის სამსახურის მანდატის ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობდა სამუშაო/საინფორმაციო შეხვედრები. საანგარიშო პერიოდში, შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ინფორმირების მიზნით, ჩატარდა 35 შეხვედრა/ტრენინგი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.2: ტრენინგების/შეხვედრების მონაწილეთა %-ული წილი, რომელიც აცხადებს, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები მათ დაეხმარება გააუმჯობესონ შრომის უსაფრთხოების დაცვის სტანდარტი ან შრომის უსაფრთხოების რეგულაციებთან შესაბამისობის ხარისხი.

ტრენინგების/შეხვედრების მონაწილეთა უკუკავშირის საფუძველზე გამოვლინდა, რომ არანაკლებ 80% აცხადებს, რომ ტრენინგზე/შეხვედრაზე მიღებული უნარები მათ დაეხმარება გააუმჯობესონ შრომის უსაფრთხოების დაცვის სტანდარტი ან შრომის უსაფრთხოების რეგულაციებთან შესაბამისობის ხარისხი.

[22] წყარო: შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა „შრომის ბაზრის ანალიზი 2022“; იხ. ბმული: http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=6d62d354-2f42-4614-9038-fdaea4c0d13d

- ✓ **აქტივობა 2.2.1: დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ინფორმირების მიზნით, შეხვედრების ჩატარება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესების შესახებ.**

2022 წელს, შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ, ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა სექტორში ოპერირებად დამსაქმებელებთან და დასაქმებულებთან. ჯამში, განხორციელდა 35 შეხვედრა, სადაც, სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებს შორის, განხილული იქნა შემდეგი თემები:

- შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები და მიმდინარე სიახლეები;
- სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნებისა და უსაფრთხოების ნიშნების განთავსების შესახებ შემუშავებული ახალი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები;
- სამსახურის მიერ პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის, სექსუალური შევიწროების, იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის ზედამხედველობასთან დაკავშირებული საკითხები;
- სამუშაო დროის აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები;
- სამსახურის მიერ 2021 წელს გამოვლენილი დარღვევები და მათი პრევენციის მექანიზმები;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დანიშვნის ვალდებულებისა და აკრედიტაციის საკითხები.

შეხვედრებს ჯამში 1700-მდე წარმომადგენელი დაესწრო, რაც 42%-ით აღემატება 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამასთან, ბიზნესის მაქსიმალურად ინფორმირების მიზნით, შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობით, პორტალზე 677,968 გადამხდელს გაეგზავნა ინფორმაცია.

ამოცანა 2.3. სამეწარმეო უნარების გაძლიერება რეგულარული ტრენინგების გზით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.3.1: დატრენინგებულ მეწარმეთა პროცენტული წილი, რომლებიც თვლიან, რომ ტრენინგის განმავლობაში მიღებული უნარები და ცოდნა გამოადგებათ საკუთარი ბიზნესის გაუმჯობესებაში.

„საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" მიერ STEAM და Hardware/ელექტრონიკის მიმართულებით ჩატარდა ტრენინგები. აღნიშნული

ტრენინგებით ხელი შეეწყო განათლების დონის ამაღლებას და მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ ტრენინგების დასრულების შემდეგ დასაქმდნენ კონკრეტული მიმართულებით და შეასრულონ პროექტები. აღნიშნული ტრენინგების შედეგად, მეწარმეთა 60% თვლის, რომ ტრენინგის განმავლობაში მიღებული უნარები და ცოდნა გამოადგებათ საკუთარი ბიზნესის წარმოებაში.

- ✓ **აქტივობა 2.3.1: მიკრო და მცირე მეწარმეთა ტრენინგი მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში.**

2022 წელს, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დატრენინგდა 4,037 მეწარმე, მათ შორის, 210 მეწარმეს, საგრანტო თანხის მიღების შემდგომ, ჩაუტარდათ დამატებითი ტრენინგი სოციალურ მედია მენეჯმეტში, ფინანსურ მენეჯმენტსა და საგადასახადო დეკლარაციების საკითხებში. 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი გაორმაგდა და 30 მლნ. ლარი შეადგინა.

„საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს” ტრენინგებით - STEAM და Hardware/ელექტრონიკის მიმართულებით, ხელი შეეწყო განათლების დონის ამაღლებას და მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ ტრენინგების დასრულების შემდეგ დასაქმდნენ კონკრეტული მიმართულებით და შეასრულონ პროექტები. აღნიშნული ტრენინგების შედეგად, გაზრდილია ხელშეწყობა რეგიონის მოსახლეობისთვის თანამედროვე უნარებზე წვდომის მიმართულებით.

- ✓ **აქტივობა 2.3.3: სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს” რეგიონალურ ინოვაციურ ცენტრებში ტექნოლოგიურ უნარებთან მიმართებით ტრენინგების ჩატარება.**

2022 წლის განმავლობაში, სააგენტოს მიერ რეგიონალურ ტექნო პარკებში ჩატარდა ტრენინგები STEAM მიმართულებით, როგორც ICT, ისე, Hardware/ელექტრონიკის მიმართულებით. სულ დატრენინგდა 3000-მდე ბენეფიციარი და თითოეულ მათგანს ჰქონდა პოზიტიური უკუკავშირი აღნიშნულ ტრენინგებთან დაკავშირებით.

ამოცანა 2.4. მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.4.1: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (პსდ-ები) რაოდენობა, სადაც დანერგილია მეწარმეობრივი კულტურის კონცეფცია.

„პროფესიული უნარების სააგენტოს“ მიერ შემუშავდა პროფესიული სასწავლებლების ორგანიზაციული შეფასების მეთოდოლოგია შიდა-ინსტიტუციური მეწარმეობის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე მომზადებულია 8 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა. დამატებით, შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლების ეკონომიკური საქმიანობის ინიცირებისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა და მიმდინარეობს ამ მიმართულებით ინსტიტუციური გაძლიერება ადგილობრივი კონსულტანტების ჯგუფის მხარდაჭერით. შემუშავებულია კარიერის მართვის სერვისების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ამ მიმართულებით საჯარო სკოლებში გაგრძელდა პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო და სასერტიფიკატო კურსები. დაიწყო მუშაობა კარიერული განათლების კურსის განვითარებაზე, დასრულდა მუშაობა კარიერის მართვის სპეციალისტების უწყვეტი განვითარების მოდელზე, შემუშავდა კარიერის მართვის სპეციფიკური სერვისი შშმ და სსსმ პირებისთვის და ასევე, აღნიშნული სერვისის დანერგვის მხარდამჭერი რესურსები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სპეციალისტებისთვის. დამატებით, დაემატა ერთი ახალი (უნიკალური დასახელების) დუალური პროგრამა. ჯამში, სისტემაში დანერგილია უნიკალური დასახელების 45 დუალური პროგრამა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.4.2: მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა.

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა. სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ასევე, ვაუჩერულ დაფინანსებაში ჩართულნი არიან კერძო პროვაიდერები პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში. 2021-2022 წლებში, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ფარგლებში ჯამურად 9310 ადამიანი ჩაირიცხა, რომელთაგანაც, ამავე წლებში, კურსდამთავრებულის სტატუსი მოიპოვა 6400-მდე ადამიანმა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.4.3: დანერგილი დუალური მიდგომის პროფესიული პროგრამების რაოდენობა.

2022 წლის მდგომარეობით, პროფესიული განათლების სისტემაში დანერგილია 40-ზე მეტი უნიკალური დასახელების დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

- ✓ **აქტივობა 2.4.1: განათლების სფეროში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარების 2021-2025 წწ. სტრატეგიის განვითარება და დანერგვის დაწყება.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით, შემუშავებულია ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სტრატეგია (2023-2026 წწ.) და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. მიმდინარეობს სტრატეგიის საბოლოო შეთანხმების პროცესი. ამავდროულად, პროფესიული უნარების სააგენტომ 2022 წელს აქტიურად დაიწყო მუშაობა პროფესიული განათლების საფეხურზე კარიერის მართვის სერვისების განვითარების მიმართულებით. სააგენტოს მიერ, ახალი სტრატეგიის სამუშაო ვერსიის შესაბამისად, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა აღნიშნული მიმართულებით სერვისების განვითარების მიზნით: (1) საჯარო სკოლებში გაგრძელდა პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო და სასერტიფიკატო კურსები, რომლებიც განკუთვნილია მე-9-12 კლასის მოსწავლეებისთვის და მიზნად ისახავს, პროფესიის არჩევის პროცესში მოსწავლეების მხარდაჭერას და პროფესიული განათლების პოპულარიზაციას; (2) დაიწყო მუშაობა კარიერული განათლების კურსის განვითარებაზე, რომლის დანერგვაც დაგეგმილია 2023 წელს; (3) ამოქმედდა კარიერული კონსულტანტების დარგობრივი ქსელი; (4) დასრულდა მუშაობა კარიერის მართვის სპეციალისტების უწყვეტი განვითარების მოდელზე, რომელიც, ასევე, ითვალისწინებს კარიერის მართვის სპეციალისტების ფუნქცია-მოვალეობების ჩამოყალიბებას და კოლეჯის დონეზე აღნიშნული ფუნქციური რგოლის ინსტიტუციურ განვითარებას; (5) შემუშავდა კარიერის მართვის სპეციფიკური სერვისი შშმ და სსსმ პირებისთვის და ასევე, აღნიშნული სერვისის დანერგვის მხარდამჭერი რესურსები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სპეციალისტებისთვის.

- ✓ **აქტივობა 2.4.2: დუალური მიდგომით პროფესიული პროგრამების განხორციელება.**

2022 წლის განმავლობაში, [პროფესიული უნარების სააგენტოს]() მიერ, მიღება გამოცხადდა 5 ახალ დუალურ პროგრამაზე. ამასთან, საანგარიშო პერიოდში სისტემას დაემატა ერთი უნიკალური დასახელების დუალური პროგრამა. ჯამში, სისტემაში დანერგილია უნიკალური დასახელების 40-ზე მეტი დუალური პროგრამა.

2022 წელს, დუალურ პროგრამებზე ჩაირიცხა 547 პირი, 2021 წელთან შედარებით, 35%-ით მეტი.

- ✓ **აქტივობა 2.4.4: მეწარმეობრივი კულტურის კონცეფციის დანერგვის დაწყება სისტემურ დონეზე.**

გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, პროფესიული უნარების სააგენტოსა და კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) თანამშრომლობით, შემუშავდა პროფესიული სასწავლებლების ორგანიზაციული შეფასების მეთოდოლოგია შიდა-ინსტიტუციური მეწარმეობის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე მომზადებულია 8 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების („იბერია“, „მოდუსი“, „გლდანის პროფესიული კოლეჯი“, „იკაროსი", „თსუ მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი", „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია", „ილია წინამძღვრიშვილის კოლეჯი“, „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა“) ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა. ამასთან, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მეწარმეობის სწავლების მიმართულებით. შემუშავდა Shuttle მეთოდოლოგიის გზამკვლევები სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის. ამ მეთოდოლოგიის ამოცანებს წარმოადგენს: სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა, მონაწილეების დასაქმების/თვითდასაქმების შესაძლებლობების გაზრდა, მონაწილეების სამეწარმეო და პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა. შემუშავდა მეწარმეობის სწავლებისათვის ახალი ელექტრონული სახელმძღვანელო „ანტერპრენერობა“ და შესაბამისი დავალებების კრებული.

- ✓ **აქტივობა 2.4.6: სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეკონომიკური საქმიანობის გახორციელების დანერგვა.**

საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა „სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის/გაწეული ანაზღაურებადი მომსახურების ღირებულების განსაზღვრის, აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის განკარგვის წესი და პირობები”, რაც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შესაძლებლობას აძლევს განახორციელონ ეკონომიკური საქმიანობა. დამატებით, პროფესიული სასწავლებლების სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა კონცეფცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების/კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შესახებ, ჩატარდა საინფორმაციო სემინარები კოლეჯებისათვის და შემუშავდა ეკონომიკური საქმიანობის პილოტირების გეგმა. აღნიშნული გეგმის მიხედვით, 6 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ერთიანდება საერთო ეკონომიკური საქმიანობის პროექტის განხორციელების მიზნით.

- ✓ **აქტივობა 2.4.7: პროფესიულ განათლებაში ზრდასრულთა სწავლების მასშტაბის გაზრდის მიზნით, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელება.**

2022 წელს, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი ავტორიზებული დაწესებულებების 67% ახორციელებს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს.

ამოცანა 2.5. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS), შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემისა (WORKNET) და შესაბამისი სერვისების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.5.1: სერვისების მიმღებთა რაოდენობა.

2022 წელს, დასაქმების ხელშეწყობი სერვისების მიმღებთა რაოდენობამ 6321 შეადგინა, რაც საბაზისო წელთან შედარებით, 82.8%-ით არის გაზრდილი. 2022 წელს სერვისების მიმღებთა შორის 4368 ქალი და 1953 კაცი იყო. აღსანიშნავია, რომ საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით, 2022 წელს, სერვისების მთლიან რაოდენობაში ქალთა მაჩვენებელი 34%-ით გაიზარდა, ხოლო მამაკაცთა რაოდენობა - თითქმის 10-ჯერ.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.5.2: სერვისების მიმღებთა რაოდენობა, რომელიც დასაქმდება.

2022 წელს, დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებისა და სერვისების ფარგლებში დასაქმებულია 3,937 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის: საშუამავლო მომსახურებით - 671, მხარდაჭერით სერვისით - 47, მომზადება-გადამზადების პროგრამით - 718, დასაქმების ფორუმით - 578, სტაჟირების კომპონენტით -151, საკვანძო კომპეტენციის ტრენინგების ფარგლებში - 270, კონსულტირება და შუამავლობის სერვისის ფარგლებში - 1,496 და სუბსიდირების კომპონენტის ფარგლებში - 6.

საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით, 2022 წელს, სერვისების მიმღებთა შორის დასაქმებულთა მაჩვენებელი გაოთხმაგდა (334%-ით ზრდა), მათ შორის, გასამმაგდა ქალების ჩართულობა (256%-იანი ზრდა).

- ✓ **აქტივობა 2.5.1: დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის აქტივობები[23].**

შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის – www.worknet.gov.ge-ს განვითარება - 2022 წელს სისტემის განვითარებისა და დანერგვის მიზნით სააგენტოში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, სადაც ჩართული არიან ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ჯგუფის წევრები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სააგენტოს წარმომდგენლები. მიმდინარეობს ეტაპობრივი განხილვები „შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარების სამოქმედო გეგმის“ შესრულების განხილვა/დაგეგმვის ფარგლებში.

მიმდინარე სისტემიდან ხორცილედება www.worknet.gov.ge-დან სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვება, მონაცემთა ბაზების ფორმირება და ანგარიშის დამუშავება. 2022 წელს სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 5978 სამუშაოს მაძიებელმა. მათ შორის, ქალი - 3821, ახალგაზრდა - 1821, შშმ პირი - 213.

2022 წლის მდგომარეობით, სულ სისტემაში რეგისტრირებულია 355 987 სამუშაოს მაძებებლი.

შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირება - ეს არის პროცესი, რომელიც ხორციელდება დასაქმების კონსულტანტისა და სამუშაოს მაძიებლის პირისპირ შეხვედრის ფორმატში. „შრომის ბაზარზე ქცევის წესების” გაცნობის მიზნით, სააგენტოს სერვის ცენტრებში სამუშაოს მაძიებლებს ჩაუტარდათ ინდივიდუალური კონსულტირებები. შედეგად, ინდივიდუალური კონსულტირება გაიარა 3165 სამუშაოს მაძიებელმა, მათ შორის: ქალი - 2084, ახალგაზრდა - 1019, შშმ პირი - 234.

კონსულტირებული ბენეფიცარების დასაქმების შესახებ სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემებთან შედარების შედეგად, დასაქმებულია 1496 სამუშაოს მაძიებელი.

რაც შეეხება ჯგუფურ კონსულტირებას, სააგენტო „მოწყვლადი დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში (EPIC)“ პროექტის ფარგლებში ახორციელებს „SHUTTLE - მეთოდოლოგიის“ პილოტირებას ორ მუნიციპალიტეტში, კერძოდ, ზუგდიდისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში ხორციელდება ჯგუფური კონსულტირება.

„SHUTTLE“ წარმოადგენს 20-25 მოტივირებული, უმუშევარი ადამიანების ჯგუფს, რომელსაც ხელმძღვანელობს მენტორი, რათა განავითაროს მონაწილეთა პიროვნული

[23] შენიშვნა: პროგრამის აქტივებებია: შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარება; შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა; საშუამავლო მომსახურება; მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობა (შრომის ანაზღაურების სუბსიდირება); დასაქმების ფორუმების მოწყობა; ვაკანსიების მონიტორინგი და თვისებრივი კვლევების განხორციელება მინიმუმ წელიწადში ერთხელ; სააგენტოს საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება; სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

და სოციალური უნარები, ცოდნა, პროფესიული კომპეტენცია და კავშირები, რომელიც ხელს უწყობს მათ სამსახურის მოძიებაში. თითოეული „SHUTTLE“ გრძელდება 4 თვე და მის მონაწილეებს უზრუნველყოფს კვირაში ორი-სამი დღე ჯგუფური სესიებით.

მეთოდოლოგიის შესაბამისად, აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში 40-მდე სამუშაოს მაძიებელს უტარდება ჯგუფური კონსულტაციები, სადაც მაძიებელი ეუფლება და იღებს რჩევებს CV-ის და სამოტივაციო წერილის შედგენაში, ასევე, მიმდინარეობს გასაუბრების სიმულაცია, პრეზენტაციის ტექნიკებზე, ციფრულ უნარებზე და სოციალური მედიის ინსტრუმენტებზე მუშაობა.

ამასთან, ჯგუფური კონსულტირებები ჩატარდა „პროფესიული გადამზადების ცენტრის“ ბენეფიციარებთან (მსჯავრდებულებთან). სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის მიერ გაკეთებული „უვადო მსჯავრდებულთათვის გათავისუფლების მოსამზადებელი“ პროგრამის ფარგლებში ჯგუფური კონსულტირებები ჩატარდა მე-5, მე-6, მე-8 და ქსნის დაწესებულებაში, უმეტესად, ჯგუფებად დაყოფილ მსჯავრდებულებთან. შედეგად, ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სულ 26-მა უვადო მსჯავრდებულმა.

აღსანიშნავია, რომ სააგენტო, ასევე, ახორციელებდა დისტანციურ კომუნიკაციას სამუშაოს მაძიებლებთან. სააგენტოს კონსულტანტებმა განახორციელეს სატელეფონო კონსულტირება 4503 სოციალურად დაუცველ პირთან.

საშუამავლო მომსახურების გაწევა/განვითარება - აქტივობა ითვალისწინებს დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს შორის ოპერატიულ და ეფექტიან დაკავშირებას ან/და ასეთი დაკავშირების ხელშეწყობას. დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ 10,017 თავისუფალ სამუშაო ადგილზე, საშუამავლო მომსახურების გაწევის (სამუშაოს მაძიებელთა შერჩევის) მიზნით, ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს. ვაკანსიების ფარგლებში შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა 2263 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის, ქალი - 1264, ახალგაზრდა - 617.

საშუამავლო მომსახურების ფარგლებში, დამსაქმებელთან გაგზავნილი ბენეფიციარების დასაქმების შესახებ, სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემებთან შედარების შედეგად, დასაქმებულია 671 სამუშაოს მაძიებელი.

მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა - აქტივობის მიზანია მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი პირების დასაქმების ხელშეწყობის სერვისების დანერგვა.

2022 წელს მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა 245 შშმ პირს გაუწიეს მხარდაჭერითი მომსახურება. მათ შორის, ქალი - 117, ახალგაზრდა - 72. დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შშმ

პირთათვის მოძიებული იქნა 78 ვაკანსია. დღეის მდგომარეობით დასაქმებულია 47 შშმ პირი.

სამუშაო ადგილების შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტის ფარგლებში, სუბსიდირების კომპონენტში ჩაერთო 6 დამსაქმებელი და 6 შშმ სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის, 3 ქალი. კომპონენტის ფარგლებში დასაქმებულია 6 შშმ სამუშაოს მაძიებელი.

დასაქმების ფორუმების მოწყობა - აქტივობის მიზანია დამსაქმებლებს, პროფესიული განათლების პროვაიდერებსა და სამუშაოს მაძიებლებს შორის უშუალო კონტაქტის დამყარება. 2022 წელს ჩატარებულია 14 დასაქმების ფორუმი, სადაც მონაწილეობა მიიღო 200-ზე მეტმა დამსაქმებელმა და 2500-ზე მეტმა სამუშაოს მაძიებელმა.

დამატებით გაცნობებთ, რომ დასაქმების შესახებ სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემებთან შედარების შედეგად, ღონისძიების ფარგლებში დასაქმებულია 578 სამუშაოს მაძიებელი.

ვაკანსიების მონიტორინგი და თვისებრივი კვლევების განხორციელება მინიმუმ წელიწადში ერთხელ - 2022 წელს, შრომის ბაზარზე ლოკალურ დონეზე ვაკანსიების მონიტორინგის ფარგლებში, რეგიონულმა წარმომადგენლობებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში აღრიცხულ 1000-ზე მეტ ორგანიზაციასთან დაამყარეს კომუნიკაცია, რომელთაგან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 223-მა დამსაქმებელმა. გამოკითხული ორგანიზაციები ზომის მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად: მცირე - 65.9 %, საშუალო - 24.7%, მსხვილი - 9.4%.

2022 წელს განხორციელდა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში დამსაქმებლების მიერ შემოტანილი ვაკანტური ადგილების მონიტორინგი. ვაკანსიები დამუშავდა პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCO-08) ძირითადი ჯგუფებისა და ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით NACE.

დაფიქსირდა რეგიონების მასშტაბით წარმოდგენილი ვაკანსიების განსხვავებული ოდენობა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა თბილისში, იმერეთსა და კახეთში. თბილისის მასშტაბით ვაკანტური ადგილების რაოდენობაა 5592, იმერეთში - 1497, ხოლო ქვემო ქართლში - 801.

გამოკითხულ ორგანიზაციებში დაფიქსირდა დეფიციტური პოზიციების, ასევე, დარეგისტრირებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია, პოზიციების შესახებ ინფორმაციები მუშავდება და აისახება მოთხოვნად პროფესიების ნუსხაში.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მთავარი მიზანია დასაქმებისა და პროფესიული უნარების

განვითარების შესაძლებლობის მოძიებაში სტუდენტთა ხელშეწყობა, საკადრო რეზერვის შექმნა და სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მხარდაჭერით, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ დეფიციტური პროფესიების ჭრილში, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და შესაბამისი მიწოდების იდენტიფიცირების მიზნით, ჩაატარა კვლევა საქართველოში მოქმედ დიდ და მცირე ზომის ტელევიზიებში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში მოქმედ ტელევიზიებში არსებული ტექნიკური პოზიციების ჩამონათვალის გამოვლენა, იმ პროფესიების იდენტიფიცირება, სადაც არსებობს საჭიროება არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების/გადამზადების. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში მოქმედი ტელევიზიები განიცდიან კვალიფიციური ტექნიკური პერსონალის ნაკლებობას. ასევე, გამოიკვეთა ის პროფესიები, რომლებიც ყველაზე მეტად პრობლემურია, როგორც არსებული კადრების გადამზადების, ასევე, ახალი კადრების მოძიების კუთხით.

სააგენტოს საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება - აქტივობის მიზანია მედიისთვის, დაინტერესებული მხარეებისთვის (ადგილობრივი არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციები, სოციალური პარტნიორები, დამსაქმებლები, დასაქმების კერძო სააგენტოები) ცნობიერების ამაღლება დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ. 2022 წლის 20 სექტემბერს, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ორგანიზებით, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა, რომელზეც მხარეებმა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების განხორციელების პროცესში ურთიერთთანამშრომლობის ორმხრივი გზების განვითარებასა და ერთობლივ სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს.

2022 წლის ნოემბერში, სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით შეხვედრები შედგა სხვადასხვა დარგობრივ ასოციაციების ხელმძღვანელებთან, სადაც დასაქმების, კვალიფიციური კადრების დეფიციტის და შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევები იყო საუბრის მთავარი თემა.

აქტივობა 2.5.2: სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის აქტივობები[24].

პროფესიული კონსულტაციისა (პროფკონსულტაცია) და კარიერის დაგეგმვის მომსახურება - აქტივობის მიზანია პროფკონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარება დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში. 2022 წელს, სააგენტოს სერვის ცენტრებში

[24] შენიშვნა: პროგრამის აქტივებები მოიცავს: ა) პროფესიული კონსულტაციისა (პროფკონსულტაცია) და კარიერის დაგეგმვის მომსახურება; საკვანძო კომპეტენციების განვითარება; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება (სტაჟირება).

ინდივიდუალური კარიერის დაგეგმვა და პროფესიული კონსულტირება ჩაუტარდა 3640 სამუშაოს მაძიებელს: ქალი - 2624, ახალგაზრდა - 1147 (მათ შორის, ქალი).

სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრსა და სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ჩატარდა მსჯავრდებულთა კარიერული კონსულტირებები. კონსულტირებები მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში. სულ კონსულტირება გაიარა 132 უვადო მსჯავრდებულმა.

საკვანძო კომპეტენციების განვითარება - სსიპ „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ", 2022 წელს, პროგრამის ფარგლებში საკვანძო კომპეტენციების სასწავლო პროგრამები განახორციელა შემდეგი მიმართულებებით: პერსონალური და სოციალური კომპეტენცია, მულტილინგვური კომპეტენცია (გერმანული, ინგლისური, ფრანგული ენები), სამეწარმეო კომპეტენცია და ციფრული კომპეტენცია.

საკვანძო კომპეტენციების ტრენინგ კურსებში ჩართვის სურვილი გამოთქვა ჯამში 727 მოსარგებლემ მთელი საქართველოს მასშტაბით, რომლებმაც გაიარეს პროფესიული კონსულტირება და განისაზღვრა მათი ჩართულობის საჭიროება.

საკვანძო კომპეტენციების ტრენინგ კურსებში ოთხივე მიმართულებით (უცხო ენა - 355; პერსონალური და სოციალური კომეპტენცია - 23; სამეწარმეო კომპეტენცია - 55; ციფრული კომპეტენცია - 88) სწავლა დაასრულა 521 სამუშაოს მაძიებელმა, მათ შორის ქალი - 379, ახალგაზრდა - 211, შშმ პირი - 32. კომპონენტის ფარგლებში დღეის მდგომარეობით **დასაქმებულია 270 სამუშაოს მაძიებელი.**

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადება - აღნიშნული ხორციელდება ვაკანსიების მონიტორინგისა და შრომის ბაზრის თვისებრივი კვლევის საფუძველზე გამოვლენილი მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისად. პროგრამაში ჩართული ბენეფიციარებისთვის სწავლა უფასოა.

2022 წელს, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების კომპონენტში ჩართვის სურვილი გამოთქვა 32 პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებამ და დამსაქმებელმა ორგანიზაციამ, რომელთაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოპოვებული აქვთ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი კურსების განხორციელების უფლება.

აღნიშნულთაგან, 13 სახელმწიფო და 19 კერძო სასწავლებელია. რეგიონების მიხედვით კოლეჯების რაოდენობა თანაბრად განაწილდა: თბილისი - 16, რეგიონები - 16.

პროგრამის შესაბამისად, სააგენტომ უზრუნველყო შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (www.worknet.gov.ge), რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების ინფორმირება პროგრამის პირობების, წესებისა და პროცედურების,

რეგისტრაციის ვადების შესახებ და შემდგომში ინდივიდუალური პროფესიული კონსულტაციის თაობაზე. შედეგად, სასწავლო პროცესში, 72 მოთხოვნად პროფესიაზე, ჩაერთო 2517 მოსარგებლე. მათ შორის, ქალი - 1887, ახალგაზრდა - 742, შშმ პირი - 63 (ქ. თბილისი - 1225, აჭარა - 77, გურია - 143, იმერეთი - 316, კახეთი - 194, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 302, ქვემო ქართლი - 225, შიდა ქართლი - 35). დღეის მდგომარეობით სასწავლო პროცესი დაასრულა 1222 მოსარგებლემ;

მონიტორინგის შედეგად, 2021 წლის კურსდამთავრებულებიდან, 2022 წელს დასაქმდა 55 პირი. 2022 წლის კურსდამთავრებულებიდან დასაქმებულია 663. სულ პროგრამის ფარგლებში, **2022 წელს, დასაქმებულია 718 პირი.**

კვალიფიკაციის ამაღლება (სტაჟირება) - სტაჟირების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ ვაკანტურ ან/და პერსპექტიულ სამუშაო ადგილზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და სწავლება შემდგომი დასაქმების მიზნით. სტაჟირების მაქსიმალური ხანგრძლივობა განისაზღვრება დამსაქმებელთან შეთანხმებით და არ აღემატება 3 კალენდარულ თვეს. ქვეპროგრამის ფარგლებში, სტაჟირების კომპონენტში ჩაერთო 24 დამსაქმებელი (თბილისი - 3 და რეგიონი - 21) და 283 სტაჟიორი, მათ შორის, ქალი - 258, ახალგაზრდა - 68, შშმ პირი - 12 (ქ. თბილისი - 8, გურია - 6, იმერეთი - 209, კახეთი - 3, სამეგრელო- ზემო სვანეთი 6, რაჭა-ლეჩხუმი - 29, ქვემო ქართლი - 15, შიდა ქართლი - 7).

პროგრამაში ჩართულ დამსაქმებელ ორგანიზაციებს 34 პოზიციაზე წარმოდგენილი აქვთ 119 ვაკანტური ადგილი. სულ სტაჟირების კომპონენტში ჩართული სამუშაოს მაძიებლებიდან **დასაქმებულია 151 პირი.**

ამოცანა 2.6 ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პოპულარიზაცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.6.1: დატრენინგებულ კომპანიათა რაოდენობა.

2022 წელს ჩატარდა UN GCNG-ის (UN Global Compact Network Georgia გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი) მიერ ორგანიზებული ტრეინინგ კურსები. კომპანიების წარმომადგენლები დატრენინგდნენ ბიზნესის მდგრადი განვითარების/ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის საკითხებში. ტრენინგი მოიცავდა შემდეგ თემებს: შრომითი უფლებები; გარემოს დაცვა; ბიზნესი და ადამიანის უფლებები; კომუნიკაცია პროგრესის შესახებ (COP). ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა 67 კომპანიის წარმომადგენელი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.6.2: შემუშავებული ESG სახელმძღვანელო.

სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“, მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის სახელმძღვანელო „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო“ (ESMS).

ამოცანის ინდიკატორი 2.6.3: დატრენინგებულ კომპანიათა რაოდენობა, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი უნარები დაეხმარება RBC/ESG პრინციპების იმპლემენტაციაში.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ, 2022 წელს SDG Ambition-ის ფარგლებში მონაწილე კომპანიებს დაეგზავნათ კითხვარი, რომელთა შევსება ნებაყოფლობითი იყო. 2022 წელს დასრულებული SDG Ambition-ის გამოკითხული მონაწილეების 100%-მა დააფიქსირა, რომ ტრენინგზე შეძენილი უნარები მათ დაეხმარება RBC/ESG პრინციპების იმპლემენტაციაში და ისინი აუცილებლად ურჩევდნენ აქსელერაციის პროგრამას სხვა დაინტერესებულ პირებს.

- ✓ **აქტივობა 2.6.2: პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევის მიმართულებით საუკეთესო მაგალითების ყოველწლიური პუბლიკაციის შექმნა.**

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის (UN GCNG) ინიციატივით, საქართველოში ყოველწლიურად ტარდება კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდოს კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში კორპორაციული პასუხისმგებლობის კულტურის განვითარებას და მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელების პროცესში ბიზნესის ჩართულობის წახალისებას.

აღნიშნული ჯილდო მოიცავს გამარჯვებულების გამოვლენას შემდეგ ნომინაციებში: SDG 4 – ხარისხიანი განათლება; SDG 8 – ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა; SDG 9 – მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; SDG 12 – მდგრადი მოხმარება და წარმოება; SDG 16 – მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები; SDG 17 – პარტნიორობა მდგრადი განვითარებისათვის.

2022 წელს ჩატარდა კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო 2022-ის კონკურსი – „ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის“ და გამოვლინდნენ გამარჯვებულები. გამარჯვებულებისა და საუკეთესო მაგალითების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა პუბლიკაციაში, რომელიც მიზნად ისახავს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის წახალისებას.[25]

[25] კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო 2022 - „ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის“; იხ. ბმული: https://globalcompact.ge/korporaciuli-pasukhismgeblobis-jildo-2022-is-gamarjvebulebi-cnobilia/

- ✓ **აქტივობა 2.6.4: მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის სახელმძღვანელოს შექმნა ESG (გარემოსდაცვის, სოციალური და მმართველობითი) მიმართულებით.**

სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, „საქართველო: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებისა და კრიზისიდან გამოყვანის პროექტის“ ფარგლებში შეიმუშავა „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო“ (ESMS), რომელიც 2022 წელს გასაჯაროვდა და მისი ონლაინ ვერსია განთავსებულია სააგენტოს ვებ-გვერდზე.

- ✓ **აქტივობა 2.6.5: ESG სახელმძღვანელოს შესახებ ცნობიერების ამაღლება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებთან საინფორმაციო სესიების საშუალებით.**

პროგრამა SDG Ambition Accelerator (SDG ამბიციის აქსელერატორი) გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივაა. SDG Ambition-ის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 12 სესია. პროგრამა წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების ახალ სისტემას, რომლის მიზანია ბიზნესისთვის მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება მდგრადი განვითარების მიზნებისა და გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის შესახებ. პროგრამის დახმარებით კომპანიები მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირებას ახდენენ თავიანთ საქმიანობაში, რითიც ხელს უწყობენ გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესრულებას.

ამოცანა 2.7. ფართოზოლოვანი ინტერნეტის საშუალებით ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.7.1: ციფრული წიგნიერების (მათ შორის ციფრული უნარების) ხელშემწყობი პროგრამებით მოცული დასახლებების რაოდენობა.

Log-in Georgia პროექტის მეორე კომპონენტის „ციფრული მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 36 სოფელსა და დასახლებაში ჩატარდა 30 ტრენინგ კურსი, შემდეგ 3 თემატიკაზე:

- რა არის ინტერნეტი, ინფორმაციის მოძიების მეთოდები;
- ინტერნეტი კომუნიკაციისთვის - სასარგებლო ონლაინ რესურსები;
- ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენება.

დამატებით ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ელექტრონული აუქციონის პლატფორმა - როგორ ვიყიდო და გავყიდო ქონება (eAuction.ge)“. ასევე, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე: ინტერნეტის მომხმარებელთა უფლებები. სულ 31 ტრენინგსა (313

ადამიანი - 168 ქალი და 145 კაცი) და 1 საინფორმაციო შეხვედრაში (25 ადამიანი - 2 ქალი და 23 კაცი) მონაწილეობა მიიღო 338 ადამიანმა (170 ქალი და 168 კაცი).

ქობულეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სამიზნე სოფლებში სულ ჩატარდა 42 საინფორმაციო შეხვედრა.

პრიორიტეტი 3: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ფინანსური სექტორის გაძლიერება და შედეგად, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

ფინანსური რესურსები და მათზე ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ბიზნესისთვის მიზნების მიღწევის პროცესში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ფინანსების ხელმისაწვდომობა და დაფინანსება თამაშობს ძირითად როლს მეწარმეობის განვითარებაში. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების და დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარება, ფინანსური განათლების დონის ამაღლება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ მიმართულებით, მთავარ გამოწვევებს შორისაა მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტების გამოყენების ხელშეწყობა.

2020 წელს, ბიზნეს სექტორში ინვესტიციებმა ფიქსირებულ აქტივებში 4,350.1 მილიონი ლარი შეადგინა[26], მათ შორის, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წილმა 51% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან, მას შემდეგ რაც მოგების გადასახადის ე.წ. „ესტონური მოდელი" იქნა შემოღებული, რომელიც გაუნაწილებელი მოგების ნულოვან დაბეგვრას გულისხმობს, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წილი ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების მთლიან მაჩვენებელში გაიზარდა, რომელიც 2017 წელს მხოლოდ 39.2%-ს შეადგენდა. ამდენად, აღნიშნულმა რეფორმამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რეინვესტირებას ეკონომიკაში, რაც მცირე და საშუალო საწარმოებზე დადებითად აისახა.

მესამე პრიორიტეტული მიმართულება - ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება - აერთიანებს 6 ამოცანას და 17 აქტივობას.

[26] წყარო: საქსტატი „ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში საწარმოთა ზომის მიხედვით"; იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva

ამოცანა 3.1. სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1: შექმნილი ახალი პროდუქტები ან განახლებული არსებული პროდუქტები.

2022 წელს, სააგენტოში „აწარმოე საქართველოში“ შეიქმნა 1 ახალი პროგრამა - „ექსპორტის სტიმულირების პროგრამა“ და განახლდა 3 პროგრამა - პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი ბიზნეს უნივერსალი, მიკრო და მცირე მეწარმეობის პროგრამა და საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი.

საანგარიშო პერიოდში „სოფლის განვითარების სააგენტომ“ დაიწყო 7 ახალი პროგრამა და ასევე, 13 არსებული პროექტისა და პროგრამის ფარგლებში განახორციელა 22 ცვლილება. კერძოდ, დაიწყო შემდეგი ახალი პროგრამები: თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა; საპილოტე პროგრამა ქალებისთვის; ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კენკროვანი კულტურების შესანახი მაცივრების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის შემნახველი საწარმოების სახელმწიფო პროგრამა; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა; 2022 წლის ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ.

სააგენტოს მიერ ცვლილებები განხორციელდა შემდეგ პროგრამებში: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა; ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა; სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“; სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა; მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა; ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამა; აგროდაზღვევის პროგრამა; მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა; რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა; მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა; შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი; 2022 წლის ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.2: სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებში მონაწილე კომპანიების % მაჩვენებელი, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მიიღონ დაფინანსება არასახელმწიფო წყაროებიდან სახელმწიფო დაფინანსების პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს პროგრამებში მონაწილე კომპანიების 22%-მა, სახელმწიფო დაფინანსების შემდეგ, სხვა წყაროებიდან მიიღეს დაფინანსება.

2022 წლის პირველ კვარტალში ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ ჩაატარა საგრანტო პროგრამებში მონაწილე კომპანიების გამოკითხვა და იმ დროისთვის დაფინანსებული 146 უნიკალური კომპანიიდან 32-მა (22%) განაცხადა, რომ გარდა სააგენტოსგან მიღებული დაფინანსებისა, მათ მოიზიდეს კერძო ინვესტიციებიც.

- ✓ **აქტივობა 3.1.1: აგროკრედიტების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება (შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი).**

2022 წელს, ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში, 16,616 უნიკალურ ბენეფიციარზე ბანკების მიერ გაიცა 992,873,508 ლარის ღირებულების 18,861 სესხი. სააგენტოს მიერ გაცემულმა თანადაფინანსებამ შეადგინა 173,783,361 ლარი. განხორციელდა 30,254 შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება.

- ✓ **აქტივობა 3.1.2: სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება (აგროდაზღვევის პროგრამა).**

„აგროდაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში 7,948 უნიკალურ დამზღვევზე/ბენეფიციარზე სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემულია 14,586 პოლისი. დაზღვეულ იქნა 167,339,494 ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა. დაზღვეულ იქნა 16,465 ჰა მიწის ფართობი. ჯამურმა სადაზღვევო პრემიამ შეადგინა 14,268,473 ლარი, ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრულმა სააგენტოს თანადაფინანსებამ (სააგენტოს პრემიის წილი) შეადგინა 8,489,629 ლარი.

- ✓ **აქტივობა 3.1.3: თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა (პროგრამა „დანერგე მომავალი”).**

სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, 569 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 667 ხელშეკრულება. დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 4,824.10 ჰა-ს, ხოლო ინვესტიციის ოდენობა - 70,272,945 ლარს, საიდანაც

ხელშეკრულებით განსაზღვრულმა სააგენტოს თანადაფინანსებამ შეადგინა 33,723,033 ლარი.

სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში ბაღების კომპონენტში დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 3,857.39 ჰა-ს და სანერგეების კომპონენტის ფარგლებში თანადაფინანსებულია 3 სანერგე მეურნეობა.

- ✓ **აქტივობა 3.1.4: ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა.**

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის „ქართული ჩაი“ ფარგლებში 3 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 3 ხელშეკრულება. დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 31,12 ჰა-ს. ინვესტიციის ოდენობაა 107,998 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრულმა სააგენტოს თანადაფინანსებამ 75,049 ლარი შეადგინა. 6 კოოპერატივი აღიჭურვა მანქანა-დანადგარებით.

- ✓ **აქტივობა 3.1.5: სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის განხორციელება.**

„გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ ფარგლებში სრულად/ნაწილობრივ დაფინანსდა გადამამუშავებელი საწარმოს/შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა, კერძოდ: (1) გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტის ფარგლებში 14 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 14 ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 14,715,557 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებამ შეადგინა 5,039,489 ლარი; (2) შემნახველი საწარმოების კომპონენტის ფარგლებში 44 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 44 ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 57,042,900 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება 21,229,672 ლარს გაუტოლდა.

- ✓ **აქტივობა 3.1.6: მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა.**

2022 წელს, „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის” ფარგლებში, 5 უნიკალურ ბენეფიციარს/კოოპერატივს „თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო-დანადგარების შეძენის“ მიზნობრიობით გაუფორმდა 5 ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 139,385 ლარი, ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრულმა სააგენტოს თანადაფინანსებამ 108,000 ლარი. ამასთან, 2022 წელს, ჯამში სულ განხორციელდა 6 კოოპერატივისთვის (აქედან, 5 კოოპერატივთან ხელშეკრულება გაფორმდა 2022 წელს, ხოლო ერთ კოოპერატივთან -

2021 წელს) თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო-დანადგარების შეძენის (აღჭურვის) თანადაფინანსება, რაზეც სულ დაიხარჯა 116,820 ლარი[27].

- ✓ **აქტივობა 3.1.7: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გადამამუშავებელი დანადგარებით აღჭურვა.**

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში 13 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი აღიჭურვა ნედლეულის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოსათვის საჭირო მოწყობილობებით. ინვესტიციის ოდენობამ 5,435,866 ლარი შეადგინა, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებაა 4,050,000 ლარი.

- ✓ **აქტივობა 3.1.8: ფერმერებისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება (მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი).**

„სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში 67 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 69 ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 11,228,821 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებაა 4,568,994 ლარი. პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსებულია 116 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა.

- ✓ **აქტივობა 3.1.9: პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა.**

„პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში 44-მა ბენეფიციარმა დანერგა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტი (HACCP, ISO-22000, BRC, FSSC-22000, FSSC v.5.1., GLOBAL G.A.P), ხოლო 19-მა ბენეფიციარმა მოახდინა პროდუქციის/კომპანიის ბრენდირება. 5 ბენეფიციართან გაფორმდა (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის) წარმოებული პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის შეძენის ხელშეკრულება და 1-მა ბენეფიციარმა მოახდინა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. სააგენტოს მიერ გაცემული თანადაფინანსებაა 855,161 ლარი.

---

[27] შენიშვნა: ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო, „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის" ბიუჯეტი, 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესაბამისად, განისაზღვრა 116,820 ლარით.

- ✓ **აქტივობა 3.1.10: სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსება პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში.**

2022 წელს, სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსების ფარგლებში, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" მხრიდან დადასტურდა 432 პროექტი, რომელთაგანაც 269 პროექტზე სააგენტოს მხრიდან მოხდა თანხების გადარიცხვა.

- ✓ **აქტივობა 3.1.11: საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში სესხების გარანტიის გაცემა.**

2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" მხრიდან მოხდა 328 პროექტის დადასტურება, რომელთაგანაც 289 პროექტზე განხორციელდა საგარანტიო თანხის გადარიცხვა შესაბამის ფინანსურ ინსტიტუტში.

- ✓ **აქტივობა 3.1.12: მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მიკრო გრანტების გაცემა.**

2022 წელს, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" მიერ, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მიკრო გრანტები გაიცა 1,308 პროექტზე. 2022 წელს პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი გაორმაგდა და 30 მლნ. ლარი შეადგინა.

- ✓ **აქტივობა 3.1.13: სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში" არსებული პროგრამების განახლება**

2022 წელს, სააგენტოში „აწარმოე საქართველოში" შეიქმნა 1 ახალი პროგრამა - „ექსპორტის სტიმულირების პროგრამა" და განახლდა 3 პროგრამა - პროგრამის „აწარმოე საქართველოში" უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი ბიზნეს უნივერსალი, მიკრო და მცირე მეწარმეობის პროგრამა და საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი.

ექსპორტის სტიმულირების პროგრამა ითვალისწინებს ექსპორტიორი კომპანიების ტექნიკურ დახმარებას, კერძოდ, ბენეფიციარ კომპანიებში ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრას და ექსპორტის მასტიმულირებელი მექანიზმების დანერგვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს საექსპორტო ბაზრების, პროდუქტებისა და სერვისების დივერსიფიკაციას, მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე სექტორებისა და პროდუქტების იდენტიფიცირებას და საერთაშორისო გაყიდვების წახალისებას. პროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: პროდუქტის ლიცენზირება/სერტიფიცირება, ბრენდინგი და საერთაშორისო ქსელში შესვლა.

პროგრამის „აწარმოე საქართველოში" უნივერსალურ ინდუსტრიულ ნაწილში (ბიზნეს უნივერსალი) ინტეგრირდა 4 საპილოტე რეგიონი, რომლის ფარგლებშიც მხარდაჭერილ

ბენეფიციარებს შესაძლებლობა აქვთ დამატებით ისარგებლონ 10%-იანი საგრანტო დაფინანსებით, თუ მათი საქმიანობა არ თავსდება საგრანტო საქმიანობათა ნუსხაში, ხოლო სტანდარტულ 15%-იან განაკვეთს პლუს 5%, თუ საქმიანობა თავსდება პრიორიტეტულ საქმიანობათა ნუსხაში.

მიკრო და მცირე მეწარმოების ნაწილში ინტეგრირდა 4 საპილოტე რეგიონი, რომლის ფარგლებში ბენეფიციარებს შესაძლებლობა აქვთ მოითხოვონ გრანტის მოცულობა 40,000 ლარის ოდენობით.

უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის (ბიზნეს უნივერსალი) და საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმის ფარგლებში, გაფართოვდა დასაფინანსებელი ეკონომიკური საქმიანობების ნუსხა. გარდა ამისა, საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმის ფარგლებში მოხდა პროგრამის დიზაინის დახვეწა.

ამოცანა 3.2. დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.1: ლიზინგის პორტფელის მოცულობა.

ლიზინგი, როგორც ფინანსური ბაზრის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და დაფინანსების ალტერნატიული წყაროების გაჩენის თვალსაზრისით.

ლიზინგი, საუკეთესო ფინანსური ინსტრუმენტია მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად. ბოლო წლების განმავლობაში, ლიზინგი ხდება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის დაფინანსების ალტერნატიული გზა, ვინაიდან, უმეტეს შემთხვევაში, დამატებითი უზრუნველყოფის საგნის მოთხოვნა არ ხდება, რადგან თავად ლიზინგით გაცემული აქტივი ასრულებს გირაოს როლს.

2022 წლისთვის, ლიზინგის პორტფელის მოცულობამ 414 მლნ. ლარი შეადგინა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.2: ფაქტორინგის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო.

ფაქტორინგული მომსახურების განვითარება მნიშვნელოვანია ბიზნესისთვის ლიკვიდობის მართვის გაუმჯობესების და მოკლევადიან დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის ზრდის თვალსაზრისით. ფაქტორინგის განვითარება წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის მოკლევადიან დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების და საბრუნავი კაპიტალის ზრდის ერთ-ერთ ინსტრუმენტს. აღნიშნული განიხილება როგორც ეფექტიანი მექანიზმი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თვალსაზრისითაც.

2021 წლიდან, ფაქტორინგის მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავების მიზნით, პარტნიორ უწყებებთან და საერთაშრისო ორგანიზაციებთან ერთად დაიწყო ფაქტორინგის კანონის შექმნაზე მუშაობა. 2022 წელს შემუშავდა საქართველოს კანონის პროექტი „ფაქტორინგის შესახებ“. ამასთან, EBRD-ის მხარდაჭერით დაიწყო კვლევა აღნიშნული კანონპროექტის პრაქტიკული განხორციელებისათვის საჭირო ელექტრონული პლატფორმის შექმნასთან დაკავშირებით.

ამოცანა 3.3. ფინანსური განათლების შემდგომი გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.3.1: ტრენინგის მონაწილეთა %-ული წილი, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები და ცოდნა დაეხმარება მათ უკეთესად წარმართონ თავიანთი კომპანიის ფინანსები.

2021 წელს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მომზადდა ტრენინგ-მოდული და ჩატარდა ვებინარი მეწარმეებისთვის თემაზე „როგორ შევაფასოთ ჩვენი ბიზნესის საკრედიტო პოტენციალი“. ვებინარის დასრულების შემდგომ მონაწილეებმა შეავსეს კითხვარი, სადაც 100%-მა ჩათვალა, რომ ვებინარზე მიღებული უნარები და ცოდნა დაეხმარება მათ უკეთესად წარმართონ თავიანთი კომპანიის ფინანსები.

2022 წლიდან, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური განათლების პორტალის FinEdu (ფინედუ) ფეისბუქ გვერდზე დაიწყო პირდაპირი (Live/ლაივი) ჩართვების სერია „საუბრები ბიზნესზე“. აღნიშნული ფორმატით მნიშვნელოვნად მეტი დაინტერესებულ პირისთვის გახდა შესაძლებელი ინფორმაციის მიწოდება.

2022 წელს ჩატარდა 21 ფეისბუქ პირდაპირი (LIVE) ჩართვა, რომლებიც მეწარმეებისთვის საინტერესო თემებს შეეხებოდა. ფეისბუქ გვერდზე 16 ჩართვა განხორციელდა რუბრიკაში „საუბრები ბიზნესზე“, ხოლო 5 ჩართვა განხორციელდა რუბრიკაში „ექსპერტი ფინედუზე", სადაც ბიზნესთან და ფინანსებთან დაკავშირებული ექსპერტები განიხილავდნენ მეწარმეებისთვის საინტერესო თემებს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.3.2: საგანმანათლებლო პოსტები ფინანსური განათლების პორტალის სოციალური ქსელით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მომზადდა საგანმანათლებლო პოსტები მეწარმეებისთვის, კერძოდ ბროშურა „ფერმერის დღიური“, ბიზნესის შეფასების კრიტერიუმები და კოეფიციენტები, ფეისბუქ რუბრიკების „საუბრები ბიზნესზე“ და „ექსპერტი ფინედუზე“ ვიდეო ჩანაწერები. აღნიშნული პოსტები გაზიარდა ეროვნული ბანკის საგანმანათლებლო პორტალის ფინედუს (FinEdu) ფეისბუქ გვერდის საშუალებით.

ფეისბუქ გვერდსა და სხვა სოციალურ ქსელებში შეიქმნა ღონისძიებები (Facebook Event) პირდაპირ ჩართვებზე აუდიტორიის მოსაზიდად. ვიდეო ჩანაწერები განთავსდა ფინანსური განათლების პორტალის (ფინედუს) ფეისბუქ და იუთუბ (YotTube) არხებზე. შედეგად, მიღწეულ იქნა აუდიტორიის წვდომა და ჩართულობა აღნიშნულ პოსტებზე.

2022 წლის განმავლობაში, მეწარმეებისთვის განკუთვნილ საგანმანათლებლო ფეისბუქ პოსტებზე და პირდაპირ (LIVE) ჩართვებზე იყო 226,826 პირის წვდომა, ხოლო ჩართულობა - 29,795 პირის.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.3.3: მეწარმეთა ფინანსური განათლების არსებული ქულა.

ეროვნული ბანკის ორგანიზებით, „ევროპული ფონდის სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამის (EFSE DF) ფინანსური მხარდაჭერით, კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია ACT-ის მიერ ჩატარდა მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების დონის პირველი კვლევა საქართველოში. კვლევაში, რომელიც OECD/INFE-ს მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ჩატარდა, 14 ქვეყანას შორის საქართველოც მონაწილეობდა. კვლევის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, გამოიკითხა ათასი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელი. გამოიკითხნენ პირები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულნი კომპანიის ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. კვლევის შედეგად მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების დონე სამი კომპონენტის - ცოდნის, ქცევისა და დამოკიდებულებების - მიხედვით შეფასდა.

კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს ფინანსური განათლების ქულამ 17 ქულიანი შკალით 10.3 ქულა (60%) შეადგინა[28].

ამოცანა 3.4. გირავნობის საგნის გაფართოება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.4.1: რეგისტრირებული მიწების ფართობი.

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა 2022 წლის პირველი იანვრიდან დაიწყო, რომლის ფარგლებშიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი

[28] წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, „მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევა“; იხ. ბმული: https://finedu.gov.ge/ge/siakhleebi-1/mikro-mtsire-da-sashualo-metsarmeebis-finansuri-ganatlebis-kvlevis-shedegebi-tsnobilia-1

ქალაქებისა: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი) სისტემური წესით ეტაპობრივად ზომავს და არეგისტრირებს კერძო, სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს.

სისტემური რეგისტრაციის არეალები და მისი განხორციელების ვადა დადგენილია საქართველოს იუსტიციის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით („მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის, სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიული არეალების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №798 ბრძანება). ამ ბრძანების თანახმად, სისტემური რეგისტრაციის წარმოების მიზნით განისაზღვრა გეოგრაფიული არეალები - 59 მუნიციპალიტეტი, რომლებიც მოიცავს იმ მუნიციპალიტეტებსაც, რომლებიც საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებს წარმოადგენს.

მიწის სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში დაგეგმილი ყველა სამუშაო (საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოები, უფლების დამდგენი დოკუმენტაციის მოძიება, საკუთრების უფლების აღიარება, იდენტურობის დადგენა, რეგისტრირებული მონაცემების გასწორება, საკუთრების უფლების რეგისტრაცია და სხვა) სრულდება სააგენტოს მიერ. საამზომველო სამუშაოები (მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვა/აზომვა, საველე ინფორმაციის მოძიება) და მონაცემების სამართლებრივი დამუშავება ხორციელდება სააგენტოს მიერ.

მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტის ფარგლებში, 2022 წლის ბოლოსთვის სისტემური წესით სულ რეგისტრირებულია 2.6 მილიონი ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.4.2 სესხები უძრავი ქონების უზრუნველყოფით.

2022 წელს, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ, 28.5 მილიარდი ლარი შეადგინა. უძრავი ქონების ბაზრის მიმართულებით არსებული რეფორმები ხელს უწყობს უზრუნველყოფაში მისაღები ქონების ბაზის გაზრდას, რაც თავის მხრივ, ზრდის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას, მათ შორის, SME მსესხებლებისთვის.

ამოცანა 3.5. მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.5.1. ანგარიშგების წარდგენის მაჩვენებელი.

ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, აუდიტირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების წარდგენა და გასაჯაროება საშუალო ზომის საწარმოებს 2017 წლიდან ევალებათ, ხოლო მცირე საწარმოებს ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - 2018 წლიდან. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) ინიციატივით შეიქმნა ანგარიშგების პორტალი, სადაც საწარმოები ცენტრალიზებულად წარადგენენ ანგარიშგებებს და აღნიშნული სისტემის მეშვეობით ხდება ადმინისტრირების პროცესი.

2022 წელს, სდპ [29], I, II, III კატეგორიის საწარმოთა მიერ ანგარიშგების წარდგენის პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 93%-ს, ხოლო მეოთხე კატეგორიის საწარმოთა 77%-მა წარადგინა შესაბამისი ანგარიშგება.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.5.2 ტრენინგების და გადამზადებული პირების რაოდენობა.

მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდის მიზნით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას, რაც მცირე და საშუალო მეწარმეობის სეგმენტში დასაქმებული ბუღალტრების და ფინანსისტების კვალიფიკაციის ამაღლებას ითვალისწინებს. 2022 წლის განმავლობაში ჩატარდა 4 ტრენინგი და გადამზადდა 80-მდე პირი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.5.3 გადამზადებული ბუღალტერების %-ული წილი, რომელთა მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არის გაუმჯობესებული ხარისხის.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას გადამზადებულმა ბუღალტრებმა, ვინც გაიარა მსს ფასს (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) ტრენინგი, წარდგენილი ანგარიშგების 81% უხარვეზოდ წარადგინეს, რომელიც გასაჯაროვდა ანგარიშგების პორტალზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარდგენილი ანგარიშგების შესაბამისობა მსს ფასს სტანდარტთან გაუმჯობესებულია.

[29] შენიშვნა: სდპ - საზოგადოებრივი დაინტერესების პირი.

- ✓ **აქტივობა 3.5.1: საწარმოთა მიერ წარდგენილი ანგარიშგების წესთან და კანონთან შესაბამისობის დადგენა და ანგარიშგებების გასაჯაროება.**

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებით, 2022 წელს დაფიქსირდა ანგარიშგების წარდგენის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, რის შედეგადაც გასაჯაროვდა 75 000-მდე საწარმოს ანგარიშგება. მაღალი კატეგორიების საწარმოებისთვის ანგარიშგების წარდგენის მაჩვენებელი 93%-ია, ხოლო მე-4 კატეგორიაში უპრეცედენტოდ მაღალი - 70,000-ზე მეტი საწარმოს ანგარიშგების წარდგენა დაფიქსირდა. რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე შემოწმების შედეგად, კანონისა და წესის მოთხოვნებთან შეუსაბამობის მოტივით დახარვეზდა 200-მდე საწარმოს ანგარიშგება[30].

- ✓ **აქტივობა 3.5.2: მსს ფასს ტრენინგების სტიმულირება დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.**

მსს ფასს სტანდარტის ტრენინგის პროგრამა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინიციატივით ხორციელდება. მისი მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტში მომუშავე ბუღალტრების, ფინანსისტების და სხვა დაინტერესებული პირების კვალიფიკაციის ამაღლება.

ტრენინგები მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გადამზადებული ტრენერების მეშვეობით, ფასს ფონდთან სალიცენზიო შეთანხმების საფუძველზე შემუშავებული სატრენინგო მასალის გამოყენებით ტარდება. 2022 წლის განმავლობაში, ჩატარდა 4 ტრენინგი, სადაც გადამზადდა 80 ბუღალტერი.[31]

- ✓ **აქტივობა 3.5.3: ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ჩატარება.**

2022 წლის განმავლობაში განხორციელდა 27 აუდიტორული ფირმის სრული და 5 აუდიტორული ფირმის თემატური მონიტორინგი. ასევე, განხორციელდა საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელი 3 აუდიტორის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი. საანგარიშო წლის ბოლოსთვის, მონიტორინგის შედეგად მოცულია აუდიტორული ბაზრის 95%.

აღსანიშნავია, რომ **2022 წლის 14 მაისიდან** გამოიყენება სამოქმედოდ შემოღებული ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ISQC) (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 11.05.2022 N ნ-4 ბრძანება),

---

[30] შენიშვნა: სსიპ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური „წარდგენის პროცესი მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს და ადმინისტრირების პროცესის პარალელურად აღნიშნული მაჩვენებელი იზრდება ეტაპობრივად“.

[31] შენიშვნა: მსს ფასს სტანდარტის ტრენინგის პრაქტიკამ აჩვენა, რომ ტრენინგები ეფექტური იყო 20-25 კაციანი ჯგუფებისთვის, შესაბამისად, 4 ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა 80 ბუღალტერი.

ხოლო **2022 წლის 15 დეკემბრიდან** ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი (ISQM) 1 და ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი (ISQM) 2.

ამოცანა 3.6. „VENTURE CAPITAL" (VC) და „BUSINESS ANGELS" ეკოსისტემის შემდგომი განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.6.1: ინვესტიციები „VC" და „BUSINESS ANGELS" ფონდებიდან წლიურად.

2022 წელს სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" და „500 Georgia, LL.C"-ს საინვესტიციო ფონდს შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

- ✓ **აქტივობა 3.6.1: თანადაფინანსების გრანტების 650,000 ლარიანი პროგრამის განხორციელება (ითვალისწინებს კერძო ინვესტიციების მოზიდვასაც).**

„საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" და 500 Georgia, LL.C-ს საინვესტიციო ფონდს შორის გაფორმდა ხელშეკრულება. პირველი ტრანშის ფარგლებში გადაირიცხა 506,756.76 აშშ დოლარი.

პრიორიტეტი 4: მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

ასოცირების ხელშეკრულება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომელიც ევროკავშირთან 2014 წლის ივნისში გაფორმდა, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესს ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს. ექსპორტის წახალისების გარდა, ასოცირების ხელშეკრულებამ მნიშვნელოვნად დააჩქარა ინსტიტუციური და მარეგულირებელი რეფორმები, რაც ქვეყნის სტანდარტების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას ეხმარება. DCFTA, ასევე, უწყობს ხელს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის გამოუყენებელი პოტენციალის ათვისებას, ტექნოლოგიებისა და ცოდნის ტრანსფერისთვის პირობების შექმნას ქართული საწარმოების გლობალურ საწარმოო ჯაჭვში ჩართვის საშუალებით.

DCFTA-ის ხელშეკრულებაზე ხელმოწერამ ქართული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გატანის რეალური პერსპექტივა შექმნა. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესში ყველა მიმართულებით კომპლექსურად გატარდა რეფორმები. ქართველ მეწარმეებს მიეცათ საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების ეტაპობრივად დანერგვის შესაძლებლობა. შედეგად, გაიზარდა ხარისხიანი პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების მასშტაბები, რამაც ხელი შეუწყო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო ბაზარზე.

2022 წლის წინასწარი მონაცემებით, ექსპორტის მოცულობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და 5,592.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 47.2%-ით აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის მოცულობა, ასევე, რეკორდულად გაიზარდა და 2022 წელს 862.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 20.3%-ით აღემატება 2021 წლის მონაცემებს.

2022 წელს, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ექსპორტმა 2,702.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის საბაზისო მონაცემს 40.3%-ით აღემატება. ამასთან, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ექსპორტმა მთლიანი ექსპორტის 48.3% შეადგინა.

მეოთხე პრიორიტეტული მიმართულება - ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება - აერთიანებს 4 ამოცანას და 11 აქტივობას.

ამოცანა 4.1. საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.1: ჩატარებულ ღონისძიებებთან მიმართებით კომპანიების კვლევის საფუძველზე, გამოვლენილი კომპანიების დადებითი უკუკავშირი.

სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ ჩაატარა ბენეფიციართა გამოკითხვა, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა 2021-2022 წელს საერთაშორისო გამოფენებში/ღონისძიებებში დაფინანსებული ქართული კომპანიები. გამოკითხული ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნული მხარდაჭერის ფარგლებში, კომპანიებმა ახალ შეთანხმებას მიაღწიეს 164 არსებულ და 196 ახალ საერთაშორისო შემსყიდველთან. ახალ/არსებულ პარტნიორებთან შეთანხმების მიღწევის შედეგი დადგა გამოკითხული კომპანიების 63%-ში.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.2: B2B შეხვედრების რაოდენობა, რომელიც ჩატარდა მხარდაჭერილი კომპანიებსა და საერთაშორისო მყიდველებს შორის.

2021-2022 წლებში საერთაშორისო ღონისძიებებისა და გამოფენების ფარგლებში მხარდაჭერილი და გამოკითხული ბენეფიციარების მიერ შედგა 383 შეხვედრა არსებულ საერთაშორისო შემსყიდველთან და 1,981 პოტენციურ საერთაშორისო შემსყიდველთან. შესაბამისად, ჯამურად შედგა 2,364 შეხვედრა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.3: იდენტიფიცირებული საექსპორტო პოტენციალის მქონე ახალი პროდუქტის/მომსახურების რაოდენობა.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ, 2022 წელს იდენტიფიცირდა საექსპორტო პოტენციალის მქონე 3 პროდუქტი - შესაფუთი მასალები, სადენები (კაბელი) და მზის პანელები.

- ✓ **აქტივობა 4.1.1: ქართული კომპანიების საერთაშორისო გამოფენებში/ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა.**

2022 წელს, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ, მხარდაჭერილ იქნა კომპანიების მონაწილეობა 20 საერთაშორისო გამოფენასა და ღონისძიებაში. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში მოცული იყო შემდეგი ინდუსტრიები: საკვები და სასმელი პროდუქტები; მოდის ინდუსტრია; ბავშვის ტანსაცმელი; ტყავი და ტყავის პროდუქტები; ცხოველის და ფრინველის საკვები დანამატები; მზის პანელები; ელ. სადენები და ელექტრონული ნაწარმი; სამკაულები და ძვირფასეულობა; შესაფუთი მასალები.

საერთაშორისო გამოფენა/ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერის მიზნით, განხორციელდა 142 თანადაფინანსების ფაქტი.

- ✓ **აქტივობა 4.1.2: ექსპორტ/იმპორტის საკითხებზე ინდივიდუალური კონსულტაცია; პარტნიორის მოძიებაში მხარდაჭერა; სავაჭრო პარტნიორებს შორის პრობლემური ქეისების განხილვაში დახმარება; საერთაშორისო პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და დახმარება; მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო გამოფენების და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და სხვა.**

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ 2022 წელს მეწარმეებისთვის 500 ინდივიდუალური კონსულტაცია იქნა გაწეული ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა აქტიურად ახორციელებს საზღვარგარეთ დაგეგმილ გამოფენებთან დაკავშირებით მეწარმეთა ინფორმირებას ელ-ფოსტით, ონლაინ სერვისების და პალატის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებით. პალატა ყოველწლიურად ორგანიზებას უწევს ბიზნეს ფორუმის ჩატარებას საქართველოსა და საზღვარგარეთ. საანგარიშო პერიოდში პალატის მიერ ორგანიზებული იქნა 6 ბიზნეს ფორუმი.

2022 წლის მარტში ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში, გაეროს ქალთა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა და პალატის პარტნიორობით, მეწარმეებმა ადგილობრივი წარმოების, რძის პროდუქტებისა და ყველის გამოფენა-გაყიდვა გამართეს.

2022 წლის 14 აპრილს, პალატისა და ჩინეთის საგარეო ვაჭრობის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ონლაინ შეხვედრა, რომელსაც 100-ზე მეტი ქართული და ჩინური კომპანია ესწრებოდა.

2022 წლის 3 მაისს, საქართველო-ჩეხეთის ბიზნეს ფორუმი, ხოლო 2022 წლის 20 მაისს, საქართველო-ავსტრიის ბიზნეს ფორუმი გაიმართა, რომლის ფარგლებში ორმხრივი ბიზნეს შეხვედრები (B2B) შედგა. აღნიშნული ფორუმის მიზანს პარტნიორების მოძიება, ინვესტიციებისა და ბიზნეს კავშირების გაღრმავება წარმოადგენდა.

2022 წლის 30 მაისს, პალატის და აბუ დაბის ვაჭრობის, ლოგისტიკისა და ინდუსტრიული ჰაბის (KIZAD) ორგანიზებით მეწარმეების ხელშეწყობისთვის ჩატარდა ვებინარი - „ახალი შესაძლებლობები ქართული ბიზნესისთვის შუა აღმოსავლეთსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში“. KIZAD-ის ხელმძღვანელობამ გამოთქვა მზადყოფნა, გაუწიოს კონსულტაციები ქართულ კომპანიებს საკუთარი პროდუქციის არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ექსპორტთან დაკავშირებულ საკითხებსა და შესაძლებლობებზე.

2022 წლის მაისში, პალატის წევრმა ქართულმა თაფლის მწარმოებელმა ორმა კომპანიამ („რუხის დედოფალი“ და კოოპერატივი „კოდი“) მონაწილეობა მიიღო ლონდონის თაფლის კონკურსში „London International Honey Awards 2022”, სადაც წარდგენილი იყო თაფლის სხვადასხვა სახეობა მსოფლიოს მასშტაბით. მონაწილე ქართული კომპანიები პროდუქციის ხარისხის შეფასების კატეგორიაში ჯილდოს მფლობელები გახდნენ.

2022 წლის 7 ივნისს, საქართველოსა და ესტონეთის სავაჭრო-პალატების ორგანიზებით საქართველო-ესტონეთის ქალ მეწარმეთა ბიზნეს ფორუმი გაიმართა, სადაც მონაწილეობა 100-ზე მეტმა ქალმა მეწარმემ მიიღო. ფორუმის მიზანს წარმოადგენდა დამწყები და წარმატებული ქალი მეწარმეებისთვის ინფორმაციის მიწოდება და გამოცდილების გაზიარება ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2022 წლის 9 სექტემბერს საქართველოს პალატის მხარდაჭერით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საერთაშორისო პარტნიორებოს ურთიერთანამშრომლობით ფორუმი „დიაგონალური კუმულაცია საქართველოს, თურქეთსა და ევროკავშირს შორის - სავაჭრო და საინვესტიციო შესაძლებლობები“ გაიმართა, რომლის დროსაც გაეცნენ კვლევის „ინვესტიციებისა და ექსპორტის ხელშეწყობა საქართველოს, ევროკავშირსა და თურქეთს შორის დიაგონალური კუმულაციის გზით“ შედეგებს. ფორუმის ფარგლებში გაიმართა B2B შეხვედრები საქართველოსა და თურქეთის კომპანიებს შორის.

2022 წლის 2 ოქტომბერს, პალატის თანაორგანიზებითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით, მეწარმე ქალების პროდუქციის მასშტაბური გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. გამოფენის მნიშვნელოვანი ნაწილი მეწარმე ქალებისთვის სამოტივაციო და საგანმანათლებლო სესიების, გამოსვლებისა და პრაქტიკული მასტერკლასების ჩატარებასაც ითვალისწინებდა.

ამოცანა 4.2. DCFTA-ის შესაძლებლობების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.1: ევროკავშირის ბაზარზე აქცენტირებული ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც თვლის რომ DCFTA-ს შესახებ მიღებულ ცოდნას გამოიყენებს ყოველდღიურ მუშაობაში.

2022 წელს, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ გამოიკითხა ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსის ფარგლებში 2021-2022 წლებში დატრენინგებული მენეჯერები, რომლის ფარგლებშიც გამოკითხულთა 69%-მა განაცხადა, რომ მოდულის -

„საქონლით ვაჭრობა DCFTA-ის ფარგლებში“ - შედეგად მიღებულ ცოდნას იყენებენ ყოველდღიურ სამუშაო საქმიანობაში.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.2: DCFTA.GOV.GE ვებგვერდის ვიზიტორთა რაოდენობა.

2022 წლის მონაცემებით, dcfta.gov.ge ვებ-გვერდს ეწვია 9300 ახალი ვიზიტორი. საქართველოს გარდა, ვებ-გვერდს სტუმრობენ აშშ-დან, ჩინეთიდან, რუსეთიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, გაერთიანებული სამეფოდან, თურქეთიდან და სხვ. სულ უცხო ქვეყნებიდან ვიზიტორთა წილმა 20% შეადგენა.

- ✓ **აქტივობა 4.2.1: შეხვედრების და ტრენინგების მოწყობა DCFTA-თან დაკავშირებულ საკითხებზე.**

2022 წელს, სურსათის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, სურსათის ბიზნესოპერატორებთან გაიმართა 17 შეხვედრა/ტრენინგი, რომელსაც ძირითადად ესწრებოდნენ ექსპორტიორი მეწარმეები. შეხვედრების მიზანი იყოს ექსპორტის ხელშეწყობა და ევროკავშირში სურსათის იმპორტისათვის საჭირო მოთხოვნების გაცნობა ბიზნესოპერატორებისათვის.

საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები გაიმართა მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- „ტექნიკური რეგლამენტის – „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ“ (მთავრობის დადგ. N605, 29.12.2017) საკითხების განხილვის მიზნით. აღნიშნულ შეხვედრას ბიზნესსექტორიდან ესწრებოდა 12 წარმომადგენელი (07.03.2022წ.);
- მსხვილი სავაჭრო ქსელების წარმომადგენლებთან და ბიზნეს ასოციაციებთან, რომელზეც განხილულ იქნა „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების“ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების აღსრულებასთან (ეტიკეტირებასთან) დაკავშირებული ქვეყანაში არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები (05.05.2022წ.);
- ბაკურიანში მდებარე სასტუმროებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების წარმომადგენლებთან (ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ჩართულობით), რომლის ფარგლებშიც ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს მიეწოდათ სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაცვის საკითხებზე დეტალური ინფორმაცია, მ.შ. HACCP-ის სტანდარტის, ობიექტის ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხების, ზოგადი ჰიგიენის წესის და კანონმდებლობით

გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების შესახებ. სულ ჩატარდა 4 შეხვედრა/ტრენინგი (15-16 აგვისტო, 2022წ.);

- ფერმერებთან, რომლის ფარგლებშიც ლატვიელმა სპეციალისტებმა მერძეული მიმართულების პირველადი წარმოების ბიოუსაფრთხოებისა და მოწყობის საკითხებზე ქართველ ფერმერებს გაუზიარეს გამოცდილება (21.10.2022წ.);
- ტრენინგები 100 ბიზნესოპერატორთან (ხორცის რეალიზატორები, ნახევარფაბრიკატების მწარმოებლები, სასაკლაოს ვეტერინარები) კახეთის რეგიონში და 45 ბიზნესოპერატორთან სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის, ხორცისა და ხორცპროდუქტების ეტიკეტირებისა და ევროკავშირში იმპორტისათვის საჭირო მოთხოვნების შესახებ (24-26 ოქტომბერი, 2022წ. და19.12.2022წ.);
- 23 ბიზნესოპერატორთან (საცალო ვაჭრობისა და სადისტრიბუციო კომპანიებთან, რომლის ფარგლებშიც საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) დანერგვასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს (13.12.2022წ.);
- 23 ბიზნესოპერატორთან (უალკოჰოლო და სუსტალკოჰოლური სასმელების და საკონსერვო წარმოება), რომლის ფარგლებშიც განხილული იქნა 2023 წელს ასამოქმედებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნები (22 დეკემბერი, 2022წ.);
- 47 ბიზნესოპერატორთან (წისქვილკომბინატები; პურ-ფუნთუშეულის და საკონდიტრო წარმოება). განხილული იქნა 2023 წელს ასამოქმედებლი ნორმატიული აქტების მოთხოვნები (22.12.2022);
- სურსათის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სოფლის მეურნეობის პროგრამის მხარდაჭერით, გაიმართა კონფერენცია, რომელზეც კაკლოვანი კულტურების ხარისხისა და ექსპორტის საკითხებზე იმსჯელეს. კონფერენციაში ექსპორტიორები, საქართველოში მოქმედი კაკლოვანი კულტურების ასოციაციებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ (20.05.2022წ.).

✓ **აქტივობა 4.2.2: ექსპორტის მენეჯერთა გადამზადების კურსი.**

2022 წელს, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ განხორციელდა ექსპორტის მენეჯერთა გადამზადების 3 ტრენინგ კურსი - თბილისში, თელავსა და ბათუმში. აღნიშნულის ფარგლებში დატრენინგდა 80 მენეჯერი.

- ✓ **აქტივობა 4.2.3: DCFTA-ს შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით თემატური შეხვედრები ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.**

გაიმართა ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების (Twinning) პროექტის „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობების გაძლიერება საერთაშორისო/ ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად" ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბიზნეს სექტორის, ლაბორატორიების, ასოციაციების, ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუციებისა და მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლებმა. Twinning პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს აქტივობები პრიორიტეტულ სფეროებში სხვადასხვა დაინტერესებული პირის სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტების საქმიანობაში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით (13.04.2022).

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში Twinning პროექტის ფარგლებში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები თემაზე „ეროვნული სარკისებრივი კომიტეტის (NMC) შექმნა და ხელმძღვანელობა", რომელიც მიზნად ისახავდა სტანდარტიზაციის ევროპულ კომიტეტებში (CEN/TC 250; CEN/TC 275) სასურსათო უსაფრთხოებისა და მშენებლობის სფეროში მომუშავე ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობის ხელშეწყობას (19-20 სექტემბერი, 2022) .

გაიმართა შეხვედრა Twinning პროექტის ფარგლებში DCFTA-ის შეთანხმებით გათვალისწინებული საკანონმდებლო დაახლოების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, დაინტერესებული პირებისათვის (მწარმოებლები, იმპორტიორები, ბაზარზე ზედამხედველობის წარმომადგენლები) სათამაშოების უსაფრთხოების ევროპული დირექტივის 2009/48/EC ჰარმონიზებულ სტანდარტებზე (EN 71-1, EN 7-2, EN 71-3) (30 მონაწილე, 22.09.2022);

ჩატარდა სემინარები თემაზე „ევროპული სტანდარტები სამშენებლო პროდუქტებზე – ცემენტი, არმატურა, თაბაშირ-მუყაო". სემინარებში ევროპელ ექსპერტთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტისა და ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს წარმომადგენლებმა (30 მონაწილე, 27.10.2022);

ევროკავშირის AA Facility პროექტის დახმარებით, თბილისსა და ქუთაისში ჩატარდა 3 საინფორმაციო შეხვედრა ბიზნეს ოპერატორებთან „ძაბვის გარკვეულ ზღვრებში გამოსაყენებელი ელექტრო მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის" პროექტის თაობაზე (80-მდე მონაწილე).

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული აკრედიტაციის ცენტრის Twinning პროექტის ფარგლებში გაიმართა შუალედური კონფერენცია. კონფერენციის მიზანი იყო ქართული

საზოგადოების ინფორმირება აკრედიტაციის მნიშვნელობისა და საერთაშორისო ვაჭრობასა და ეკონომიკაზე აკრედიტაციის პროცესის გავლენის შესახებ (60 მონაწილე, 7.04.2022);

ჩატარდა ტრენინგი ISO/TS 22003 სტანდარტის შესახებ გერმანიის აკრედიტაციის ორგანოს ექსპერტის მიერ. ღონისძიებას სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად ესწრებოდნენ საქართველოს ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლები (30 მონაწილე, 15-16 ივნისი, 2022);

Twinning პროექტის ფარგლებში მოწვეული იტალიელი ექსპერტის მიერ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს ბაზრის ზედამხედველობის, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოების და შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების წარმომადგენლებთან. შეხვედრა ეხებოდა წნევის ქვეშ მომუშავე ჭურჭელის დირექტივას (20 მონაწილე, 22.09.2022);

მოწვეული ექსპერტი მიერ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს ბაზრის ზედამხედველობის და შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების წარმომადგენლებთან. შეხვედრას მოწვეულ სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ აკრედიტაციის ცენტრის შემფასებლები. შეხვედრის მიზანი იყო სათამაშოების დირექტივის და QI სისტემის მიმოხილვა (12-13 ივლისი, 2022);

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსა და ლატვიის სტანდარტიზაციის ეროვნულ ორგანოს (LVS) შორის არსებული პროექტის „Building the capacity of National Standardization Institutions of Georgia and Moldova to establish support tools for SMEs on conformity assessment in the EU single market" ფარგლებში გაიმართა საჯარო სემინარი თემაზე „მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ინსტრუმენტები ევროკავშირის ბაზარზე შესვლასველად". სემინარს ესწრებდოდნენ საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები (10.11.2022).

- ✓ **აქტივობა 4.2.4: DCFTA-ს შესახებ ვებ-გვერდის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საიტზე განთავსებული ინფორმაციის მუდმივი განახლება.**

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის პროექტის მეორე ფაზის მხარდაჭერით, განხორციელდა ვებ-გვერდის განახლება. შედეგად, მუდმივად ხორციელდება საიტზე განთავსებული ინფორმაციის განახლება.[32]

[32] იხ ბმული: https://dcfta.gov.ge/ge/news

ამოცანა 4.3. ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის, მათ შორის შესაბამისი ინსტიტუტების (აკრედიტაცია, მეტროლოგია, სტანდარტიზაცია და ა.შ.) განვითარება საერთაშორისო და/ან ევროპულ პრაქტიკასთან შემდგომი დაახლოების მიზნით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.1: საერთაშორისო და ევროკავშირის ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების მიერ აღიარებული აკრედიტაციის სფეროები.

აკრედიტაციის აღიარების შენარჩუნების მიზნით, EA ახორციელებს წევრი აკრედიტაციის ეროვნული ორგანოების შეფასებას 4 წელიწადში ერთხელ. წინასწარ ანგარიშში მითითებულია, რომ ცენტრის საქმიანობა დადებითად შეფასდა საქმიანობის ყველა სფეროში. საბოლოო ანგარიში გამოქვეყნდება 2023 წლის გაზაფხულზე.

შედეგად, 2022 წლის ბოლოსთვის, საქართველოს აქვს მრავალმხრივი აღიარების ხელმოწერა ILAC – 2, IAF – 2 და EA – 6 სფეროში.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.2: დაინტერესებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობა.

2022 წლისთვის საქართველოს სტანდარტად მიღებულმა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობამ 27,628 შეადგინა.

2022 წლის განმავლობაში, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ დარეგისტრირდა 5965 სტანდარტი, მათ შორის:

- სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) – 4663;
- სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) – 1281;
- სსტ ენ (ქართულენოვანი ვერსია) – 6;
- სსტ ისო (ქართულენოვანი ვერსია) – 12;
- სსტ იეკ (საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია) – 2;
- სსტ (ეროვნული) – 1.

შეიქმნა სტანდარტიზაციის ახალი ტექნიკური კომიტეტი „ტერმინოლოგია“ (ტკ 9).

ამასთან, 2022 წლის 12 თვის განმავლობაში საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ, სულ გაცემულია 453 სტანდარტი, მათ შორის:

- სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 184;
- გოსტ (სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი) - 17;
- სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 137;

- სსტ ისო (ქართულენოვანი) - 98;
- სსტ ენ (ქართულენოვანი) - 2;
- ასტმ/ASTM სტანდარტები - 13;
- სსტ იეკ (ელექტროტექნიკური კომიტეტის სტანდარტი) - 1;
- სსტ (ეროვნული) - 1.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.3: მეტროლოგიის სფეროში დაინტერესებული პირებისათვის გაწეული სერვისების გაზრდილი დიაპაზონი ან/და სფერო, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე აღიარებული სერვისები.

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსთვის შეძენილ და მოწოდებულ იქნა ფიზ-ქიმიური გაზომვების ლაბორატორიისათვის, წნევის ლაბორატორიისათვის, ელექტრობის ეტალონური განყოფილებისათვის, მასის ეტალონური განყოფილებისათვის სხვადასხვა სახის დანადგარები. ამასთან, სააგენტოს მიერ დანერგილია და აქტიურად ხორციელდება სტანდარტების ელექტრონული პლატფორმის გაუმჯობესება და შემდგომი პოპულარიზაცია. შედეგად, დაინტერესებული პირებისათვის მიწოდებულია გაზრდილი და გაუმჯობესებული დიაპაზონების სერვისები.

- ✓ **აქტივობა 4.3.2: ლაბორატორიების საერთაშორისო კომიტეტთან (ILAC) და აკრედიტაციის საერთაშორისო ფორუმთან (IAF) მრავალმხრივი/ორმხრივი შეთანხმების ხელმოწერა ურთიერთაღიარების შესახებ.**

2022 წელს, სსიპ საქართველოს ეროვნული აკრედიტაციის ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი გახდა ILAC-ის და IAF-ის სრულუფლებიანი წევრი და მრავალმხრივი აღიარების ხელმომწერი. აკრედიტაციის ცენტრი ILAC-ის მრავალმხრივი აღიარების ხელმომწერი გახდა საქმიანობის შემდეგ სფეროებში: ტესტირება, კალიბრაცია, სამედიცინო ტესტირება და ინსპექტირება, ხოლო IAF-ის მრავალმხრივი აღიარების ხელმომწერი - პროდუქტებისა და პროცესების სერტიფიკაციის სფეროებში. EA-ს შემფასებელთა ჯგუფმა „თანასწორობის შეფასების ფარგლებში" შეაფასა აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობა უკვე აღიარებულ 6 სფეროში და აღიარების გაფართოების მიზნით პროფესიული ტესტირების მომწოდებელი ორგანიზაციების სფეროში.

- ✓ **აქტივობა 4.3.3: სსიპ აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოსა და ევროპული აკრედიტაციის ორგანიზაციას (EA) შორის გაფორმებული ორმხრივი აღიარების შეთანხმებით განსაზღვრული სფეროების რაოდენობის შენარჩუნება ან გაზრდა.**

ევროპული აკრედიტაციის ორგანიზაცია EA წარმოადგენს ევროკომიისიის მიერ ოფიციალურად განსაზღვრულ ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავს

აკრედიტაციასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას. საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის მიერ EA-ს აღიარების მოპოვება და შენარჩუნება უზრუნველყოფს საქართველოში მიღებული აკრედიტაციის აღიარებას ევროპაში და საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობის თანასწორობას ევროპული ქვეყნების აკრედიტაციის ეროვნული ორგანოების საქმიანობასთან. IAF აკრედიტაციის საერთაშორისო ფორუმი საქმიანობას ახორციელებს სერტიფიკაციის სფეროში, ხოლო ILAC საერთაშორისო ლაბორატორიის აკრედიტაციის თანამშრომლობა საქმიანობას წარმართავს ტესტირების, კალიბრაციის, სამედიცინო ტესტირების, ინსპექტირების და პროფესიული ტესტირების მომწოდებელი ორგანიზაციების სფეროებში. აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციების სრული წევრობა უზრუნველყოფს საქართველოში აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიერ გაცემული შედეგების აღიარებას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით, ზრდის საქართველოში აკრედიტებული ორგანიზაციების მიერ სერტიფიცირებული და გამოცდილი პროდუქტების კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზრებზე.

- ✓ **აქტივობა 4.3.4: მეტროლოგიის სფეროში ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლების პროცესის გაგრძელება ახალი (მათ შორის ფიზ-ქიმიური გაზომვების მიმართულებით) ან/და გაუმჯობესებული სერვისების მიწოდების მიზნით.**

2022 წლის მდგომარეობით შეძენილ და მოწოდებულ იქნა ფიზ-ქიმიური გაზომვების განყოფილებისათვის - 2 ცალი ელექტროდი pH-მეტრისათვის METTLER TOLEDO, ფიზ-ქიმიური გაზომვების განყოფილებისათვის, ასევე, შეძენილ იქნა სტანდარტული ნიმუშები კონდუქტომეტრიის, pH-მეტრიის და სიმკრივის გაზომვებისათვის. წნევის ლაბორატორიისათვის შეძენილი იქნა სანიმუშო ბარომეტრი MSB780X და საკონტროლო ბარომეტრი M-67. ამავე ლაბორატორიისათვის ხელსაწყოების დასაკალიბრებლად შეძენილი იქნა 2 ერთეული წნევის სენსორი, დიაპაზონით - 35 ბარი და 1000 ბარი, ელექტრობის ეტალონური განყოფილებისათვის 6½ ციფრიანი ორ გაზომვიანი მულტიმეტრი. მასის ეტალონური განყოფილებისათვის მოწოდებული იქნა ეტალონური საწონების ნაწილი (F1 სიზუსტის კლასის, 5კგ - 2 ცალი; 10კგ - 2 ც; 20კგ - 10 ცალი).

- ✓ **აქტივობა 4.3.5: GEOSTM-ის მეტროლოგიის ინსტიტუტის შესაბამისი პერსონალის ტრენინგი (მათ შორის, ონ-ლაინ) ახალი მიმართულების სერვისების დაფარვის მიზნით.**

ევროპული დახმარების ტვინინგ პროექტის ფარგლებში განხორციელდა ევროპელი ექსპერტების ვიზიტები, ასევე, ონ-ლაინ კონსულტაციები შემდეგ სფეროებში: აკუსტიკური გაზომვები, წნევის გაზომვები, ფიზ-ქიმია, ხარისხის მენეჯმენტის

სისტემები საერთაშორისო სტანდარტების - ISO/IEC 17025 და ISO 17034 შესაბამისად. ასევე, საკანონმდებლო დაახლოების კომპონენტის (კომპონენტი 1) ფარგლებში, ევროპელი ექსპერტის მიერ გაწეული იქნა კონსულტაცია EU დირექტივების MID და NAWI დანერგვის საკითხებზე.

ამოცანა 4.4. ინვესტიციების და SME-ების კავშირების გაძლიერება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.4.1. პოტენციური ადგილობრივი მეწარმეების/ მომწოდებლების მონაცემთა ბაზა, რომლებიც შეთავაზებულ იქნებიან საქართველოში არსებულ უცხოელ ინვესტორებს.

2022 წელს, სააგენტოს „აწარმოე საქართველოს" მიერ შედგა პოტენციური პროექტების სია (70 პროექტი), რომელთა შეთავაზება მოხდება საქართველოში მოქმედი უცხოელი ინვესტორებისთვის.

- ✓ **აქტივობა 4.4.1: დაკავშირება ბიზნეს ასოციაციებთან ბაზაში შესატანი პოტენციალის მქონე კომპანიების გამოსავლენად.**

2022 წელს, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ პოტენციური პროექტების სია, სრულყოფის მიზნით, ინვესტორთა საბჭოს მეშვეობით დაეგზავნა ყველა ბიზნეს ასოციაციას, ასევე, საბჭოს მეშვეობით გაიგზავნა მოთხოვნა იმ კომპანიების გამოსავლენად, რომლებიც პოტენციურად შეიძლება ინვესტორი კომპანიების მიმწოდებლები გახდნენ.

პრიორიტეტი 5. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა

ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი წამყვანი პრიორიტეტია.

ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობის **მიზანს წარმოადგენს** მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლება ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობის გზით. აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესრულება და დასახული მიზნის მიღწევის **გავლენის მაჩვენებელია** - OECD „SME Policy Index" კვლევაში „SME Innovation Policy" ინდიკატორში საქართველოს შეფასების შენარჩუნება/გაუმჯობესება. OECD-ის არნიშნული კვლევის კომპონენტში - „ინოვაციური პოლიტიკა", საქართველოს შეფასება 3.27 ქულას შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა" მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიაში ცალკე პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა, რომლის ფარგლებშიც მთელი რიგი მიზნობრივი აქტივობები განხორციელდა.

მეხუთე პრიორიტეტული მიმართულება - ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა - აერთიანებს 6 ამოცანას და 8 აქტივობას.

ამოცანა 5.1. ინოვაციური დაფინანსების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.1: ინოვაციური დაფინანსების სახელმწიფო პროდუქტების ბენეფიციარების რაოდენობა.

„საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" თანადაფინასნების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 40 სტარტაპი, ხოლო მცირე გრანტების ფარგლებში დაფინანსდა 27 ბენეფიციარი. შედეგად, სტატაპებს გააჩნიათ ინოვაციურ ფინანსებზე წვდომის შესაძლებლობა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.2: იმ მცირე და საშუალო მეწარმეების რაოდენობა, რომლებმაც შეიმუშავეს ინოვაციური პროდუქტი (პროტოტიპის დონეზე) ან მომსახურება, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ბენეფიციართა შორის.

„საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ თანადაფინანსების გრანტების და ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების პროგრამების ბენეფიციარებმა შეიმუშავეს 91 ახალი პროდუქტი/გაუმჯობესებული მომსახურება.

- ✓ **აქტივობა 5.1.1: 100,000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის და 650,000 ლარიანი ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის (GENIE) პროექტის განხორციელება.**

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ხორციელდება პროექტი თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის, რომელიც ითვალისწინებს 10% თანამონაწილეობით სტარტაპებისთვის 150,000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტების გაცემას.

პროგრამის ფარგლებში 2022 წელს გამოვლინდა 40 გამარჯვებული სტარტაპი. ჯამურად კი 2018-2022 წლებში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 175 პროექტი.

- ✓ **აქტივობა 5.1.2: მცირე გრანტების (15,000 ლარამდე) პროგრამის განხორციელება.**

„საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ ახორციელებს მცირე გრანტების (15,000 ლარამდე) პროგრამას, რომელიც წარმოადგენს თემატური დაფინანსების მექანიზმს. პროგრამის მიზანია სტარტაპების შექმნის და განვითარების ხელშეწყობა. მცირე გრანტები გაიცემა ძირითადად პროტოტიპირებისთვის, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარებს საშუალება აქვთ იდეა გადააქციონ ბიზნეს მოდელად და ასევე, დაიხმარონ ფაბრიკალური ლაბორატორიები. 2022 წელს, მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 27 პროექტი.

ჯამურად 2021-2022 წლებში მცირე გრანტების პროგრამით დაფინანსება მოიპოვა 58-მა პროექტმა.

ამოცანა 5.2. ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.2.1: დატრენინგებული ბენეფიციარების რაოდენობა.

სავაჭრო-სამრეწველო პალატა ელექტრონული კომერციის მასშტაბურ, უფასო ტრენინგების ციკლს ახორციელებს მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის როგორც ფიზიკურ, ისე ონლაინ ფორმატში. აღნიშნულ ტრენინგებში მონაწილეობა 700-მა დაინტერესებულმა მეწარმემ მიიღო. ტრენინგების საშუალებით მეწარმეებს მიეცათ შესაძლებლობა მიეღოთ საბაზისო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ელექტრონული კომერციის საკითხებზე, მათ შორის, რა არის ელექტრონული კომერცია და მისი უპირატესობები, ციფრული მარკეტინგი - ციფრული მედია და კომუნიკაცია, სოციალური ქსელები და მათი მნიშვნელობა გაყიდვებში და სხვა.

ამოცანა 5.3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.3.1: საკანონმდებლო და ტექნიკური ჩარჩო ფართოზოლოვანი ქსელების განვითარებისთვის.

შემუშავებულია უნივერსალური მომსახურების თაობაზე ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის (დირექტივა 2018/1972) შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების პროექტი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.3.2: მეწარმეთა რაოდენობა, რომელთაც გაიარეს ტრენინგი ციფრულ უნარებში.

„საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ „3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამა“ ითვალისწინებს IT სპეციალისტების გადამზადებას და სერტიფიცირებას. პროგრამის ფარგლებში ჯამში გადამზადდა 3098 სპეციალისტი.

2022 წლის განმავლობაში, გარდა „3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამისა“, „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ რეგიონალურ ტექნოპარკებში ჩატარდა ტრენინგები ციფრულ უნარებში, რომლებსაც 2000-ზე მეტი ბენეფიციარი დაესწრო. ბენეფიციარებს შორის, ასევე, იყვნენ ახალგაზრდები და დამწყები მეწარმეებიც.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.3.3: ციფრული უნარების ტრენინგების მიმღებ მეწარმეთა რაოდენობაში იმ მეწარმეთა %-ული წილი, რომლებმაც მიიღეს საერთაშორისო სერთიფიკატი, რაც სამუშაოს მიღების წინაპირობას წარმოადგენს.

2022 წელს, „3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამის“ ფარგლებში, გადამზადდა 3098 სპეციალისტი, მათგან 32.1%-მა, ჯამში 993 სპეციალისტმა მოიპოვა საერთაშორისო სერთიფიკატი.

- ✓ **აქტივობა 5.3.1: საკანონმდებლო და ტექნიკური ჩარჩოს მომზადება ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების ხარჯების შესამცირებლად.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან ერთად, კომპანია „ერნსტ ენდ იანგის“ ექსპერტების დახმარებით, შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილების პროექტი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. უნივერსალური მომსახურების დანერგვის მიზანია უზრუნველყოს მოსახლეობისათვის სატელეკომუნიკაცო მომსახურებების ეკონომიკური და ფიზიკური ხელმისაწვდომობა.

- ✓ **აქტივობა 5.3.2: ICT ტრენინგების ჩატარება.**

„საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ „3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამის“ ფარგლებში, საქართველოს ყველა მოქალაქეს საშუალება ეძლევა დარეგისტრირდეს მისთვის სასურველ კურსზე შემდეგი მიმართულებებით: პროგრამირება, პროექტ მენეჯმენტი, Game/Mobile development, ხელოვნური ინტელექტი, დიზაინი, კიბერუსაფრთხოება, ბლოკჩეინი, ქსელები, ვირტუალიზაცია და სხვა. 2022 წელს, პროგრამის ფარგლებში, ჯამში გადამზადდა 3098 სპეციალისტი.

აღნიშნული პროგრამის გარდა, 2022 წლის განმავლობაში, რეგიონალურ ტექნოპარკებში, ასევე ჩატარდა ICT მიმართლებით ტრენინგები, რომლებსაც 2000-ზე მეტი ბენეფიციარი დაესწრო.

- ✓ **აქტივობა 5.3.3: ტრენინგების ჩატარება ფრონტ-ენდ დეველოპმენტში, სოციალურ მედია მენეჯმენტსა და ქოფირაითინგში და გრაფიკულ დიზაინში.**

„საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ რეგიონალურ ცენტრებსა და ტექნოპარკებში, ასევე, ტარდება სხვადასხვა ტრენინგები დამწყები სპეციალისტებისთვის ფრონტ-ენდ დეველოპმენტში, სოციალურ მედია მენეჯმენტსა და

ქოფირაითინგში და გრაფიკულ დიზაინში. 2022 წელს აღნიშნული ტრენინგები გაიარა 700-ზე მეტმა ბენეფიციარმა.

ამოცანა 5.4. ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.4.1: ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ინტერნეტ ქსელებით დაფარული დასახლებული პუნქტების რაოდენობა.

დაწყებულია პროექტი „Log-in Georgia“, რომლის ფარგლებში, ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამა აქტიურ ფაზაშია და წარმატებით ხორციელდება.

საანგარიშო წელს, ინტერნეტ ქსელებით დაფარული დასახლებული პუნქტები 37 ერთეულით გაიზარდა და ჯამში, 2021-2022 წლებში ინტერნეტით დაფარული იქნა 86 დასახლებული პუნქტი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.4.2: ინტერნეტ ქსელებით დაფარული მაღალმთიან რეგიონების დასახლებული პუნქტების (<200 მოსახლეობით) რაოდენობა (სათემო ინტერნეტიზაცია).

ქვეყნის მაღალმთიან რეგიონების ინტერნეტით უზრუნველყოფის მიზნით, სადაც მოსახლეობის რაოდენობა ნაკლებია 200-ის და არ შედის „საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამით“ განსაზღვრულ სამიზნე გეოგრაფიულ არეალებში, გრძელდებოდა სათემო ინტერნეტიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებები. კერძოდ, ფშავ-ხევსურეთის დასახლებულ პუნქტებში მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე გაზრდილი მოთხოვნის გათვალისწინებით, მიმდინარეობდა სათემო ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები. აშენდა 45 კმ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურა, ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელის მშენებლობის დასრულება იგეგმება 2023 წელს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.4.3: ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოფლად აშენებული ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელების სიგრძე (კმ).

პროექტის ფარგლებში, საანგარიშო წელს, ქვეყნის მასშტაბით აშენდა 140 კმ. სიგრძის ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელი. ჯამში, 2021-2022 წლებში სულ აშენებულია 300 კმ. სიგრძის ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელი.

ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხის მიმართულება სრულად დასრულდა, ხოლო ტყიბული-ამბროლაური-ონი, სამტრედია-ჩოხატაური და ქობულეთი-ხელვაჩაური - მშენებლობის პროცესშია.

- ✓ **აქტივობა 5.4.1: საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, სამიზნე გეოგრაფიულ არეალებში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა.**

„საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიის“ და პროექტ „Log-in Georgia“-ს ფარგლებში მიმდინარე ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამა აქტიურ ფაზაშია და წარმატებით ხორციელდება. პროგრამის ფარგლებში იქმნება ღია დაშვების ქსელი სამიზნე გეოგრაფიულ არეალში ე.წ. „თეთრ ზონებში“, რომლებიც შედგება ისეთი დასახლებული პუნქტებისგან, სადაც:

- არ არის ოპერატორების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურა, რომელიც უწყვეტად დაკავშირებულია ოპერატორების ოპტიკურ მაგისტრალებთან;
- მოსახლეობის რაოდენობა მეტია ან ტოლია 200-ის;
- კერძო კომპანიების მიერ არ იგეგმება ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა მომდევნო 3 წლის განმავლობაში.

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის მიმართულებაზე დასრულდა სამუშაოები წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხის დასახლებულ პუნქტებში, აშენებული ინფრასტრუქტურა მოიცავს 140 კმ-იან ოპტიკურ-ბოჭკოვან მაგისტრალსა და სერვისის მიწოდების 29 წერტილს. აღნიშნული მაგისტრალი სრულად ფარავს როგორც ლენტეხისა და ცაგერის ყველა, ასევე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 4 დასახლებულ პუნქტს.[33]

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ტყიბული-ამბროლაური-ონის მიმართულებაზე. სამშენებლო არეალში ოპტიკური კაბელის საორიენტაციო სიგრძე 150 კმ-ია. პროექტის დასრულების შემდგომ, ორივე მუნიციპალიტეტის 20 დასახლებული პუნქტი სრულად იქნება დაფარული ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალით და 11,000 მოსახლეს ექნება წვდომა ინტერნეტზე.[34]

[33] წყარო: Open Net / ოუფენ ნეტი. იხ. ბმული: https://www.facebook.com/opennet.ge/
[34] წყარო: OPEN NET / ოუფენ ნეტი. იხ. ბმული: https://www.facebook.com/opennet.ge/

- ✓ **აქტივობა 5.4.3: მაღალმთიან რეგიონში სათემო ინტერნეტიზაციის პროექტის განხორციელება.**

იმ რეგიონების ინტერნეტიზაცია, სადაც მოსახლეობა 200-ზე ნაკლებია (რომელსაც არ ფარავს სახელმწიფო ინტერნეტიზაციის პროგრამა) ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ, ამ რეგიონების ინტერნეტით უზრუნველყოფის მიზნით, ბოლო წლებში, საქართველოს მთავრობის მხრიდან სათემო ინტერნეტიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებები განხორციელდა. კერძოდ, სათემო ინტერნეტიზაციის პროექტი ხორციელდება თუშეთის, ფშავ-ხევსურეთის, გუდამაყრის ხეობებში, ამასთან პროექტირების ეტაპი დაიწყო აჭარის მაღალმთიან სოფლებში.

ამოცანა 5.5 მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.5.1: მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების გადაწყვეტილი პრობლემები.

მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო კომპანიებთან აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს თანამშრომლობა, მათთვის აქტუალური საკითხების/ გამოწვევების იდენტიფიცირების, განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით.

- ✓ **აქტივობა 5.5.1: მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორებთან დიალოგის გაძლიერების, მათი საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით შეხვედრების ჩატარება.**

პერმანენტულად ხორციელდება შეხვედრები მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების ასოციაციასთან, მათი პრობლემების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრაში დახმარების კუთხით. დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით მიმდინარებს მუშაობა, რომ სახელმწიფო ინტერნეტიზაციის პროგრამის ფარგლებში აშენებული ინფრასტრუქტურით განვითარდეს „ბოლო მილის“ ინფრასტრუქტურა. აღნიშნული გულისხმობს, რომ კერძო ტელეკომ ოპერატორებმა სახელმწიფო ინტერნეტიზაციის ფარგლებში აშენებული საბითუმო ქსელის საშუალებით მომსახურება მიაწოდონ მოსახლეობას, კერძოდ, ააშენონ საცალო მომსახურების ქსელი. შედეგად, მცირე და საშუალო ოპერატორებისთვის აჩენს შესაძლებლობას სოფლად მცხოვრებ აბონენტებს მიაწოდონ სატელეკომუნიკაციო მომსახურებები. საანგარიშო პერიოდში, სულ ჩატარდა 5 შეხვედრა.

ამოცანა 5.6. კვლევასა და ინდუსტრიას შორის კავშირების გაღრმავება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.6.1: ტექნოლოგიური გადაცემების პროექტების რაოდენობა, რომელიც კომერციალიზაციის ეტაპზე გადავიდა.

2022 წელს, 1 პროექტი კომერციალიზაციის ეტაპზე გადავიდა. კერძოდ, 2022 წლის 22 ივნისს საფრანგეთში, ქ. მეციში საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და მასალების, მეტალურგიისა და პროცესების ტექნოლოგიურ კვლევით ინსტიტუტს (The Technological Research Institute for Materials, Metallurgy and Processes (IRT M2P)) შორის ხელი მოეწერა „ერთობლივი კვლევისა და ლიცენზირების ხელშეკრულებას“ სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო პროექტზე (Ti-B-N-C სისტემის ფუძეზე მრავალფუნქციური კერამიკული მასალებისა და მათგან საჯავშნე ელემენტების მიღების ტექნოლოგია). აღნიშნული ხელშეკრულება მნიშვნელოვანი მიღწევაა ქართული სამეცნიერო სექტორისთვის და ქართული ტექნოლოგიის ლიცენზირების პირველი პრეცედენტია. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების ფარგლებში ქართული და ფრანგული კვლევითი ინსტიტუტები ერთობლივად იმუშავებენ, რათა განავითარონ და აამაღლონ ქართული ტექნოლოგიის ტექნოლოგიური მზაობა, რისი დაფინანსებაც სრულიად ფრანგული მხარისგან მოხდება. ამასთან ერთად, ფრანგული კვლევითი ინსტიტუტი უზრუნველყოფს ზემოხსენებული ქართული ტექნოლოგიის დანერგვასა და ქველიცენზიით გადაცემას ფრანგული ინდუსტრიული კომპანიებისთვის.

„ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამის (TTPP)“ ფარგლებში დეტალური შესწავლის შედეგად შეირჩა კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე 9 პროექტი, თითოეულ პროექტზე ინდივიდუალურად განისაზღვრა ტექნოლოგიური, ბიზნესისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიმართულებით არსებული საჭიროებები და ამის პარალელურად, აქტიურად დაიწყო პოტენციური ინდუსტრიული პარტნიორების მოძიების პროცესი.

გარდა ამისა, პროგრამის მიმდინარეობის განმავლობაში განხორციელდა შესაბამისი სამიზნე ქვეყნების ბაზრის კვლევა და შესწავლა (მაგ. ბრაზილიისა და აშშ ბაზრის კვლევა), აგრეთვე, ტექნოლოგიის სხვადასხვაგვარი სახის ტესტირებები. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ სააგენტო კვლავ აგრძელებს სამეცნიერო ტექნოლოგიების კომერციალიზაციის მხარდაჭერას და „ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამის“ დასრულების შემდგომ, უკვე „ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამის ფარგლებში“, სააგენტომ 2022 წლის ნოემბერში გამოაცხადა ახალი განაცხადების მიღება. მიღებული განაცხადების პირველადი შეფასება დასრულდა და 2023 წლის დასაწყისში გამოვლინდება შემდგომ ეტაპზე (დეტალური შესწავლის ეტაპი) გადასული სამეცნიერო პროექტების რაოდენობა. შედეგად, ქვეყანაში მცირდება დისტანცია კვლევასა და ბიზნესს შორის.

პრიორიტეტი 6. ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის **მიზანს წარმოადგენს** მცირე და საშუალო მეწარმე ქალთა ზრდა/განვითარება გლობალური კონკურენციის გათვალისწინებით. აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესრულება და დასახული მიზნის მიღწევის **გავლენის მაჩვენებელია** - მოქმედ ბიზნეს სუბიექტებში დამფუძნებელ ქალ-მეწარმეთა წილი.

საქსტატის მონაცემების თანახმად, 2022 წლის ბოლოსთვის, მოქმედი ბიზნეს სუბიექტების პროცენტული წილი, რომელშიც ფიგურირებს ქალი დამფუძნებელი, 32.9%-ს შეადგენს. ამასთან, 2022 წლის განმავლობაში ქალ-მეწარმეთა თანამონაწილეობით დაფუძნებული ბიზნეს სუბიექტების წილი მთლიანი ბიზნეს სუბიექტების 22.5%-ს შეადგენს.

აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, ქალთა სამეწარმეო პოტენციალის ზრდისა და ქალ მეწარმეთა ხელშეწყობის მიმართულებით მთელი რიგი მხარდამჭერი ღონისძიებები და მიზნობრივი პროგრამები განხორციელდა.

მეექვსე პრიორიტეტული მიმართულება - ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა - აერთიანებს 5 ამოცანას და 7 აქტივობას.

ამოცანა 6.1. „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების" (WEPS) პოპულარიზაცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.1.1: საინფორმაციო სესიების რაოდენობა.

2022 წელს, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" მიერ, UN Women-ის მხარდაჭერით და ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, საქართველოს რეგიონებსა და თბილისში ჩატარდა 20-მდე შეხვედრა, მათგან 5 შეხვედრა - მხოლოდ ქალი მეწარმეებისათვის. შეხვედრების ფარგლებში მეწარმეებს მიეწოდათ ინფორმაცია ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო მექანიზმების შესახებ. ასევე, 2022 წელს, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მხარდაჭერით, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა 7 საინფორმაციო სესია.

ამოცანის ინდიკატორი 6.1.2: ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც ადასტურებს რომ ტრენინგის შედეგად მიღებული ცოდნა დაეხმარება მათ ხელი შეუწყონ თავიანთ საქმიანობაში გენდერულ თანასწორობის საკითხებთან მიმართებით.

2022 წელს, ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით საქართველოს რეგიონებსა და თბილისში ჩატარდა 20-მდე შეხვედრა, მათგან 5 შეხვედრა - მხოლოდ ქალი მეწარმეებისათვის. შეხვედრების ფარგლებში მოხდა ინფორმაციის გაზიარება სააგენტოს პროგრამებსა და ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო მექანიზმების შესახებ.

აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში მონაწილე მეწარმეთა 70%-მა დაადასტურა, რომ მიღებული ცოდნა დაეხმარება მათ ხელი შეუწყონ თავიანთ საქმიანობაში გენდერულ თანასწორობის საკითხებთან მიმართებით.

- ✓ **აქტივობა 6.1.1: ქალთა გაძლირების პრინციპებთან დაკავშირებით საინფორმაციო სესიების ორგანიზება კომპანიების წარმომადგენლებისთვის.**

2022 წელს, ქალთა გაძლიერების პრინციპებთან (WEPs) დაკავშირებით გაიმართა 7 საინფორმაციო სესია/სამუშაო შეხვედრა:

- Target Gender Equality პროგრამის მესამე მოდული „პროგრესის გაზომვა და კომუნიკაცია“ (9 მონაწილე, 04.02.2022);
- Target Gender Equality პროგრამის ფარგლებში მულტისექტორული დიალოგი - „ქალთა ლიდერობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში: როგორ დავამსხვრიოთ ე.წ. შუშის ჭერი“ (43 მონაწილე, 24.03.2022);
- სამუშაო შეხვედრა „ბიზნესი თანასწორობისთვის“ (31 მონაწილე, 25.05.2022);
- Target Gender Equailty პროგრამის პირველი შეხვედრა (შესავალი ნაწილი), რომლის ფარგლებშიც პროგრამის მონაწილე კომპანიებს მიეწოდათ ინფორმაცია ქალთა გაძლიერების პრინციპების (WEPs) და გენდერული საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის (GAT) შესახებ (17 მონაწილე, 14.07.2022);
- Target Gender Equaity პროგრამის პირველი მოდული - ამოცანების დასახვა და ამბიციის განსაზღვრა (14 მონაწილე);
- სამუშაო სესია - გენდერული საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის შედეგები (7 მონაწილე, 29.09.2022);
- Target Gender Equality პროგრამის მეორე მოდული - სტრატეგიები წარმატებისთვის (12 მონაწილე, 22.12.2022).

- ✓ **აქტივობა 6.1.2: ყოველწლიური ღონისძიების „დარეკე ზარი გენდერული თანასწორობისთვის" (RING THE BELL FOR GENDER EQUALITY) ორგანიზება.**

დარეკე ზარი გენდერული თანასწორობისთვის (Ring the Bell for Gender Equality): Target Gender Equality პროგრამის ფარგლებში, 2022 წლის 24 მარტს, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ორგანიზებით გაიმართა მულტი-სექტორული დიალოგი თემაზე - „ქალთა ლიდერობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში: როგორ დავამსხვრიოთ ე.წ. შუშის ჭერი". შეხვედრაზე განხილულ იქნა ბიზნეს სექტორში არსებული პრაქტიკა, რომელიც ხელს უწყობს ქალთა გაძლიერებას სამუშაო ადგილზე, ბაზარსა და საზოგადოებაში. შეხვედრას 43 მონაწილე ესწრებოდა.

- ✓ **აქტივობა 6.1.3: ქალი მეწარმეებისთვის ინფორმაციის მიწოდება სააგენტოს პროგრამების შესახებ.**

2022 წელს, ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით საქართველოს რეგიონებსა და თბილისში ჩატარდა 20-მდე შეხვედრა, მათგან 5 შეხვედრა - მხოლოდ ქალი მეწარმეებისათვის. შეხვედრების ფარგლებში მოხდა ინფორმაციის გაზიარება ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო მექანიზმების შესახებ.

- ✓ **აქტივობა 6.1.4: ქალთა ინოვაციებსა და ტექნოლოგიებში ჩართულობის მიზნით ქალი მეწარმეებისთვის ინფორმაციის მიწოდება სააგენტოს პროგრამების შესახებ.**

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა 2 საინფორმაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც სააგენტოს წარმომადგენლებმა პოტენციურ ბენეფიციარებს მიაწოდეს ინფორმაცია განხორციელებული და დაგეგმილი პროგრამების/პროექტების შესახებ. შეხვედრები მიზნად ისახავდა ქალი მეწარმეების სამეწარმეო პოტენციალის და ინოვაციური შესაძლებლობების ამაღლებას და ინოვაციებსა და ტექნოლოგიურ პროექტებში ქალთა ჩართულობის ზრდას.

ამოცანა 6.2. გენდერული ნიშნით სტატისტიკის გაუმჯობესება სახელმწიფო პროგრამებში

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.2.1: სახელმწიფო პროგრამების სტატისტიკა წარმოდგენილია გენდერული ნიშნით.

გენდერული ნიშნით წარმოდგენილია სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამის, ბიზნეს უნივერსალისა და ინდუსტრიული პროგრამების სტატისტიკა.

„საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ 4 პროგრამისთვის - მცირე საგრანტო პროგრამა, თანადაფინანსების პროგრამა სტარტაპებისთვის, მცირე გრანტები საპილოტე რეგიონებისთვის და ინოვაციური მეწარმეობის საგრანტო პროგრამა საპილოტე რეგიონებში - იწარმოება გენდერული სტატისტიკა.

ამოცანა 6.3. სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობის წახალისება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.3.1: „მიკრო გრანტების” სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ქალების წილი.

2022 წელს, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ „მიკრო გრანტების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ მეწარმეთა 50% ქალია.

ამოცანა 6.4. ქალებში ციფრული უნარ-ჩვევების გაძლიერება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.4.1: ქალ-მეწარმეთა რაოდენობა ციფრულ უნარებთან დაკავშირებულ ტრენინგებში.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ჩატარდა ტრენინგები ელექტრონული კომერციის საკითხზე როგორც ონლაინ, ასევე, ფიზიკურ ფორმატში. აღნიშნულ ტრეინინგებზე ჯამში სულ 700 მეწარმე დატრენინგდა, მათ შორის დატრენინგდა 440 ქალი, რაც 62.9%-ს შეადგენს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.4.2: ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი ციფრული უნარები დაეხმარება ბიზნეს საქმიანობის გაუმჯობესებაში.

ტრენინგის მონაწილეებთან ჩატარებული უკუკავშირის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ტრენინგის მონაწილეთა 85% თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი ციფრული უნარები დაეხმარება მათ ბიზნეს საქმიანობის გაუმჯობესებაში.

ამოცანა 6.5. სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდა გენდერული მიდგომების განვითარებისთვის

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.5.1: გენდერული მიდგომების განვითარებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა.

2022 წელს, სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ მიერ, UN Women-ის მხარდაჭერით სააგენტოს თანამშრომლებისთვის ჩატარდა 2 ელექტრონული ტრენინგ კურსი - გენდერული თანასწორობის და სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროვების აღმოფხვრის შესახებ.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.5.2: ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი. რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი უნარები სასარგებლო იქნება მათ საქმიანობაში გენდერზე დაფუძნებული მიდგომის თვალსაზრისით.

2022 წლის მდგომარეობით, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ ჩატარებული გენდერული თანასწორობის შესახებ და სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროვების აღმოფხვრის შესახებ ტრენინგების სარგებლიანობასთან დაკავშირებით გამიკითხა 2021-2022 წელს დატრენინგებული 62 თანამშრომელი, რომელთაგან 50 (81%) თვლის, რომ აღნიშნული ტრენინგები სასარგებლოა მათ საქმიანობაში გენდერზე დაფუძნებული მიდგომის თვალსაზრისით. 2022 წელს გადამზადებული 12 თანამშრომლიდან 83% აცხადებს, რომ ტრენინგებზე შეძენილი უნარები სასარგებლოა.

- ✓ **აქტივობა 6.5.1: სსიპ „აწარმოე საქართველოში" თანამშრომელთა ტრენინგი გენდერულ თანასწორობაზე, გენდერული კუთხის გათვალისწინებით პროგრამების ორგანიზებასა და ანალიზის საკითხებში.**

2022 წელს, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" მიერ, UN Women-ის მხარდაჭერით სააგენტოს თანამშრომლებისთვის ჩატარდა 2 ელექტრონული ტრეინინგ კურსი - გენდერული თანასწორობის და სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროვების აღმოფხვრის შესახებ. დატრენინგდა სააგენტოს 12 თანამშრომელი. 2022 წლის მდგომარეობით, სააგენტოში დასაქმებული 78 თანამშრომლიდან, 62-ს (79%) გავლილი აქვს აღნიშნული ტრენინგ კურსები.

- ✓ **აქტივობა 6.5.2: სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" სისტემაში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის ეფექტიანი მუშაობის მიზნით თანამშრომელთა გადამზადება.**

„ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ" ქალაქ ლევენის კათოლიკურ კვლევით უნივერსიტეტთან (Katholieke Universiteit Leuven) ერთად, ევროკავშირის (Erasmus+) მიერ დაფინანსებული პროექტი ფარგლებში ჩაატარა 2 აქტივობა სააგენტოს თანამშრომლებისთვის, რომელიც მოიცავდა მდგრადი განვითარებისა და გენდერული თანასწორობის სეგრეგაციის თემებს. პროგრამის ფარგლებში დატრენინგდა სააგენტოს 10 თანამშრომელი, მათ შორის 2-მა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგი ქალაქ ლევენის კათოლიკურ კვლევით უნივერსიტეტში.

- ✓ **აქტივობა 6.5.3: საჯარო უწყებების თანამშრომელთა ტრენინგის ჩატარება გენდერული გავლენის შეფასების საკითხებში.**

2022 წლის 17-19 ოქტომბერს, სახელმწიფო უწყებების და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) თანამშრომლობით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე „გენდერული გავლენის შეფასება" (GIA).

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა უნარ-ჩვევების გაძლიერება სახელმწიფო პოლიტიკის წარმოებაში გენდერული ასპექტების ინტეგრირების მიზნით.

ტრენინგის შედეგად, ჯამში, სახელმწიფო უწყებების 30-მდე თანამშრომელი გადამზადდა.

პრიორიტეტი 7. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის **მიზანს** მცირე და საშუალო საწარმოთა მწვანე ეკონომიკაში ჩართულობის ხელშეწყობა **წარმოადგენს**. აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესრულება და დასახული მიზნის მიღწევის **გავლენის მაჩვენებელია** - OECD "SME Policy Index" კვლევაში „მწვანე ეკონომიკაში მცირე და საშუალო მეწარმეები" ინდიკატორში საქართველოს შეფასების შენარჩუნება/გაუმჯობესება.

საგულისხმოა, რომ OECD-ის კვლევაში **„**SME Policy Index 2020", „მწვანე ეკონომიკა" 3.05 ქულით 12-დან იმ 3 კომპონენტშია, სადაც, რეიტინგის მიხედვით, არსებობს გამოწვევები და შემდგომი გაუმჯობესების მნიშვნელოვანი პოტენციალი, რაც ქვეყნის მხრიდან ფოკუსირებულ მიდგომას და მხარდამჭერი პოლიტიკის განხორციელებას საჭიროებს.

მწვანე ზრდა მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, რომელიც ფართოდ არის ინტეგრირებული გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნებში და მოიცავს ბუნებრივი რესურსების ხანგრძლივ დაცვას, მდგრად მოხმარება/წარმოებას და მწვანე ზრდას. შესაბამისად, მწვანე ეკონომიკის განვითარება ქვეყნის ეროვნული დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილია.

აღსანიშნავია, ასევე, რომ მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში თანამშრომლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, რომლის თანახმად „მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას გარემოს დაცვის საკითხებზე, რითიც წვლილს შეიტანენ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში". [35]

საკითხის აქტუალობას და გლობალურ მნიშვნელობას ადასტურებს, ასევე, სტრატეგიაში „მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის" ცალკე პრიორიტეტულ მიმართულებად გამოყოფა, რომელიც ითვალისწინებს მნიშვნელოვანი ამოცანებისა და მთელი რიგი მიზნობრივი, შედეგზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას.

მეშვიდე პრიორიტეტული მიმართულება - მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - აერთიანებს 6 ამოცანას და 16 აქტივობას.

[35] ასოცირების ხელშეკრულება, კარი VI, მუხლი 301, იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

ამოცანა 7.1. მწვანე ზრდის სტრატეგიის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.1.1: მწვანე ზრდის 2022-2027 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

ქვეყანაში მწვანე ზრდის, როგორც ზრდის ახალი წყაროს, ხელშეწყობა თანდათან იმატებს. საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში, სამეწარმეო საქმიანობაში ეტაპობრივად დაიწყო გარემოსადმი მეგობრული ქმედებების დანერგვა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკაში მწვანე ზრდის მიმართულებების გაძლიერებას და გარემოსდაცვითი სტანდარტების განვითარებას. ამ ეტაპზე, ფართოდ არის დანერგილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) მექანიზმი, ასევე, მოქმედებს საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრული „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (მგვ)". აღნიშნული ნაბიჯები და შემდგომი პროგრესული რეფორმები ეტაპობრივად უზრუნველყოფს მწვანე ზრდის ხელშეწყობას და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვით ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

ამ მიმართულებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მწვანე ზრდის სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

- ✓ **აქტივობა 7.1.1: მწვანე ზრდის 2022-2027 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.**

2022 წელს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და მსოფლიო ბანკის (WB) მხარდაჭერით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაიწყო მწვანე ზრდის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი. ფორმირებულია უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი და მომზადდა სტრატეგიის ზოგადი მონახაზი.

ამოცანა 7.2. ეკო-ინოვაციის[36] მიდგომის პოპულარიზაცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.2.1: კომპანიათა რაოდენობა, რომელთანაც შედგა საინფორმაციო შეხვედრები.

მცირე და საშუალო საწარმოებში ეკო-ინოვაციური მიდგომების პოპულარიზაციის მიმართულებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ევროკავშირის მხარდაჭერა და მის მიერ

[36] **ეკო-ინოვაცია** - ბიზნეს მოდელი, რომელიც ითვალისწინებს გრძელვადიან ოპერირებაზე გათვლილ მიდგომებს კომპანიის საქმიანობისა და ღირებულებათა ჯაჭვის ყველა ეტაპზე. ახალი ბიზნეს მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს მდგრადობას პროდუქტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, ასევე, ზრდის კომპანიის მაჩვენებლებს და კონკურენტუნარიანობას. მას შეუძლია დაეხმაროს მცირე და საშუალო

დაფინანსებული პროგრამა EU4Environment, რომელიც მიზნად ისახავს დაეხმაროს აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა) ქვეყნის ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნებასა და საზოგადოების ეკოლოგიური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში გარემოსთან დაკავშირებული საქმიანობის მხარდაჭერით, „მწვანე ზრდის" შესაძლებლობების დემონსტრირებითა და შეთავაზებით, ამასთან, ისეთი მექანიზმების დანერგვით, რომლებიც ეკოლოგიური რისკებისა და გავლენების უკეთ მართვის საშუალებას იძლევა. 2022 წელს, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" მიერ, ეკო-ინოვაციური მიდგომების პოპულარიზაციის მიმართულებით, საინფორმაციო სესიების ფარგლებში, მონაწილეობა მიიღო 106-მა კომპანიამ.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.2.2: მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა, რომელშიც ეკო-ინოვაციური მიდგომა დანერგილია.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" და სიდა/გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა კომპანიების არსებული მოდელის შეფასება, ეკო-ინოვაციების პოტენციალის შეფასება, ახალი ბიზნეს მოდელის, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება. საანგარიშო პერიოდში, ეკო-ინოვაციური მიდგომები დანერგილია 8 კომპანიაში.

- ✓ **აქტივობა 7.2.2: მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ეკო-ინოვაციური მიდგომის პოპულარიზაციის მიზნით საინფორმაციო სესიების ორგანიზება კომპანიებისთვის, მთავრობის წარმომადგენლებისთვის და ბიზნეს ასოციაციებისთვის.**

2022 წელს, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ეკო-ინოვაციური მიდგომის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა საინფორმაციო სესიები შემდეგი მიმართულებებით:

- o კომპანიების მხარდაჭერა ბიზნეს გეგმის შემუშავებაში (8 კომპანია);
- o არსებული ფონდების და დაფინანსების წყაროების შესახებ (44 კომპანია).
- o ჩატარდა შეხვედრები მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესახებ (2 შეხვედრა, 30 კომპანია).
- o ჩატარდა საინფორმაციო სესიები გაეროს გლობალური შეთანხმების მონაწილე კომპანიების გასაძლიერებლად საჭირო ცოდნითა და უნარებით (6 თვიანი პროგრამა - Climate Ambition აქსელერატორი), რომელიც ესაჭიროებათ პროგრესის დასაჩქარებლად 2050 წლისთვის სათბურის აირების ნულოვანი ემისიების მიღწევის მიზნით (7 სესია, 13 კომპანია).

საწარმოებს ახალ და გაფართოებულ ბაზრებზე წვდომაში, მწარმოებლურობის ზრდაში, ახალი ინვესტიციების მოზიდვაში და ღირებულებათა ჯაჭვის მასშტაბით მომგებიანობის გაზრდაში.

- ჩატარდა შეხვედრა სათბურის აირების ემისიების გამოთვლასთან და მდგრად შემცირებასთან დაკავშირებით (11 კომპანია).

✓ **აქტივობა 7.2.3: კომპანიების მხარდაჭერა ეკო-ინოვაციების მიდგომის დანერგვის მიმართულებით პოლიტიკის დონეზე და ბიზნეს ოპერაციებში.**

2022 წელს, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ და სიდა/გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ 8 კომპანიაში (მანნა, ჯიესჯი, თელეთი, უდაბნო, ბიოშეშა, ფრინველი, სევსამორა, ღვინუკა) დაინერგა ახალი ბიზნეს მოდელები, რომლებიც ითვალისწინებს ეკო-ინოვაციურ მიდგომებს. აღნიშნულის ფარგლებში მოხდა კომპანიების მხარდაჭერა ეკო-ინოვაციების პოტენციალის შეფასების და ბიზნეს გეგმის შემუშავების თვალსაზრისით. კომპანიებს გაეწიათ კონსულტაცია და მიეწოდათ ინფორმაცია ეკო-ინოვაციების თემაზე საერთაშორისო გამოფენებისა და პროექტების შესახებ, ასევე, არსებული ფონდების და დაფინანსების წყაროების შესახებ.

ამოცანა 7.3. მწვანე დაფინანსების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.3.1: „მწვანე” ფინანსური პროდუქტების არსებობა.

მდგრადი განვითარების პროცესში მდგრადი დაფინანსების მიმართულების გაძლიერებას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. მდგრადი დაფინანსება გულისხმობს ფინანსური რესურსების მობილიზების ხელშეწყობას მწვანე, სტაბილური და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად.

ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია ცენტრალური ბანკების პოლიტიკაში გარემოსდაცვითი, სოციალური და მდგრადი განვითარების საკითხების გათვალისწინება, რომელიც პირდაპირ კავშირშია „მწვანე” ფინანსური პროდუქტების შექმნასთან.

2021 წელს აღრიცხული მწვანე სესხების მოცულობამ 470 მილიონი ლარი შეადგინა (152 მლნ. აშშ დოლარი). გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 2021 წელს, წინა წელს გაცემული მწვანე სესხების მოცულობასთან შედარებით, 73 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა. მწვანე სესხების წილი 2021 წელს გაცემულ მთლიან სესხებში 1.2%-ს შეადგენს, რაც წინა წლის მონაცემს 0.3 პროცენტული პუნქტით აღემატება.

რაც შეეხება 2021 წლის ბოლოსთვის არსებული მწვანე სესხების მთლიან მოცულობას, 1.4 მილიარდი ლარი (449 მლნ. აშშ დოლარი) შეადგენდა. 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, მწვანე სესხების მთლიანი მოცულობა გაცვლითი კურსის ეფექტის

გამორიცხვით 48%-ით გაიზარდა. 2021 წლის ბოლოსთვის მწვანე სესხები მთლიანი პორტფელის - 3.2%, ხოლო 2020 წელს კი 2.5 პროცენტს შეადგენდა.[37]

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.3.2. მდგრადი ფინანსების ტაქსონომიის არსებობა.

მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია წარმოადგენს კლასიფიკაციის სისტემას, რომელიც ეკონომიკურ აქტივობებს გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში მწვანე, სოციალურ ან/და მდგრად სტატუსს ანიჭებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 3 აგვისტოს N93/04 ბრძანებით მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია და ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესი დამტკიცდა. ტაქსონომიის მთავარი მიზანი საქართველოში მდგრადი დაფინანსების ბაზრის განვითარება და შედეგად, ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის ხელშეწყობაა.

- ✓ **აქტივობა 7.3.1: მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის დოკუმენტის შემუშავება.**

2022 წელს, მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით შეიმუშავა, ასევე, მომზადდა „მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია საქართველოსთვის - 2022“. ტაქსონომიის კატეგორიები და ტექნიკური კრიტერიუმები საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობით შემუშავდა, რომელშიც ასევე, გათვალისწინებული იქნა საქართველოს ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლები.

მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესი მწვანე, სოციალური და მდგრადი სესხების საერთო განმარტებას ადგენს. აღნიშნული რეგულაციის თანახმად კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან სესხების მწვანედ, სოციალურად ან/და მდგრადად კლასიფიცირების პროცესში ტაქსონომიით განსაზღვრული კრიტერიუმებით იხელმძღვანელონ. გარდა ამისა, რეგულაცია ბანკებს ტაქსონომიის მიხედვით ანგარიშგების მოთხოვნებსაც უწესებს.

2022 წელს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მდგრადი დაფინანსების მეორე ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშში წარმოდგენილია მდგრადი დაფინანსების მიმართულებით საქართველოში არსებული ტენდენციები და გატარებული პოლიტიკა, გაანალიზებულია კომერციული ბანკების მიერ ESG ფორმებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ანგარიშში,

[37] შენიშვნა: სებ-ის ინფორმაციით, მწვანე სესხების პორტფელის 2022 წლის მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2023 წლის მაისის თვეში.

ასევე, წარმოდგენილია საქართველოში მწვანე და მდგრადი ობლიგაციების გამოშვებისა და ზოგადად, ამ მიმართულებით კაპიტალის ბაზრის ტენდენციები.

ამოცანა 7.4. საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.4.1: საკანონმდებლო ჩარჩო დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობას.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებითა და ენერგეტიკული გაერთიანების წევრობით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში დამტკიცდა:

1. საქართველოს კანონი „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“, შეესაბამება 2009/28/EC დირექტივას;
2. საქართველოს კანონი „ენერგოეფექტურობის შესახებ“, შეესაბამება 2012/27/EU დირექტივას;
3. საქართველოს კანონი „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“, შეესაბამება 2010/31/EU დირექტივას;
4. საქართველოს კანონი „ენერგოეტიკეტირების შესახებ“, შეესაბამება 2010/30/EU დირექტივას.

- ✓ **აქტივობა 7.4.1: ენერგოეტიკეტირების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად შემუშავებული ენერგომომხმარებელი მოწყობილობების ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცება.**

ენერგოეტიკეტირების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად 9 ტექნიკური რეგლამენტი სრულად მომზადებულია. მათ შორის, 3 მათგანი განხილული და შეთანხმებულია დაინტერესებულ მხარეებთან და მზად არის მთავრობისთვის წარსადგენად. აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცება დაგეგმილია 2023 წლის ბოლომდე.

- ✓ **აქტივობა 7.4.2: კანონქვემდებარე აქტების შემუშავება „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.**

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2022 წელს მიღებული იქნა შემდეგი აქტები:

- o „ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29

აგვისტოს №436 დადგენილება) - *დაემატა საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიწოდების საკითხი;*

- „ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბერის №622 დადგენილება) - *დაემატა დანართი №2-ის სახით ესკოს მიერ საბითუმო საჯარო მომსახურების ვალდებულებების განხორციელების პრინციპები;*
- „ელექტროენერგიის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილებები (2022 წლის 30 აგვისტოს დადგენილება №38 / 2022 წლის 26 ივლისის დადგენილება №31 / 2022 წლის 28 თებერვლის დადგენილება №6);
- „დაბალანსებაზე პასუხისმგებელ პირად რეგისტრაციის შესახებ განცხადების ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 11 აგვისტოს №35/1 გადაწყვეტილება;
- „დაბალანსებაზე პასუხისმგებელ პირად რეგისტრაციის შესახებ განცხადების ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 11 აგვისტოს №35/1 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (2022 წლის 8 სექტემბერი, №40/20);
- „დაბალანსების მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის შესახებ განცხადების ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 11 აგვისტოს №35/3 გადაწყვეტილება;
- „მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშებისა და გატარებაში მონაწილე გამანაწილებელი ქსელისა და წყალმომარაგების სისტემის მოწყობილობის მოვლა-პატრონობის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 13 მაისის №22 დადგენილება;
- „ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელში ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 19 მაისის №23 დადგენილება;

- „ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელში ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 30 ნოემბრის №54 დადგენილება;
- „ელექტროენერგიის ზოგიერთ მწარმოებელზე (თბოელექტროსადგურებზე) საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულების დაკისრების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის №625 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილებები (2022 წლის 28 თებერვლის №90 დადგენილება / 2022 წლის 29 აგვისტოს №439 დადგენილება).

✓ **აქტივობა 7.4.3: კანონქვემდებარე აქტების შემუშავება „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.**

„განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ კანონის შესაბამისად, დამტკიცებულია 8 კანონქვემდებარე აქტი:

1) „განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის გამოთვლის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №376;

2) „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის (ჰიდროელექტროსადგურები) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №403;

3) „თბური ტუმბოებიდან მიღებული ენერგიის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №74;

4) „განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმისთვის ჰარმონიზებული ნიმუშის მინიმალური მოთხოვნების შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №75;

5) ტექნიკური რეგლამენტი – „თბური ტუმბოების ეკოლოგიური ეტიკეტირების მინიმალური მოთხოვნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №401;

6) „განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №58;

7) „ჰიდროენერგიისა და ქარის ენერგიისგან გამომუშავებული ელექტროენერგიის აღრიცხვის ნორმალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/119;

8) „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემისა და სიმძლავრის აუქციონის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №556.

- ✓ **აქტივობა 7.4.4: კანონქვემდებარე აქტების შემუშავება „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.**

კანონის სრულად ასამოქმედებლად საჭიროა 14 კანონქვემდებარე აქტის[38], ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცება. 14 ტექნიკური რეგლამენტიდან 9 უკვე სრულად მომზადებულია. მათ შორის, 3 მათგანი განხილული და შეთანხმებულია დაინტერესებულ მხარეებთან და მზად არის მთავრობისთვის წარსადგენად.

- ✓ **აქტივობა 7.4.5: კანონქვემდებარე აქტების შემუშავება „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.**

„ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დამტკიცებულია 11 კანონქვემდებარე აქტი, კერძოდ:

- „ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის ენერგოეფექტურობის ეროვნული სამიზნე მაჩვენებლის შესრულების თაობაზე ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება“ №1-1/224 (2022 წლის 20 მაისი);
- „გათბობისა და გაგრილების სისტემების ხარჯ-ეფექტურობის ანალიზის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება“ №1-1/225 (2022 წლის 20 მაისი);
- „ადმინისტრაციული ორგანოს სარგებლობაში არსებული შენობების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება“ №1-1/335 (2022 წლის 3 აგვისტო);
- „პოლიტიკის ალტერნატიული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება“ №1-1/356 (2022 წლის 12 აგვისტო);

[38] შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად გათვალისწინებული იყო 16 ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცება, თუმცა ევროკომისიის მიერ შემოღებული ცვლილებების თანახმად 1 რეგულაცია - „მტვერსასრუტის ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე“ გაუქმდა. ასევე ცვლილებები შევიდა 6 რეგულაციაში, მათ შორის, 2 რეგულაცია - „საყოფაცხოვრებო მოხმარების კომბინირებული სარეცხ-საშრობი მანქანის ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე“ და „საყოფაცხოვრებო მოხმარების სარეცხი მანქანის ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე“ გაერთიანდა ერთ რეგულაციაში შემდეგი სახელწოდებით - „საყოფაცხოვრებო მოხმარების სარეცხი მანქანისა და საყოფაცხოვრებო მოხმარების სარეცხ-საშრობი მანქანის ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე“. შესაბამისად, დასამტკიცებელია 16-ის ნაცვლად 14 ტექნიკური რეგლამენტი.

- „გაზომვისა და დადასტურების პლატფორმის ფორმატის განსაზღვრისა და მასზე ინფორმაციის/მონაცემების განთავსების, ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების განხორციელებისა და მიღწეული ენერგოდანაზოგების შესახებ ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/439 (2022 წლის 12 ოქტომბერი) და სხვა.

✓ **აქტივობა 7.4.6: კანონქვემდებარე აქტების შემუშავება „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.**

„შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დამტკიცებულია 2 კანონქვემდებარე აქტი.

ამოცანა 7.5. ეკოტურიზმის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.5.1: საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით, გერმანიის თანამშრომლობა GIZ-ის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით, ეროვნული სატყეო სააგენტოს, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ეკოტურიზმის ასოციაციის ჩართულობით დამტკიცდა „საქართველოს ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია 2020-2030“ და 3 წლიანი სამოქმედო გეგმა (2021-2023).

„საქართველოს ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია“ შეესაბამება საქართველოს ტურიზმის ეროვნულ სტრატეგიას (2025), დაცული ტერიტორიებისა და ეროვნული სატყეო სააგენტოების ეკოტურიზმის განვითარების ხედვასა და სტრატეგიებს. სტრატეგიაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „ეკოტურიზმი ხალხზე, თემზე ორიენტირებული და ადგილობრივ რესურსებზე დაფუძნებული მახასიათებლებით მჭიდრო კავშირშია აგრო და თემზე დაფუძნებულ ტურიზმთან და მდგრადი განვითარების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს“.[39]

[39] შენიშვნა: **ეკოტურიზმი - „მწვანე ტურიზმის“ სახეობა**, რომელიც ხელს უწყობს მოწყვლადი რეგიონების, გარემოსა და თემების შენარჩუნებას. ეს ნიშნავს პასუხისმგებლიან მოგზაურობას ბუნებაში, გარემოს დაცვასა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ეკოტურიზმი წარმოადგენს დაბალი ზემოქმედების მქონე და ხშირად, სტანდარტული, მასობრივი ტურიზმის ალტერნატივას. ეს არის მდგრადი ტურიზმის ფორმა, რომელსაც გაცილებით გრძელვადიანი მიზნები აქვს, ვიდრე უბრალოდ დანიშნულების ადგილზე მოგზაურობა. ეკოტურიზმი არის მოგზაურობა, ტურისტული აქტივობები და სერვისები, რომელიც ორიენტირებულია დაცულ ტერიტორიებზე და მის

„საქართველოს ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია 2020-2030“ აერთიანებს 4 მიზანს, 8 სტრატეგიულ ამოცანას და 24 პრიორიტეტულ ქმედებას.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.5.2: ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით კეთილმოწყობილი ბილიკები.

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ 2 დაცულ ტერიტორიაზე - აჯამეთის აღკვეთილში და ნეძვის აღკვეთილში - მოეწყო 2 ახალი ბილიკი (57 კმ). ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე განახლდა 7 არსებული ბილიკი, ჯამური სიგრძე 251 კმ.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.5.3: დაცული ტერიტორიების გაზრდილი ფართობი.

ეკოტურიზმის განვითარებისთვის დაცული ტერიტორიების გაზრდა და პოპულარიზაცია ქვეყანაში მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, რომელსაც საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია ერთ-ერთ პრიორიტეტულ ქმედებად განსაზღვრავს. 2022 წელს დაცული ტერიტორიების ფართობი წინა წელთან შედარებით 116,720 ჰექტარით გაიზარდა და „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ კანონის თანახმად შეადგენს 912,908 ჰექტარს, რაც დაახლოებით საქართველოს ტერიტორიის 13%-ია[40].

- ✓ **აქტივობა 7.5.2: სამი ახალი ტურისტული მიმართულების იდენტიფიცირება.**

ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ, სატყეოს ტერიტორიაზე მოხდა 3 მიმართულების იდენტიფიცირება: ქვემო ქართლი - თეთწყაროს მუნიციპალიტეტი/წალკის მუნიციპალიტეტი; გურია - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტები.

- ✓ **აქტივობა 7.5.3: შერჩეულ მიმართულებებზე ტურისტული პროდუქტის განვითარების სამოქმედო გეგმის განსაზღვრა.**

ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირებულ მიმართულებებზე (3 მიმართულება) - ქვემო ქართლის, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის მიმართულებებზე მომზადდა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა.

გარეთ ბუნებისა და ცოცხალი კულტურის შენარჩუნებასა და გამოცდილებების მისაღებად სათანადო პირობების შექმნაზე ადგილობრივი მოსახლეობისა და ქვეყნის სასარგებლოდ.

[40] წყარო: საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“; იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/document/view/20098?publication=12

- ✓ **აქტივობა 7.5.4: ბილიკების კეთილმოწყობა.**

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, 2 დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო 2 ახალი ბილიკი (57 კმ). კერძოდ, აჯამეთის აღკვეთილში[41] მოეწყო ერთი ახალი ბილიკი 30 კმ. სიგრძის, ხოლო ნეძვის აღკვეთილში[42] - ერთი ახალი ბილიკი 27 კმ. სიგრძის. ასევე, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე განახლდა 7 არსებული ბილიკი, ჯამური სიგრძე 251 კმ.

მიმდინარეობს 11 დაცულ ტერიტორიაზე, კერძოდ, ბორჯომ-ხარაგაულის (240 კმ), თეთრობის (50 კმ), ლაგოდეხის (130 კმ), ერუშეთის (100 კმ), მარიმჯვარის (25 კმ), კინტრიში-მტირალას დამაკავშირებელი (150 კმ), სამეგრელო-იმერეთის დამაკავშირებელი (58 კმ), ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე (700 მ), ბაწარა-ბაბანეურის (18 კმ) დაცული ტერიტორიების საფეხმავლო ბილიკების (სულ 700 კმ-ზე მეტი სიგრძის) და თანმდევი ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები.

- ✓ **აქტივობა 7.5.5: ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის ვიზიტორთა თავშესაფრის აშენება-მოწყობა.**

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, აშენდა 3 ტურისტული თავშესაფარი - მარიამჯვარის, ვაშლოვანის და ჭაჭუნას დაცულ ტერიტორიებზე.

ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, ექვსი დაცული ტერიტორიისთვის მომზადდა 20 ვიზიტორთა თავშესაფრის პროექტი - ბორჯომ-ხარაგაულის (4 პროექტი), ერუშეთის (6 პროექტი), თეთრობის (3 პროექტი), ლაგოდეხის (1 პროექტი), მარიამჯვარის (2 პროექტი), მტირალა-კინტრიშის (4 პროექტი) დაცული ტერიტორიებისთვის.

---

[41] შენიშვნა: აჯამეთის აღკვეთილი მდებარეობს ბაღდათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ეკოტურისტული საფეხმავლო წრიული ბილიკები მოეწყო სოფლების საიმედო-დიმი-ობჩა-სვეტმაღალი-ცხენთაროს მიმართულებით; იხ. ბმული: https://apa.gov.ge/ge/protected-areas/cattestone/ajameTis-aRkveTili

[42] შენიშვნა: ნეძვის აღკვეთილი მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში; იხ. ბმული: https://georgiantravelguide.com/ka/nedzvis-erovnuli-parki-biliki

ამოცანა 7.6. გარემოსდაცვით საკითხებზე მცირე და საშუალო მეწარმეების ცნობიერების ამაღლება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.6.1: ტრენინგების იმ კურსდამთავრებულთა პროცენტული წილი, ვისაც მიაჩნია, რომ შეძენილი ცოდნა დაეხმარება გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებაში.

საანგარიშო წელს, სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ ჩატარებული „გარემოსდაცვითი მმართველის" ტრენინგების კურსდამთავრებულთა 83% სხვადასხვა კომპანიაში „გარემოსდაცვითი მმართველის" პოზიციაზე დასაქმდა.

- ✓ **აქტივობა 7.6.1: ტრენინგების განხორციელება მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის.**

სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი სხვადასხვა სახის მომსახურებას უწევს მცირე და საშუალო მეწარმეებს მათი საქმიანობის მხარდასაჭერად. ცენტრი რეგულარულად ახორციელებს გარემოსდაცვითი მმართველის ტრენინგ კურსს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კანონის გაცნობას ნარჩენების მართვის კოდექსისა და მცირე და საშუალო საწარმოების ნარჩენების მართვის პროცედურების შესახებ და უზრუნველყოფს შესაბამისი კადრების მომზადებას. საანგარიშო პერიოდში ტრენინგებში 49 პირმა მიიღო მონაწილეობა.

2022 წელს, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა, ასევე, მოიპოვა რიგი პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლება. შესაბამისად, ცენტრის მიერ, საანგარიშო პერიოდში მეწარმეებისთვის განხორციელდა ტრენინგები მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ, ხელმისაწვდომი გახდა მწვანე ეკონომიკის ელექტრონული სასწავლო კურსი. განხორციელდა 39 მემაცივრე ტექნიკოსის სერტიფიცირება, ხოლო ტრენინგი ოზონდამშლელ ნივთიერებებთან დაკავშირებულ ეროვნულ რეგულირებასა და საკანონმდებლო ბაზის შესახებ გაიარა სამაცივრე მოწყობილობების სერტიფიცირებულმა 24-მა ტექნიკოსმა. მეფუტკრეთა საქმიანობის უკეთ წარმართვისა და სფეროს განვითარების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით 955 მეფუტკრე-ფერმერი გადამზადდა.

- ✓ **აქტივობა 7.6.2: საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება ახალი საკანონმდებლო რეგულაციების გაცნობის მიზნით.**

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მეწარმეებისთვის გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები, მათ შორის:

- მეწარმეებისთვის მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) რეესტრის გაცნობის მიზნით და ასევე, მგვ პრინციპის დასანერგად მიღებული ოთხი ტექნიკური რეგლამენტის განხორციელების ვადების შესრულების საკითხების განხილვის მიზნით (80 პირი);
- „მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დანერგვის მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში (140 პირი);
- „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გაცნობის მიზნით 4 საინფორმაციო შეხვედრა (112 პირი).

რისკები და გამოწვევები

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის **2022 წლის სამოქმედო გეგმით** განსაზღვრული აქტივობების ფარგლებში **ნაწილობრივ განხორციელდა 6 აქტივობა, ხოლო 2 აქტივობა არ დაწყებულა.**

ნაწილობრივ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ✓ **აქტივობა 1.5.3: არბიტრაჟთან მიმართებით საგანმანათლებლო ტიპის ღონისძიებები პრაქტიკოსი იურისტებისთვის.**

აქტივობის შესრულების ინდიკატორად 2022 წლისთვის განსაზღვრული იყო წლიურად 10 შეხვედრის ჩატარება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის და საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის მიერ. საანგარიშო პერიოდში აქტივობის ფარგლებში ჩატარებულია 1 ორ-დღიანი კონფერენცია *(ჯამში რიგით მეცხრე)* და 1 სემინარი.

- ✓ **აქტივობა 3.5.2: მსს ფასს ტრენინგების სტიმულირება დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.**

მსს ფასს სტანდარტის ტრენინგები მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გადამზადებული ტრენერების მეშვეობით ტარდება. 2022 წლის განმავლობაში, მაგალითად, მხოლოდ მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსდა 4 ტრენინგი, სადაც გადამზადდა 80 ბუღალტერი. მსს ფასს სტანდარტის ტრენინგის პრაქტიკამ აჩვენა, რომ ტრენინგები ეფექტური იყო 20-25 კაციანი ჯგუფებისთვის, შესაბამისად, 4 ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა 80 ბუღალტერი. ამასთან აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორის მხრიდან მოთხოვნის შესაბამისად, მსს ფასს სტანდარტის ტრენინგები გადამზადებული ტრენერების მიერ პერმანენტულად ხორციელდება.

- ✓ **აქტივობა 5.4.3: მაღალმთიან რეგიონში სათემო ინტერნეტიზაციის პროექტის განხორციელება**

სათემო ინტერნეტიზაციის პროექტი ხორციელდება თუშეთის, ფშავ-ხევსურეთის, გუდამაყრის ხეობებში, ამასთან პროექტირების ეტაპი დაიწყო აჭარის მაღალმთიან სოფლებში.

- ✓ **აქტივობა 7.1.1: მწვანე ზრდის 2022-2027 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.**

აქტივობის შესრულების ინდიკატორად 2022 წლისთვის განსაზღვრული იყო მწვანე ზრდის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

2022 წელს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და მსოფლიო ბანკის (WB) მხარდაჭერით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროს მიერ დაიწყო მწვანე ზრდის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი. ფორმირებულია უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი.

- ✓ **აქტივობა 7.4.1: ენერგოეტიკეტირების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად შემუშავებული ენერგომომხმარებელი მოწყობილობების ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცება.**

აქტივობის შესრულების ინდიკატორად 2022 წლისთვის განსაზღვრული იყო 18 კანონქვემდებარე აქტის დამტკიცება.

„ენერგოეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სრულად მომზადებულია 9 ტექნიკური რეგლამენტი, მათ შორის, 3 მათგანი განხილული და შეთანხმებულია დაინტერესებულ მხარეებთან და მზად არის მთავრობისთვის წარსადგენად. აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცება დაგეგმილია 2023 წლის ბოლომდე.

- ✓ **აქტივობა 7.4.6: კანონქვემდებარე აქტების შემუშავება „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.**

აქტივობის შესრულების ინდიკატორად 2022 წლისთვის განსაზღვრული იყო 5 კანონქვემდებარე აქტის დამტკიცება.

„შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დამტკიცებულია 2 კანონქვემდებარე აქტი. დანარჩენი აქტების პროექტები შემუშავებულია და მიმდინარეობს დაინტერესებულ მხარეებთან განხილვა.

<u>არ დაწყებულა შემდეგი აქტივობები:</u>

- ✓ **აქტივობა 1.5.5: მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან თბილისში და რეგიონებში საინფორმაციო საკონსულტაციო შეხვედრები.**

ბიზნესომბუდსმენის აპარატის მიერ აღნიშნული ღონისძიებები არ განხორციელებულა.

- ✓ **აქტივობა 1.6.1: ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (MY.GOV.GE) მოხმარების შესახებ მეწარმე სუბიექტების დატრენინგება.**

2022 წელს მეწარმე სუბიექტებისთვის ტრენინგები არ ჩატარებულა, ვინაიდან პორტალის განახლებიდან გამომდინარე, მეწარმე-იურიდიული პირებისთვის გათვალისწინებული რიგი სერვისები 2022 წლის 1 იანვრიდან არ იყო პორტალზე ხელმისაწვდომი. 2023 წელს იგეგმება სერვისების გააქტიურება და განახლდება ტრენინგების პროცესი.

2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულება

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პასუხისმგებელი უწყებების მიერ შესაბამისი აქტივობების შესრულების პროგრესს 2022 წლის მდგომარეობით.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიით და 2022 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული, შვიდივე პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში გათვალისწინებული 97 აქტივობიდან 77 აქტივობა განხორციელდა სრულად, 12 აქტივობა მეტწილად შესრულდა, 6 აქტივობა ნაწილობრივ შესრულდა და 2 აქტივობა არ შესრულდა.

აღნიშნული ანგარიში მომზადებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების/დეპარტამენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

2023-2025 წლის სამოქმედო გეგმა

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის ფარგლებში, ასევე, დამტკიცებული იქნა შემდგომი, 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა.

სტრატეგიის 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა, 7 პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, ითვალისწინებს 42 ამოცანას და 145 აქტივობას.

დანართი - კონსოლიდირებული სტატუსანგარიში

დანართი: ექსელის ფაილი.